საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

შ. ჩსარტიშვილი

ნებისყოფა და მისი აღზრდა

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი—1964

15
159
h967

ნაშრომში განსაზღვრულია მოთხოვნილებისა და ნებისყოფის ადგილი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, იმპულსური და ნებისმიერი ქცევის ძირითადი თავისებურებანი და მითითებულია იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლითაც ნებისყოფის აღზრდის საქმე უნდა წარიმართოს.

ავტორის აზრით, ნებისყოფა არის პიროვნების თვისება, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსები დაიქვეშდებაროს, მომენტალური აწმყოს ინტერესებზე ამაღლდეს და ისეთი მიზნები დაისახოს და განახორციელოს, რომელნაც ობიექტურ ღირებულებას შეიცავენ და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს პასუხობენ. ნებისყოფის აღზრდამ მოზარდში ამ პიროვნული თვისების გამომუშავება უნდა უზრუნველყოს.

თავი I

სებისეოფის ფსიქოლოგია

რას მიქვიან პირადი ნწუხარება?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყეს ედარება

აკაკი

მოთხოვნილების ბუნება და ადგილი სულიერ ცხოვრებაში

სულიერი ცხოვრება სამი, ერთიმეორისაგან თვისობრივად განსხვავებული, მოვლენის — ვოლიტური პროცესის, შემეცნებისა და გრძნობის — დინამიკური მთლიანობაა. ამ მთლიანობას გარკვეული აგებულება აქვს. მასში წამყვან როლს ვოლიტური პროცესები ასრულებენ, ისინი ქმნიან მის მოქმედ ანუ დინამიკურ მხარეს. დანარჩენი ორი მოვლენა — შემეცნება და გრძნობა — მათ ნიადაგზე და მათთან მიმართებაში კითარდება. ვოლიტური პროცესების გამორთვის შემდეგ ჩერდება პიროვნული ცნობიერება და სულიერი მოძრაობანი, ისე, როგორც წარმოებაში დენის გამოთიშვას სინათლის ჩაქრობა და საწარმოო მოქმედებათა შეწყვეტა მოსდევს შედეგად. ვოლიტური პროცესები აერთიანებს მოვლენებს, რომელნიც თავიანთ თავში შეიცავენ აქტივობის ტენდენციას — მისწრაფებას. ასეთია პირველ რიგში მოთხოვნილებები. სულიერი ცხოვრების პირველი დონე მთლიანად მოთხოვნილებებზეა დაფუძნებული. ამ დონეზე მოთხოვნილებათა იმპულსების ზეგავლენით იშლებიან შემეცნების პროცესები, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაბამისად ვითარდებიან გრძნობები და ემოციები და ინდივიდიც, როგორც ფსიქიკური არსება, თავის თავს, თავის ინდივიდუალობას მოთხოვნილებებში განიცდის.

როგორია მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნება, რა სპეციფიკური ნიშნები გააჩნია მას? ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ დავადგინოთ: რომელი მოვლენები შეიძლება გავაერთიანოთ მოთხოვნილების ცნების

ქვეშ და რა ხასიათის, რა თვისებების ქცევის აქტების განვითარება შეიძლება ამ მოვლენების საფუძველზე. ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ, როგორც ცხოველის ისე ადამიანის ქცევის ერთადერთი წყარო მოთხოვნილებაა, რომ ყოველგვარი ქცევა მოთხოვნილების იმპულსს ემყარება[1]. მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ანალიზი ჩვენს შეგვიწყობს გავარკვიოთ რამდენად სწორია ეს უკანასკნელი მოსაზრება.

1. მოთხოვნილების ერთი საერთო თვისებურება ისაა, რომ იგი შეიცავს აქტივობის ტენდენციას. ამ უკანასკნელის გახანგრძლივებული შეფერხება ერთგვარი უსიამოვნო დაძაბულობისა და შეკავებული აქტივობის უკმაყოფილების სახით განიცდება. მოთხოვნილება, იქ, სადაც იგი ყოველგვარი შეფერხების გარეშე ნახულობს თავის საგანს, ფსიქოლოგიურად შეუმჩნეველი რჩება და, როგორც ნდომა და მისწრაფება, არ განიცდება. ასე ხდება, მაგალითად, სუნთქვის შემთხვევაში, როცა სუფთა ჰაერით ვართ გარემოცული. არც ფაქიზი ესთეტიკური გემოვნებით მორთულ გარემოს მოთხოვნილებას ვგრძნობთ, თუ ასეთი გარემო უკვე გვაქვს და ვცხოვრობთ მასში. ბუნებრივ მდგომარეობაში, ალბათ, თევზსაც არ აწუხებს წყურვილის გრძნობა. როგორც ჩანს, მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოცენების ერთ აუცილებელ პირობას განსაზღვრული მიმართულების აქტივობის შეფერხება: ანუ შეკავება წარმოადგენს. ასეთი შეკავება-შეფერხების გარეშე არ არსებობს ნდომა და მისწრაფება.

მაგალითისათვის ავიღოთ შიმშილი. შიმშილის ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმოცენების ერთი მნიშვნელოვანი პირობა: კვების პროცესებთან დაკავშირებული აქტივობის შეფერხებაა. როგორც კი, სათანადო ქცევის აქტების გზით, საჭმლის მომნელებელი სისტემა მისთვის დამახასიათებელი აქტივობისათვის საჭირო მასალას მიიღებს, შიმშილის განცდა ქრება, კვების ფსიქოლოგიური პროცესი მთავრდება და ადგილი ეთმობა შინაგან --

---

[1] ჟურნალ „Вопросы психологии"-ს ფურცლებზე მიმდინარეობდა დისკუსია ამ საკითხზე, რომელიც გაიხსნა А. В. Веденов-ის წერილით „Личность как предмет психологической науки" ამასთან დაკავშირებით იხ. ამ ჟურნალის 1956 წ. № 1, 3, 4 და 1958 წ.-ს № 2.

ბიოლოგიური რიგის აქტივობას: საჭმლის მომნელებელი ორგანოები აგრძელებენ ძიღებული ნივთიერებიდან საკვები მასალის გამოყოფას და გადამუშავებას. გადამუშავებულ საკვებს ღებულობს სისხლი და აწვდის უჯრედებს. აქ საყურადღებო ის არის, რომ შიმშილის განცდა ნამდვილი კვების პროცესის დაწყებამდე — დამშეულ უჯრედებთან საკვები ნივთიერების მისვლამდე — სუთიექვსი საათით ადრე აღიკვეთება. როგორც ვხედავთ, შიმშილის ფსიქიკური მდგომარეობა ორგანიზმის უჯრედებში საკვები ნივთიერების მხოლოდ გამოლევასთან არაა დაკავშირებული; მის ერთ მნიშვნელოვან პირობას საჭმლის მომნელებელი სისტემისათვის დამახასიათებელი აქტივობის შეფერხება შეადგენს. ავადმყოფის უმადობა ამ აქტივობის უწარის დაქვეითებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჯანსაღ ადამიანს, რომ კანქვეშ დიდი რაოდენობით მდიდარი საკვები ნივთიერება შევუტანოთ, იგი მაინც იგრძნობს შიმშილს, თუ მის კუჭს აქტივობისათვის საჭირო მასალა არ მივაწოდეთ და ამ გზით მოქმედების შესაძლებლობა შევუზღუდეთ. თვითონ დამშეულ უჯრედებსაც საკვები სჭირდება იმ აქტივობისათვის, რომელიც მის ბენებას, მის სიცოცხლეს წარმოადგენს, რომლის გარეშეც იგი, როგორც ცოცხალი უჯრედი, ვერ იარსებებს.

სიცოცხლე თვითაქტივობაა, ამიტომ აქტივობისაკენ მისწრაფება იმთავითვეა მის ბუნებაში მოცემული. ამ მისწრაფების სიდიდე თვითონ სიცოცხლის სიდიდეს, მის ძალოვანებას გამოხატავს. სიცოცხლის — თვითაქტივობის ფორმები იცვლება მისი ობიექტური პირობების ცვალებადობასთან ერთად და ბოლოს სულიერი ცხოვრების დონეზდე აღწევს. მოთხოვნილება ნაწარმოები მოვლენაა, იგი თავს იჩენს თვითაქტივობის ამა თუ იმ მიმართულებით შეფერხების გამო: მასში ყოველთვის მოითხოვება ის, რაც შეფერხებული სიცოცხლის, შეკავებული აქტივობის ნორმალური განვითარებისათვისაა აუცილებელი. ამიტომ მოთხოვნილების ფორმები იცვლებიან სიცოცხლის ანუ თვითაქტივობის ფორმებთან ერთად.

შეიძლება ითქვას, რომ შიმშილის მსგავსად, ყოველი ნივთიერი მოთხოვნილება, როგორც ფსიქიკური ფაქტი მოქმედების ამგვარ შეფერხებას ვულისხმობს. ამიტომ გასაგებია, რომ მისგან ისეთი აქტივობის ტენდენცია, ისეთი ქცევის იმპულსი გამომდინარეობს, რომელმაც ამ შეფერხებული შინაგანი აქტივობის ნორმალური განვითარებისათვის საჭირო პირობები უნდა უზრუნველყოს. ცოცხალი არსების გარეგანი მოქმედება და ამ მოქმედებისათვის საჭირო ორგანიზმის სტრუქტურა ჩამოყალიბდა შინაგანი აქტივობისათვის

აუცილებელი პირობების მოპოვებისათვის ბრძოლაში, რომელიც ისტორიულად ცვალებად გარემოში მიმდინარეობდა.

მოთხოვნილების ეს მხარე კიდევ უფრო ნათლად ჩანს სულიერ-იდეურ მოთხოვნილებებში. თეორიული, ან კიდევ ესთეტიკური მოთხოვნილებას მარტო ის გამოცდილება კი არ აკმაყოფილებს, რასაც ადამიანი ჭეშმარიტების ძიებისა და მშვენიერების განცდის შედეგად ღებულობს, არამედ მისთვის თვით ის აქტივობაც აუცილებელია, რომელსაც კვლევა-ძიება და მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ჭვრეტა წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, უპირატესობა ამ უკანასკნელს ეძლევა. ერთხელ მიღებული თეორიული ან ესთეტიკური შინაარსი საკვების მსგავსად კი არ იხარჯება ორგანიზმის მიერ, არამედ გამოცდილების სახით რჩება პიროვნებაში. მაუხედავად ამისა, რა მდიდარიც არ უნდა იყოს ეს გამოცდილება, იგი თავისთავიდან ვერ უზრუნველყოფს სათანადო მოთხოვნილებების მეორედ დაკმაყოფილებას. ამ უკანასკნელისათვის ჭეშმარიტების ახალი ძიება და მშვენიერების განახლებული ჭვრეტაა საჭირო. ასე რომ არ ყოფილიყო, ფსიქოლოგიურად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა კულტურული წინსვლის ფაქტი.

ადამიანს არასდროს არ აკმაყოფილებს მიღწეული მდგომარეობა. რადგან სიცოცხლე არის არა მდგომარეობა, არამედ აქტივობა, რომელიც ადამიანურ აზრს, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ მდგომარეობის მოპოვებაში, ამა თუ იმ • მიზნის განხორციელებაში ნახულობს. მოთხოვნილების იმპულსის სიდიდე ერსებითადაა დამოკიდებული ინდივიდის სიცოცხლის ძალოვნებაზე: ახალგაზრდაში, რომლის სიცოცხლე მთელი სისავსით ჩქეფს, იგი გაცილებით მეტი ძალით იჩენს თავს, ვიდრე — მოხუცში, რომლის სიცოცხლე უკვე დაუძლურებულია. ამ მხრივ ინდივიდუალური განსხვავებაც საგრძნობლად დიდია: ერთი ძალუმი სიცოცხლით ჩქეფს და დაუღალავ აქტივობაში იმყოფება მაშინ, როცა მეორე. უფრო ხშირად ხანგრძლივი მოსვენებისა და ძილისათვისაა განწყობილი. ნებისმიერი ქცევაც სიცოცხლის აქტივობაში ნახულობს თავისი რეალიზაციისათვის საჭირო ენერგიის წყაროს, იმ განსხვავებით, რომ იგი შეფერხებული აქტივობის ტენდენციას — აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს არ ემყარება.

2. მოთხოვნილება, როგორც ვნახეთ, შეიცავს აქტივობის ტენდენციას და ამ უკანასკნელითაა, რომ იგი სუბიექტის სამოქმედოდ აღძვრას ახერხებს. ამ ტენდენციის შეფერხება ნდომისა და მისწრაფების სახით განიცდება, მაგრამ მოთხოვნილება საერთოდ ყველა

შესაძლო აქტივობისათვის კი არ აღძრავს სუბიექტს, არამედ მას იმ საგნებისა და მოვლენებისაკენ მიმართავს, რომელშიაც თვითონ ნახულობს დაკმაყოფილებას. მოთხოვნილება მოცემულ ობიექტურ პირობებში აქტივობას გარკვეულ მიმართულებას აძლევს. ამაშია მისი მეორე ძირითადი თავისებურება.

მოთხოვნილება რომელიმე კონკრეტული შინაარსის აქტივობის ტენდენციის შეფერხების ნიადაგზე წარმოიქმნება და იმ საგნებსა და მოვლენებში ნახულობს დაკმაყოფილებას, რომელიც ამ შეკავებული აქტივობის ნორმალურ განვითარებას უზრუნველყოფს. როცა მაგალითად, ორგანიზმს შინაგანი აქტივობისათვის საჭირო მასალა — საკვები ნივთიერება გამოელევა, შიმშილის მოთხოვნილება ჩნდება, რომელიც ისეთი აქტივობისთვის აღძრავს ინდივიდს, რომელიც ამ მასალის მოპოვებასა და ორგანიზმში შეტანას უზრუნველყოფს. მოცემულ გარესინამდვილეში საკვების ძიების და მოპოვებისთვის საჭირო აქტივობის განვითარების ანატომიურ-ფიზიოლოგიური შესაძლებლობანი ინდივიდს გამოუმუშავდა სიცოცხლის პირველადი ანუ შინაგანი აქტივობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში და მის (პირველადი აქტივობის) სამსახურში ჩადგა. ამით სიცოცხლე — თვითაქტივობა გაფართოვდა და ახალ ფორმაში შეკიდა; მან თავისთავი გამოავლინა გარეგან აქტივობაშიაც, რომელმაც ერთგვარი, ავტონომიური ხასიათი მიიღო. ამ ახალი სახის აქტივობის შეკავება ანუ შეფერხება იქცა ახალი, სულ სხვა ბუნების მოთხოვნილების წყაროდ, რადგან ორგანიზმის იმ ანატომიურ-ფუნქციონალური სტრუქტურის სიცოცხლე, რომელიც გარეგანი მოქმედების რეალიზაციას ახდენს, შეუძლებელია აქტივობის გარეშე გაგრძელდეს; მისი არსებობის ფორმა მისთვის დამახასიათებელი აქტივობაა.

იგივე შეიძლება ითქვას ინტელექტის შესახებაც. ინდივიდის საცხოვრებელი პირობების ისტორიული გართულების შედეგად წარმოიშვა სიძნელეები გარეგანი, პრაქტიკული მოქმედების მიზანშეწონილად წარმართვის გზაზე. ამ სიძნელეებთან ბრძოლაში გაბვითარდა ინტელექტი, რომლის პირველადი ამოცანა გარეგანი — პრაქტიკული მოქმედებისადმი მომსახურეობაში გამოიხატა. ივი ამ სიძნელეებიდან გამოსვლისათვის საჭირო გზებსა და საშუალებებზე მიუთითებს პრაქტიკული მოქმედების სუბიექტს. ამაში მდგომარეობს მისი ყოველდღიური და ძირითადი ამოცანა. მაგრამ ინტელექტმაც ერთგვარი ავტონომია მოიპოვა და საკუთარი სიცოცხლით დაიწყო ცხოვრება: მასთან ერთად გაჩნდა მოთხოვნილება თვითონ მის აქტივობაზე, რადგან ასეთი აქტივობის გარეშე არ არ-

სებობს იგი. ინტელექტის არსებობის ფორმა ინტელექტუალური აქტივობაა, ინტელექტუალური სიცოცხლეა. ამ სახით არსებობს იგი პიროვნების მთლიან სისტემაში.

დაკმაყოფილების პროცესში მოთხოვნილება, როგორც მოთხოვნილება, აღარ განიცდება. როცა მაგალითად, სუბიექტი ესთეტიკური ჭვრეტისათვის აღიძვრება ესთეტიკური ხასიათის აქტივობა შეკავებულ მდგომარეობაშია მანამ, სანამ სუბიექტი უშუალოდ ესთეტიკური ობიექტის, ესთეტიკური სინამდვილის წინაშე არ აღმოჩნდება. ესთეტიკურმა მოთხოვნილებამ ისეთი აქტივობის განვითარება უნდა უზრუნველყოს, რომელიც შინაგანი ესთეტიკური აქტივობისათვის — ესთეტიკური ობიექტის ჭვრეტისათვის აუცილებელ პირობებს უზრუნველყოფს. თვითონ ესთეტიკური ჭვრეტის პროცესში ესთეტიკური მოთხოვნილება აღარ განიცდება. სამაგიეროდ თავს იჩენს კმაყოფილების გრძნობა. რომელიც შეკავებული ესთეტიკური აქტივობის თავისუფალი გაშლის ნიადაგზე აღმოცენდება. ეს კმაყოფილების განცდა—სიამოვნება—მით უფრო დიდია, რაც უფრო ძლიერი აქტივობის ტენდენცია იყო შეკავებული და რაც უფრო სრულყოფილი პირობები იქნა მოპოვებულ მისი რეალიზაციისათვის. ის, რაც აქ ესთეტიკური მოთხოვნილების შესახებ ითქვა, ძალაში რჩება ყველა სხვა მოთხოვნილების მიმართაც. ჭამის პროცესში ადამიანი გრძნობს არა შიმშილს, არამედ კმაყოფილებას, რომლის სიდიდე შიმშილის ძალითა და საკვების ხარისხით განისაზღვრება.

მოთხოვნილება იმ საგანთა და მოვლენათა დანაკლისს გულისხმობს, რომელიც სუბიექტის ფიზიკური ან სულიერი არსებობის პირობას შეადგენს, რომელიც სუბიექტის ფიზიკური ან სულიერი აქტივობისთვისაა აუცილებელი. ამიტომ ეს დანაკლისი მეტად თუ ნაკლებად გარკვეული დანაკლისის სახით განიცდება, რის გამოც მოთხოვნილება ადამიანის ცნობიერების საგანგებო ობიექტად ქცევამდე შეიცავს თავის თავში სინამდვილის იმ სფერის ერთგვარ გრძნობისებურ, ბრმა ემოციურ ასახვას, რომელშიც მან დაკმაყოფილება უნდა ნახოს, თავის თავი უნდა იპოვოს. ინდივიდი, რომელიმე მოთხოვნილების პირველი დაკმაყოფილების დროსაც, მოვა თუ არა შეგრძნების ორგანოთი უშუალო კონტაქტში იმ საგანთან, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, მაშინვე იგრძნობს მას და სათანადო ქცევის აქტებით მიიმართება მისკენ. ახალშობილი ცხოველი, როგორც კი ფეხზე წამოდგება, მის გარშემო არსებულ ურიცხვ-

საგნებიდან დედის ძუძუს გამოჰყოფს და პირდაპირ მისკენ მიიმართება.

სპეციალური ცდებით დადასტურდა, რომ ახლად გამოჩეკილი ქათმის წიწილი ყოველგვარი დახმარების გარეშე ნახულობს დედ კენკავს საკენკს, ხოლო იხვის წიწილი გრძნობს წყლის აუზის სიახლოვეს და ისწრაფვის მისკენ.

ადამიანს შეუძლია მოთხოვნილების საგანი საგანგებოდ გააცნობიეროს, მაგრამ ეს ზემოთ აღნიშნული საქმის ვითარებას არ ცვლის. მოთხოვნილების საგნის უშუალო გრძნობისებური განცდა ადამიანსაც აქვს. ეს განცდა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს: შეუცდომლად ანიშნებს მას, რა უნდა ასლა, რისი მოთხოვნილება აქვს. მოთხოვნილების საგნის ინტელექტუალური ცნობიერება თვითონ მოთხოვნილებას — როგორც ამ საგნის უშუალო გრძნობისებურ განცდას — ემყარება.

ამგვარად, მოთხოვნილება არაა უბრალო უსიამოვნება, უბრალო უკმაყოფილება; მასში ყოველთვის იგრძნობა ის საგანი, ის მოვლენა, რომლის დანაკლისსაც თვითონ წარმოადგენს, რომლის უქონლობაც მოთხოვნილებად განიცდება. მოთხოვნილების ამ თავისებურებას მისი ფსიქოლოგიური ბუნების გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფსიქოლოგიურად მოთხოვნილებებს ერთმანეთისაგან, ყველაზე მეტად, სწორედ ეს დანაკლისი საგნის გრძნობისებური განცდა განასხვავებს. შიმშილში საკვების არყოფნა იგრძნობა, ხოლო წყურვილში — წყლის დანაკლისი. ამიტომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მშიერი არასოდეს წყალს არ მიმართავს და მწყურვალე — საკვებს.

როცა მოთხოვნილება განმეორებით იღვიძებს, ადამიანს არ სჭირდება იმაზე საგანგებო ფიქრი, ან კიდევ იმის პრაქტიკული მოსინჯვა, თუ რომელი საგანი დაკმაყოფილებს მას. იგი უშუალოდ განიცდის, რომ მას სწორედ ის საგანი უნდა, რომელიც მის ცნობიერებაშია ახლა წარმოდგენილი. შეიძლება წყურვილი მაშინ აღიძრას, როცა კაცი ინტენსიურად სულ სხვა რამეზე, ვთქვათ, წაკითხულ წიგნზე ფიქრობს, წყურვილში განცდილი საგნის ვრძნობას წაკითხულ წიგნთან არაფერი აქვს საერთო და ამიტომ უშუალოდ. სპეციალური მსჯელობის გარეშეც. განიცდება, რომ წიგნი და მასთან დაკავშირებული მოვლენები არაა ქვემდებარე მოთხოვნილების საგანი. მოთხოვნილების საგნის წარმოდგენა, მისი მოცემულობის ფორმა, მისი კონკრეტული ხატი ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე, ამ საგნის მოხმარების პროცესში უკავშირდება

მოთხოვნილების გრძნობას, თუ ეს მოთხოვნილება ისე თანშობილია, როგორც, მაგალითად, წყურვილი.

მოთხოვნილების გრძნობა მოთხოვნილების საგანს ასახავს არა, როგორც სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებულ გარესინამდვილის მოვლენას, არამედ, როგორც სიცოცხლის ნორმალური მიმდინარეობის განსაზღვრულ შინაგან დანაკლისს. მასში ეს დანაკლისი იგრძნობა. რას წარმოადგენს ეს დანაკლისი თავისთავად, როგორც სუბიექტს გარეთ არსებული მოვლენა, რა ბუნებისა და ფორმისაა იგი, ამას მხოლოდ ინტელექტი — საგნობრივი ცნობიერება — წვდება[2].

3. ყოველი მოთხოვნილება ცალკე ავტონომიას წარმოადგენს. ამაშია მისი მესამე ძირითადი თავისებურება. ერთი მოთხოვნილება მეორე რომელიმე თანადროულ მოთხოვნილებას არ ერთვის და მასთან ერთად მოთხოვნილების საერთო ფაქტს არ ქმნის. ერთდროულად აღმოცენების შემთხვევაში შიმშილი შიმშილად განიცდება და წყურვილი წყურვილად. იგივე ითქმის მაღალი რიგის მოთხოვნილებების მიმართაც: თეორიული, ესთეტიკური და ეთიკური მოთხოვნილებებიც არ გადადიან ერთმანეთში. თუ შეიძლება ასე ითქვას, თითოეულმა მათგანმა მხოლოდ თავისი საქმე იცის. მოთხოვნილების წიადაგზე აგებული ქცევის თავისებურებათა გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მოთხოვნილებები აქტივობის იმპულსებს იძლევიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ თავ-თავიანთი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის მიმართულებით. შეუძლებელია მოთხოვნილებამ ისეთი აქტივობის იმპულსი მოგვცეს, რომელიც თვითონ მისი დაკმაყოფილებისაკენ კი არ წარიმართება, არამედ სხვა რომელიმე მოთხოვნილებას მოემსახურება, სხვა რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე იზრუნებს. ყოველი მოთხოვნილება მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს. შეიძლება ორი ან რამდენიმე მოთხოვნილება აღიძრას ერთდროულად, მაგრამ მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობა ვარვითარდეს, რადგან ინდივიდს არ შეუძლია ერთდროულად ორი ან რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების პრაქტიკული მოქმედება განახორციელოს. შეუძლებელია მაგალითად, კაცი ერთდროულად ფეხბურთზეც წავიდეს და სანადირობაც. მაშინ, როცა მას ორივე მიმართულებით აქვს მოთხოვნილება. ასეთ შემთხვევაში, თუ რაიმე სხვა დამატები-

---

[2] შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, 1953, გვ. 111—125.

თი ფაქტორი არ ერევა საქმის მსვლელობაში, იგი უფრო ძლიერი მოთხოვნილების იმპულსს მიჰყვება და მისი მიმართულებით აქტივობას ირჩევს, თუ ასეთ რაიმეს შეიძლება ვუწოდოთ არჩევანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ხშირად საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა ერთდროულად აღძრული ორი ან რამდენიმე მოთხოვნილება ძირითადში ერთი და იგივე ფსიქოფიზიკური ძალების გამოყენებით — ერთი და იგივე პრაქტიკული მოქმედებით კმაყოფილდება. მაშინ ყველა ეს მოთხოვნილება ერთდროულად იძლევა ამ პრაქტიკული მოქმედების განსორციელებისათვის საჭირო იმპულსს, რის გამოც ეს მოქმედება უფრო მეტი ენერგიით მიმდინარეობს. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც თითოეული მოთხოვნილება მხოლოდ თავისთვის მოქმედებს, მხოლოდ თავის თავის დაკმაყოფილებას ეძიებს და მეორე მოთხოვნილების „შინაცხოვრებაში" არ ერევა. როცა მაგალითად, კაცი დიდხნის უნახავ და მონატრებულ მეგობართან ერთად მიდის ფეხბურთზე, იგი ამ გზით, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ფეხბურთის წყურვილსაც იკლავს და — მეგობართან შეხვედრისასაც, მაგრამ მთელ ამ მოქმედებაში მეგობრობის მოთხოვნილება ერთი რამეთი კმაყოფილდება, ხოლო ფეხბურთის — მეორეთი. დაკმაყოფილების ამ საშუალებათა შორის ისეთივე არსებითი განსხვავებაა, როგორც თვითონ ამ მოთხოვნილებებს შორის: ერთს მოქმედების ერთი რიგის მომენტები აკმაყოფილებენ, ხოლო მეორეს კიდევ — მეორე რიგისა; მეგობრული საუბარი ფეხბურთის მოთხოვნილებას არაფერს აძლევს და მოედანზე ბურთისა და ფეხბურთელების მოძრაობისადმი დაძაბულ ყურადღებაში მეგობრობის მოთხოვნილება ვერ ნახავს საზრდოს. თამაშის მიმდინარეობის გარშემო საუბარში ერთი მოთხოვნილებაც პოულობს საკვებს და მეორეც, მაგრამ აქაც თითოეულ მათგანს თავისი საგანი აქვს.

4. ყოველი მოთხოვნილება აწმყოს მდგომარეობაა და ცხოვრების აწმყოს უზრუნველყოფას ესწრაფვის — მისი ახლანდელი დანაკლისის შევსებას ცდილობს, ხვალინდელი დღე, მომავალი ცხოვრება მისი ბუნებიდან საერთოდ გამორიცხულია. ამიტომ იგი ინდივიდს, მთელი თავისი ფსიქოფიზიკური ძალებით უმორჩილებს მომენტალური აწმყოს ინტერესებს და ამ უკანასკნელს იქით გახედვის შესაძლებლობას ართმევს. შიმშილი, რომელიც ახლა არსებობს და განიცდება მხოლოდ ისეთი ქცევის იმპულსს იძლევა, რომელიც მის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. მას არ შეუძლია თუნდაც ერთი კუნთი შეატოკოს, ერთი აზრი გააღვიძოს იმ შიმში-

ლის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობისათვის, რომელიც ხვალ აღმოცენდება, მომავალი ცხოვრების მანძილზე განმეორდება. მისთვის კიდევ უფრო შეუძლებელია სრულ დაკმაყოფილებაზე თქვას უარი და ულუფის ნაწილი ხვალინდელი დღისათვის გადაინახოს. ხვალინდელი შიმშილი მასში ისე არ იგრძნობა, როგორც სხვა რომელიმე მოთხოვნილება. მაგალითად, წყურვილი ან ესთეტიკური მისწრაფება.

თვითშენახვასა და გვარის გაგრძელებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები, უფრო ხშირად, ისეთი ქცევის აქტებს ავითარებენ, რომელნიც თავიანთი ბუნებრივი რეზულტატებით — ობიექტური შედეგებით მომავალი ცხოვრების ამოცანებს ეშესაბამებიან და ბიოლოგიური თვალსაზრისით მომავალი ცხოვრების მიმართაც მიზანშეწონილი ჩანან, მაგრამ ფსიქოლოგიურად ეს აქტებიც აწმყოზე არიან მიმართულნი და ახლანდელი ცხოვრების კმაყოფილებით უზრუნველყოფას ესწრაფვიან. სწორედ ეს გარემოებაა, რომ მათ შესაძლებელს ხდის. თვითშენახვასთან დაკავშირებულმა მოთხოვნილებამ შეუძლებელია ისეთი ქცევის აქტის განხორციელებისათვის საჭირო იმპულსი მოგვცეს, რომელიც ცხოვრების ახლანდელ მიმდინარეობას გააუარესებს, მტკივნეულს და მწვავეს გახდის, მაგრამ მომავალში ორგანიზმის ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ შენახვას უზრუნველყოფს. ამიტომ თვითშენახვის მოთხოვნილების იმპულსი, რაგინდ აუცილებელიც არ უნდა იყოს ეს ჯანმრთელობისათვის (თვითშენახვისათვის), ვერც მწარე და დიდი უსიამოვნების მომგვრელ წამალს მიაღებინებს კაცს და ვერც მტკივნეულ ოპერაციას გააკეთებინებს, რადგან მათ სიცოცხლის ახლანდელ მიმდინარეობაში დიდი გარღვევა და უკმაყოფილება შეაქვთ.

მოთხოვნილება, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, სადაც ამის ობიექტური პირობები არსებობს, ინდივიდს განაწყობს იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მაქსიმალურად, რაც შეიძლება უმოკლეს დროში; დაყოვნება და თავშეკავება მისი ბუნებიდან აბსოლუტურად გამორიცხულია. იგი უარყოფდა თავისთავს, რომ ასეთი რამე გაეკეთებინა: საკუთარი იმპულსი შეეჩერებინა და არსებობის რომელიმე მომენტში, თუნდაც ერთი წუთით, დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

მოთხოვნილებას არც ის შეუძლია, რომ მეორე მოთხოვნილებას აღუდგეს წინ და მისი აქტივობის იმპულსი შეაკავოს, თუ ეს უკანასკნელი მას დაკმაყოფილების საშუალებას არ ართმევს და შესატყვისი განწყობის შექმნაში დაბრკოლებას არ უქმნის. იმ შემთხვევაში, როცა ერთდროულად აღიძვრის ორი მოთხოვნილება.

რომელთა დაკმაყოფილების ობიექტური პირობები მოცემულია, მაგრამ (იმის გამო, რომ სუბიექტს ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედება არ შეუძლია) მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის დაკმაყოფილება ხდება შესაძლებელი, საკითხი თავისთავად წყდება იმ მოთხოვნილების სასარგებლოდ, რომელსაც მეტი ძალის იმპულსი აღმოაჩნდება: ძლიერი მოთხოვნილება ყოველთვის იმორჩილებს სუსტს, რა ბუნებისაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, რადგან მოთხოვნილებათა ურთიერთბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მათ რაოდენობრივ მხარეს ეძლევა და არა რომელობითს.

მოთხოვნილება აღმოცენებიდან აღკვეთამდე განუწყვეტლად იძლევა თავისთავის დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობის იმპულსს, თუ იგი გარედან, რომელიმე მოთხოვნილების ან კიდევ სხვა რაიმე ფაქტორის ზეგავლენით არ განიცდის შეზღუდვას. მის იმპულსს ერთნაირად ემორჩილება, როგორც გარეგანი — პრაქტიკული, ისე შინაგანი — ფსიქიკური აქტივობის შესაძლებლობანი. მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენით ისევე ადვილად შეიძლება აღიძრან, მოცემულ ობიექტურ პირობებში, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო და აუცილებელი წარმოსახვისა და აზროვნების პროცესები, როგორც გრძნობის ორგანოებისა და მოტორული აპარატის მოძრაობანი, რომელნიც იმავე ამოცანას ემსახურებიან.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით პასიური ანუ უნებლიე შეიძლება იყოს მხოლოდ მეხსიერების, ყურადღებისა და წარმოსახვის პროცესები, რაც შეეხება აზროვნებას, იგი ყოველთვის აქტიური ბუნებისაა და ჩვენი ნებისა და განზრახვის შესაბამისად მიმდინარეობს. ეს უკანასკნელი დებულება არ შეესატყვისება სინამდვილეს. აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენით აზროვნების პროცესებიც შეიძლება აღიძრან უნებლიედ, ჩვენი ნებისა და განზრახვის საწინააღმდეგო მიმართულებით, სწორედ ისე, როგორც ეს მეხსიერების, ყურადღებისა და წარმოსახვის სფეროში ხდება. ძლიერი მოთხოვნილება, როცა მისი დაკმაყოფილების სიტუაცია უშუალოდ არაა მოცემული, ადამიანს აიძულებს აზროვნების საშუალებით მოსძებნოს პირობები, რომელიც მას უზრუნველყოფს, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა მისი დაკმაყოფილება განზრახვას ეწინააღმდეგება და პიროვნების მომავალი ცხოვრებისათვის აშკარად საზიანო ჩანს. ასე მოსდის

ხშირად ადამიანს, რომელიც სუსტი ნებისყოფის გამო, ძლიერი მოთხოვნილების იმპულსს წინააღმდეგობას ვერ უწევს და ადვილად ემორჩილება. როგორც ცნობილია, არიან მკვლევარები, რომელთაც თეორიული მოთხოვნილების იმპულსი შესვენების შესაძლებლობას არ აძლევს და აიძულებს იაზროვნონ პრობლემებზე, რომელნიც გადაუწყვეტელი დარჩათ, მაშინაც კი, როცა მათ განზრახული აქვს დაისვენონ და ამ მიმართულებით არ იფიქრონ.

აზროვნება, რომელიც მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენით აღიძვრება, მხოლოდ ამ მოთხოვნილების სიტუაციის ანალიზის საქმეს ემსახურება, მხოლოდ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზებსა და საშუალებებს ეძებს. ამ მიმართულებით, როცა ეს საჭირო ხდება, იგი მთელ თავის შესაძლებლობას ავლენს და მაქსიმალურ სინათლეს ფენს იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელნიც მისი მმართველი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურებიან ან აბრკოლებენ; სხვას, ყველაფერს, რაც ამ მოთხოვნილებას არ უკავშირდება, მხედველობის გარეშე ტოვებს და ანგარიშს არ უწევს. ამიტომ იგი სრულებით არ ჩერდება იმ მოვლენების ობიექტურ ღირებულებებზე, რომელნიც რჩებიან ქცევის დამთავრების შემდეგ, როგორც ამ ქცევის ბუნებრივი რეზულტატები.

ცნობიერების ის მოვლენები, რომელთაც პასიურს ანუ უნებლიეს ვუწოდებთ, იმპულსური ბუნებისანი არიან და იმპულსური ქცევის შინაგან აქტებს წარმოადგენენ. ისინი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის უშუალო ზეგავლენით აღმოცენდებიან და იმართებიან სწორედ ისე, როგორც გარეგანი იმპულსური მოძრაობანი. ეს გარემოება არაა თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში სათანადოდ გაცნობიერებული, რაც გარკვეულ სიძნელეს ქმნის ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის თავისებურებათა გაგების საქმეში.

როცა აქტუალური მოთხოვნილების საგანი უშუალო მოხმარებისათვის არაა მოცემული (მას მოპოვება და მომზადება სჭირდება, რაც მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ დროს ითხოვს) მოთხოვნილების აღძვრასა და დაკმაყოფილებას შორის ჩნდება დროითი ინტერვალი, რომელიც ზოგჯერ, ზოგიერთი მოთხოვნილების შემთხვევაში, შეიძლება საათების, დღეებისა და თვეების მანძილზეც გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაშიაც აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას მხედველობაში აქვს ცხოვრების აწმყო — თავის საფუძველში მდებარე მოთხოვნილების ახლანდელი მდგომარეობა და მის დაკმაყოფილებას ესწრაფვის. ინდივიდის ის მდგომარეობანი, რომელნიც აწმყოს საზღვრებს იქით, ნომავალში

არიან მოსალოდნელნი, მისი თვალთახედვის გარეშე რჩება მთლიანად.

5. მოთხოვნილებები იმ საგნებისა და მოვლენების მოხმარების პროცესში ისახებიან და ვითარდებიან, რომელნიც შემდეგ მოითხოვება მათში. „მოთხოვნილება, რომელსაც მოხმარება შეიგრძნობს საგნის მიმართ, შექმნილია ამ უკანასკნელის აღქმის ეზით. ხელოვნების საგანი, — ასევე ყოველი სხვა პროდუქტი, — ქმნის საზოგადოებას, რომელსაც გაეგება ხელოვნება და შესწევს სიმშვენიერით დატკბობის უნარი". „მოხმარება ქმნის მოთხოვნილებას, როგორც შინაგან საგანსო"[3],—წერს მარქსი. ბიოლოგიური რიგის მოთხოვნილებები შესატყვის მოვლენათა ისტორიულ მოხმარებაშია შემუშავებული გვარის ცხოვრების მანძილზე, მაგრამ კონკრეტულ ხასიათსა და დიფერენციაციას მაინც ცალკე ინდივიდის მიერ წარმოებულ მოხმარების აქტებში აღწევენ. მოთხოვნილება ლუდზე მხოლოდ იმას შეიძლება ჰქონდეს, ვისაც ლუდი დაულევია და თამბაქოზე კიდევ იმას ვისაც თამბაქო მოუწევია. არც ეთიკური, თეორიული და ესთეტიკური მოთხოვნილებები ჩნდებიან სხვანაირად. სიკეთე, ჭეშმარიტება და მშვენიერება მხოლოდ მათ იზიდავს და აკმაყოფილებს, ვისაც მათთან მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონია. აღზრდა, მხოლოდ ამ გზით ახერხებს სასურველ მოთხოვნილებათა გამომუშავებას. მოზარდმა მშვენიერება უნდა აღიქვას, სიკეთე და ჭეშმარიტება უნდა განიცადოს ხშირად, რომ მათზე მოთხოვნილება გამოუმუშავდეს. კაცი, რომელსაც არასოდეს არ უნახავს ესთეტიკური გემოვნებით მოწყობილი ბინა და სუფთა, ლამაზად შეკერილი ტანსაცმელი, შეუძლებელია ამ მიმართულებით რაიმე მოთხოვნილებას გრძნობდეს.

მოთხოვნილებები, რომელნიც ადამიანის ბიოლოგიურ სტრუქტურაში ნახულობენ თავიანთ სათავეს, ან კიდევ ასეთ სათავესთან პირდაპირ კავშირში იმყოფებიან, შესატყვის სიტუაციაში, სწრაფად და ადვილად ვითარდებიან და ძნელად ამოიკვეთებიან, იმ მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელთაც წმინდა სოციალური ხასიათი აქვთ და ადამიანურ შინაარსს ატარებენ. ამით აიხსნება ის გარემოება. რომ ახალგაზრდები, ზოგჯერ, ადვილად იძენენ და მტკიცედ ინარჩუნებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელია, ხოლო იმავე თვალსაზრისით მისაღებ და მოსაწონ მოთხოვნილებათა გამომუშავებას ძნელად აღწევენ და ისიც სპეციალურ საალმზრდელო ზემოქმედებათა ზეგავლენის გზით.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 269—270.

მოთხოვნილების იძულსი ძით უფრო ძლიერდება და ძველად შესაკავებელი ხდება (როცა ასეთ რაიმეს საჭიროება მოითხოვს), რაც უფრო ახლოა და სრულყოფილია საგანი, რომელიც მას აკმაყოფილებს. იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელთაც მაღალხარისხოვანი სახმარი თვისებები აქვთ, შეუძლიათ უკვე დაკმაყოფილებული და შიძინებული მოთხოვნილებებიც გააღვიძონ, გააძლიერონ და სამოქმედოდ აღძრან. როგორც ადრე კ. ლევინმა უჩვენა, მოთხოვნილების საგანი მოთხოვნილების სუბიექტს თავისკენ იზიდავს, სამოქმედოდ აღძრავს და ისეთი აქტივობის შესრულებას აიძულებს, რომელიც მის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს[4]. წყალი მწყურვალს სასმელად იწვევს, ხოლო სავარძელი დაღლილს — მოსასვენებლად; გემრიელი საკვები მშიერს თავისკენ იზიდავს, თითქოს ეძახის რომ მის მიერ შეჭმულ იქნას. როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, მოთხოვნილების საგანი ასეთ რაიმეს ახერხებს იმ განწყობის შემწეობით, რომელსაც იგი თავის დაკმაყოფილების სიტუაციაში ქმნის.

მოთხოვნილება თუ არ კმაყოფილდება, მისი ინტენსივობა ჯერ თანდათანობით ძლიერდება და აღწევს მაქსიმალურ დონეს, ხოლო შემდეგ ნელა ეშვება დაბლა, სუსტდება და, ზოგიერთ შემთხვევაში, მთლიანად ქრება. ეს მოსაზრება ნაწილობრივ ვრცელდება ისეთ საარსებო მოთხოვნილებაზედაც, როგორიც შიმშილია. ეს უკანასკნელი იმ ინდივიდთან, რომელთანაც სისტემატურად სრულყოფილად და მთელი დატვირთვით კმაყოფილდება მეტი ძალით განიცდება, ვიდრე იმ ინდივიდთან, რომელიც, ჩვეულებრივ, მცირე და ღარიბ ულუფას ღებულობს და ისიც უსისტემოდ. ამბობენ: ოცი-ოცდახუთი დღე-ღამის მანძილზე აბსოლუტური შიმშილობის შემდეგ საკვებზე მოთხოვნილება აღარ განიცდება ისეთი ძალით, როგორც ის ორი-სამი დღის უჭმელობის შემდეგ იჩენს თავს. მოთხოვნილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება სრულიად აღმოვკვეთოთ ინდივიდის ბუნებიდან, თუ მათი დაკმაყოფილების საშუალებას აბსოლუტურად წავართმევთ. ეს მოსაზრება, ცხადია, მეტი ძალით ვრცელდება სოციალური ანუ მაღალი რიგის მოთხოვნილებებზე, ვიდრე იმ მოთხოვნილებებზე, რომელთაც თავიანთი ფესვები თანშობილ ლტოლვებში მოეპოვებათ. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს დაკმაყოფილების პროცესის მოწესრიგების გზით ვმართოთ მოთხოვნილება: გავაძლიეროთ, დრო-

---

[4] იხ. Kurt Lewin, Vorsatz, Wille und Bedürfnis. Psychologische Forschung, Zeitschrift für Psychologie und ihre Grenzwissenschaften, sibente Band, 1926, ss. 362.

ში თავისი ადგილი მიუჩინოთ, შეგასუსტოთ ან კიდევ თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, ძოლიანად აღვკვეთოთ იგი, როცა ამას ცხოვრების საჭიროება და აღზრდის ამოცანები მოითხოვენ.

6. ყოველი მოთხოვნილება, ქმნის რა შესატყვის სიტუაციაში სათანადო განწყობას, ავითარებს ქცევის აქტებს, რომელნიც მას აკმაყოფილებენ. დაკმაყოფილებული მოთხოვნილება უკვე აღარაა მოთხოვნილება, მაგრამ იგი, ცოტად თუ მეტად ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ, შინაგანი ან გარეგანი მოვლენების ზეგავლენით, ხელახლა აღმოცენდება და განმეორებით ესწრაფვის დაკმაყოფილებას. აღნიშნულ გარემოებათა გამო, მოთხოვნილებათა მნიშვნელოვან ნაწილს პერიოდული ხასიათი აქვს. ამ რიგის მოთხოვნილებებს თუ ყოველთვის დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში მივცემდით დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ისინი შემდეგში ჩვეულებრივ, დროის ამ მონაკვეთში იჩენენ თავს პერიოდულად და სხვა მომენტებში აღარ შეგვაწუხებენ. ასეთია, პირველ რიგში, ბიოლოგიურ არსებობასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები, მაგრამ პერიოდულობა არც სხვა მოთხოვნილებებისათვისაა უცხო. იგი შეიძლება ინტელექტუალური და ესთეტიკური მოთხოვნილებებისთვისაც გაჩდეს მეტად თუ ნაკლებად დამახასიათებელი. თუ ამას აღზრდა და ცხოვრების პირობები შეუწყობს ხელს. მოთხოვნილებათა ასეთ მოწესრიგებას, თითოეული მათგანისათვის დროში გარკვეული ადგილის მიჩენას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიერ მათი იმპულსების დაქვემდებარებისა და ცხოვრების ნებისმიერი გეგმით მართვის საქმეში.

არიან ისეთი მოთხოვნილებებიც, რომელნიც, დამკვიდრდებიან რა ადამიანის ბუნებაში, მხოლოდ შესატყვის სიტუაციაში აღმოცენდებიან და იჩენენ თავს. ამიტომ პერიოდულობა არ შეადგენს მათ დამახასიათებელ თვისებას. ინდივიდი მათ მაშინ განიცდის, როცა სათანადო სიტუაციაში ხვდება და ობიექტური სინამდვილის სპეციფიკურ ზეგავლენას გრძნობს. ასეთია, პირველ რიგში, ზნეობრივი მოთხოვნილება. მას განვიცდით მაშინ, როცა ზნეობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაში ვიმყოფებით და ჩვენს წინაშე ზნეობრივი მოქმედების შესაძლებლობა იშლება. ბიოლოგიური, ინტელექტუალური და ესთეტიკური მოთხოვნილებები მაშინაც იჩენენ თავს, როცა მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო სინამდვილე რეალურად არაა მოცემული, მოსანახია და მოსაპოვებელი. ისინი გვაიძულებენ ასეთი სინამდვილე მოვძებნოთ. ზნეობრივი მოთხოვნილება, ჩვეულებრივ, ასე არ უსწრებს წინ სიტუა-

ციას, იგი შემთხვევათა მიხედვით, სიტუაციურად აღმოცენდება და კმაყოფილდება, იწვევს რა შესატყვის განწყობასა და ქცევის აქტებს.

7. ყოველი მოთხოვნილება საგანთა და მოვლენათა რომელიმე კონკრეტული თვისების მოპმარების პროცესში აღმოცენდება და შემდეგ, ყოველთვის საგანთა და მოვლენათა იმავე კონკრეტული თვისების მოხმარებისაკენ მისწრაფებაში იჩენს თავს. ამიტომ არ არსებობს საერთო, განყენებული ანუ ზოგადი მოთხოვნილება, ისეთი მოთხოვნილება, რომელიც ცხოვრების ახლანდელ მდგომარეობაში არსებული რაიმე კონკრეტული შინაარსის დანაკლისით არ იყოს შეპირობებული და მისი შევსებისკენ არ ისწრაფოდეს. შიმშილი საერთოდ, რომელიც ახლა, ამ წუთში არ არსებობს, დაკმაყოფილებას არ ესწრაფვის, შესატყვის იმპულსს არ იძლევა და არ განიცდება, მაგრამ იაზრება, რომ ახლო თუ შორეულ მომავალში წარმოიშობა, არაა შიმშილი. იგი არის წარმოდგენა, აზრი ან იდეა შიმშილის შესახებ და არა შიმშილის ცოცხალი ფაქტი, რომელიც თვითონ სიცოცხლის რეალობას გამოხატავს და ფლობს რა გარკვეულ ძალასა და ენერგიას, თავისთავის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის იმპულსს იძლევა. შიმშილს. რომლის არსებობაც მომავალში იაზრება და ახლა ცნობიერებაში მხოლოდ წარმოდგენის ან აზრის სახითაა მოცემული, ისევე არ შეუძლია ახლა ქცევის აქტების შეპირობება და მართვა, როგორც წარმოსახულ ადამიანს, რომელიც ჯერ არ ჩასახულა და განვითარებულა, მაგრამ იაზრება. რომ ოდესმე მომავალში გაჩნდება.

განყენებული ანუ ზოგადი მოთხოვნილება შეიძლება იყოს მხოლოდ აზრი ანუ იდეა მოთხოვნილების შესახებ და არა თვითონ მოთხოვნილება. ეს ორი რამ ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ყოველი იდეალური რეალურისაგან. ელექტროდენს შეუძლია მოგვცეს სინათლე და მოძრაობაში მოიყვანოს მანქანები. წარმოდგენის, იდეის ანუ აზრის სახით მოცემული ელექტროდენი ვერც სინათლეს მოგვცემს და ვერც რაიმე მოძრაობას გამოიწვევს, რადგან მისი ბუნებისათვის ასეთი რაიმე აბსოლუტურად უცხოა. სწორედ ასეთივე განსხვავებაა მოთხოვნილებასა და მოთხოვნილების იდეას ანუ აზრს შორის. ამიტომ არაა სწორი დებულება, რომელიც კონკრეტული, ცოცხალი, აქტუალური მოთხოვნილების გვერდით უშვებს კიდევ რაღაც განყენებული და ზოგა-

დი მოთხოვნილებების (როგორც მოქმედი მოთხოვნილებების) არსებობას და ნებისმიერი ქცევის ენერგიის წყაროს ხედავს მათში[5].

არც ის შეიძლება, რომ ჩვეულებრივი მოთხოვნილებების გვერდით, რომელთაც კერძო და კონკრეტული ხასიათი აქვთ, დავუშვათ არსებობა კიდევ ერთი არაჩვეულებრივი მოთხოვნილებისა, რომელიც ყველა დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობების შექმნაზე იზრუნებს და ისეთი ქცევის იმპულსებს მოგვცემს, რომელსაც მომავალში შესაძლო და მოსალოდნელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო მოვლენათა მოპოვება, დაცვა და შენახვა ექნება მხედველობაში. ადამიანი ასეთ ქცევას ასრულებს და სწორედ ამის გამო არის იგი ადამიანი; მაგრამ უნარი, რომლითაც ასეთი ქცევის განხორციელება ხერხდება, თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, იმდენად განსხვავდება მოთხოვნილების ცნებაში ნაგულისხმევი მოვლენებისაგან, რომ შეცდომას თავს ვერ დავაღწევთ, თუ იგი მოთხოვნილებებისაგან ცალკე არ გამოვმიჯნეთ და მისი სპეციფიკური ბუნების ჩვენებაზე ხელი ავიღეთ. ის უნარი, რომელიც მომავალში მოსალოდნელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობების მოპოვებისა და დაცვისაკენ მიმართული ქცევის აქტებს ედება საფუძვლად, არ შეიცავს მოთხოვნილების იმ ფსიქოლოგიურ თვისებას, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მკვლევარი, რომელიც ასეთ უნარს მოთხოვნილებას უწოდებს, ფაქიზი მეცნიერული ანალიზის შემდეგ, მაინც იძულებული გახდება მკაცრად გამიჯნოს იგი დანარჩენი მოთხოვნილებებისაგან და ცალკე დააყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დაიღწევს იმ ტიპის შეცდომებს, რომელსაც ასოციაციონისტური ფსიქოლოგია უშვებდა, როცა ყურადღების გარეშე ტოვებდა შეგრძნებასა (წარმოდგენასა) და აზროვნებას შორის არსებულ განსხვავებას და მათ არსებითად ერთისა და იმავე რიგის მოვლენებად თვლიდა, უპირველოდ, იმის გამო, რომ ორთავე შემეცნების საქმეს ემსახურება.

8. მოთხოვნილებები პიროვნების ნებას არ ემორჩილებიან ისინი ყოველგვარი განზრახვის გარეშე ჩნდებიან და იძლევიან მოცემულ სიტუაციაში თავთავიანთი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის იმპულსებს. მართავს. ამიტომ ცხადია, ქცევა, რომელსაც მოთხოვნილების იმპულსი მართავს, არაა ნებისმიერი ქცევა, იგი იმპულსურ ხასიათს ატარებს. უნებლიე ანუ პასიური ყურადღების,

---

5 შეად. დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 170—171; რ. ნ ა თ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ. 475—479.

მეხსიერების წარმოსახვისა და აზროვნების პროცესები ასეთი ქცე
ვის შინაგან მხარეს წარმოადგენენ — მისი შინაგანი აქტები არიან

ადამიანს შეუძლია თავისთავი ჩააყენოს პირობებში, რომლ
ზეგავლენითაც იმ მოთხოვნილების გამომუშავება ხდება, რომ
ლიც მას, რაიმე მოსაზრებით, სასურველად მიაჩნია ჰქონდეს, მ
გრამ გამომუშავების შემდეგ ეს მოთხოვნილებაც მისდა დაუკითხ
ვად იჩენს თავს და ესწრაფვის დაკმაყოფილებას. როგორც ზემო
იყო აღნიშნული, მკვლევარი ზოგჯერ საგანგებოდ ცდილობს თეო
რიული მოთხოვნილებისაგან დროებით გათავისუფლდეს და ინტე
ლექტი შეასვენოს, მაგრამ წინააღმდეგ მისი განზრახვისა, ეს მო
თხოვნილება მაინც განაგრძნობს აქტივობას და შესატყვისი ქცევი
იმპულსებს იძლევა. ბევრს უნდა არ ჰქონდეს მოთხოვნილება თამ
ბაქოზე, ღვინოზე, აზარტულ თამაშზე, მაგრამ მხოლოდ ნდომ
არაფერს ცვლის ამ მოთხოვნილებათა არსებობაში.

9. მოთხოვნილებათა მთელი მრავალფეროვნება შეიძლება მო
ვაქციოთ რამდენიმე ჯგუფში, რომელიც გარკვეული ნიშნის საფუ
ძველზე იქნება შედგენილი. წარმოშობისა და ხასიათის მიხედვით
ადამიანის მოთხოვნილებათა მთელი სამკვიდრო ორ დიდ ჯგუფად
იყოფა. ერთ ჯგუფში თავსდებიან ძოთხოვნილებები, რომელთა
სათავე ბიოლოგიურ სტრუქტურაში აქვთ და ინდივიდის ან გვარის
ბიოლოგიური სიცოცხლის მიმდინარეობასთან არიან უშუალოდ და
კავშირებულნი. ასეთია, პირველ რიგში, ის მოთხოვნილებები, რო
მელნიც თვითშენახვისა და გვარის გაგრძელების მიმართულებით
იჩენენ თავს. კვებასა და გამრავლებასთან დაკავშირებული მოთხოვ
ნილებები თანშობილნი არიან, მაგრამ თავიანთ გარკვეულობასა
და კონკრეტულ შინაარსს მაინც ინდივიდის ცხოვრების მანძილზ
ღებულობენ. აქ წარმოებს მათი ინდივიდის საცხოვრებო პირობე
ბის შესატყვისად განვითარება და დიფერენციაცია. ამავე ჯგუფს უნ
და მივაკუთვნოთ ინდივიდუალური ცხოვრების მანძილზე შეძენი
ლი მოთხოვნილებები, რომელნიც გარესინამდვილის მოკლენათ
ამა თუ იმ ფიზიკურ-ქიმიურ თავისებურებათა ზემოქმედების შედე
გად აღმოცენდებიან ინდივიდში და სიცოცხლის ბიოლოგიურ
მსვლელობაში მოშხდარი ცვლილებებით არიან შეპირობებულნი
ასეთია მაგალითად, ის მოთხოვნილებები რომელნიც ღვინის, ლუ
დის, თამბაქოს, მორფის და სხვა ნარკოტულ ნივთიერებათა მიმართ
იჩენენ თავს. ეს ნივთიერებანი, იწვევენ რა ორგანიზმში შესატყვის
ბიოქიმიურ პროცესებს, დროებით, მოკლე ხნით, საკრძნობლად

აუმჯობესებენ შინაგანი სასიცოცხლო აქტივობის პირობებს, რის გამოც მათზე მოთხოვნილებები სწრაფად ვითარდებიან. იმ უარყოფით შედეგებს, რომელიც ამ ნივთიერებათა ხშირ მიღებას მოსდევს შედეგად მომავალში, შესატყვისი მოთხოვნილებები ანგარიშს არც აღმოცენების დროს უწევენ და არც დაკმაყოფილების დროს, რადგან, როგორც აღნიშნული იყო, მოთხოვნილებებისათვის, ყველაფერი რაც აწმყოს საზღვრებს იქით მდებარეობს, ერთნაირად ინდიფერენტული რჩება. მოთხოვნილებათა ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე აქტივობის მოთხოვნილებები. რომელთაც თავიანთი საფუძველი ორგანიზმის ფუნქციონალურ სტრუქტურებში აქვთ და ისეთი ქცევის იმპულსებს იძლევიან, რომელნიც ბიოლოგიურად ამ ფუნქციონალური სტრუქტურების განვითარებისა და შენახვის საქმეს ემსახურებიან. ფუნქციობის მოთხოვნილებას უშუალოდ უკავშირდებიან (მის შებრუნებულ მხარეს წარმოადგენენ) ძილისა და დასვენების მოთხოვნილებები, რომელთა ობიექტური აზრი, ორგანიზმის მიერ აქტივობაზე დახარჯული სასიცოცხლო ენერგიის აღდგენისაკენ მისწრაფებაში გამოიხატება. ზემოთ დასახელებული მოთხოვნილებანი ინდივიდის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ ანუ სხეულებრივ ცვლილებებთან არიან დაკავშირებულნი და გარესინამდვილის ამა თუ იმ ნივთიერი ანუ მატერიალური მოვლენის მოხმარებაში ნახულობენ თავიანთ დაკმაყოფილებას. ამიტომ მათ ბიოლოგიური. ნივთიერი ან მატერიალური მოთხოვნილების სახელწოდებით აღნიშნავენ. ეს სახელწოდება კარგად გამოხატავს მათ სხეულებრივ ბუნებას.

მეორე დიდ ჯგუფს შეადგენს მოთხოვნილებები, რომელნიც თავიანთ ფესვებს ადამიანის სულიერ სტრუქტურაში იდგამენ და საკაცობრიო კულტურის მოვლენებთან ურთიერთობაში ისახებიან, ვითარდებიან და კმაყოფილდებიან. ამიტომ ისინი თავიდანვე სოციალურ ხასიათს ატარებენ და ინდივიდის ადამიანურ ბუნებას გამოხატავენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება, პირველ რიგში ეთიკური, თეორიული და ესთეტიკური მოთხოვნილებები, რომელთაც სულიერ. სოციალურ ან წმინდა ადამიანურ მოთხოვნილებათა. საერთო სახელწოდებით აღნიშნავენ. სულიერი მოთხოვნილებები განვითარების მხოლოდ მაღალ, ადამიანურ საფეხურზე იჩენენ თავს და ინდივიდს მიმართავენ რა კულტურის მოვლენებისაკენ, უფრო ხშირად ისეთი ქცევის აქტებს ავითარებენ, რომელთაც, საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით, გაცილებით მეტი ღირებულება აქვთ, ვიდრე იმ აქტივობას, რომელიც სხეულებრივი ხასიათის მო-

თხოვნილებით არის შეპირობებული. აღნიშნულ გარემოებათა გა-
მო, სულიერ მოთხოვნილებებს, მაღალ მოთხოვნილებებსაც უწო-
დებენ.

ბიოლოგიური ანუ სხეულებრივი რიგის მოთხოვნილებებიც არ
არიან მოკლებული სოციალურ ხასიათს, რამდენადაც ისინი სო-
ციალურ მოთხოვნილებათა სიტუაციებში ვითარდებიან და საზოგა-
დოებრივი წარმოების პროდუქტების მოხმარებაში ეძიებენ თა-
ვიანთ დაკმაყოფილებას. მაგრამ ის, რაც მათში მთავარი და არსე-
ბითია, მაინც სხეულებრივ ანუ ბიოლოგიურ ხასიათს ატარებს და
უშუალოდ. პირველად სასიცოცხლო პროცესებთანაა დაკავშირებუ-
ლი.

მოთხოვნილებები სხვა თვალსაზრისითაც შეიძლება დავაჯგუ-
ფოდ. დ. უზნაძის აზრით, — საჭიროა განვასხვავოთ მოთხოვნილება-
თა ორი ძირითადი სახე — სუბსტანციონალური მოთხოვნილებე-
ბი და ფუნქციონალური მოთხოვნილებები"[6]. პირველში მას მხე-
დველობაში აქვს მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად
სუბსტანციონალური ანუ საგნობრივი რამაა საჭირო. ასეთია მაგა-
ლითად, შიმშილი, რომელსაც გარკვეული წივთიერება აკმაყოფი-
ლებს. მოთხოვნილებათა მეორე ძირითად სახეს დ. უზნაძე იმ მო-
თხოვნილებებს მიაკუთვნებს, რომელთაც თვითონ მოქმედება ანუ
აქტივობა აკმაყოფილებს. „ორგანიზმში თავს იჩენს არა მარტო
რისიმე სუბსტანციონალურის მოთხოვნილება: იგი ისწრაფვის
აქტივობისკენაც, როგორც ასეთისკენ — იგი საჭიროებს მოქმედე-
ბას თავისთავად. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი ორგანიზმის ბუ-
ნებრივი მდგომარეობა სრულიადაც არაა უძრაობა, პირიქით, ცო-
ცხალი ორგანიზმი მუდმივი აქტივობის მდგომარეობაშია. იგი მას
წყვეტს მხოლოდ დროებით და პირობითად. ეს მაშინ ხდება, როცა
ორგანიზმი იძულებულია მიმართოს დასვენებას"[7]. ამგვარად, ორ-
განიზმს, იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც, უხდება ცხოვრება,
უჩნდება მოთხოვნილება ამა თუ იმ მიმართულებით ფუნქციო-
ბისა. დ. უზნაძე ამ სახის მოთხოვნილებას ფუნქციონალურს უწო-
დებს. ფუნქციონალურია მაგალითად, მოთხოვნილება, რომელსაც
თამაში აკმაყოფილებს.

ბიოლოგიური რიგის ყოველი მოთხოვნილება იმავე დროს სუბ-
სტანციონალური ან ფუნქციონალური მოთხოვნილებაცაა. ასევე

---

6 დ. უ ზ ნ ა ძ ე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ფსიქოლოგია, VI, 1949, გვ. 44.

7 იქვე, გვ. 45.

სულიერი მოთხოვნილებაც: მას ან თვითონ ფსიქიკურ შესაძლებლობათა აქტივობა აკმაყოფილებს, ან კიდევ ის საგნობრივი შინაარსი, რომელიც ამ აქტივობით მოიპოვება.

სუბსტანციონალური მოთხოვნილებაც აქტივობასთანაა დაკავშირებული, რადგან მას მხოლოდ ის საგნობრივი მოვლენა აკმაყოფილებს, რომელიც ამა თუ იმ შინაგანი აქტივობის შეფერხების მოხსნისთვისაა აუცილებელი. საკვები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აუცილებელია იმისათვის, რომ ჯერ საკმლის მომნელებელმა სისტემამ, ხოლო შემდეგ უჯრედებმა, რომლითაც მთელი ორგანიზმია აგებული, მათთვის დამახასიათებელი სიცოცხლის აქტივობის გაგრძელება შესძლოს.

კ. ლევინი შეეცადა მოთხოვნილების სრულიად ახალი სახის — ქვაზი-მოთხოვნილების — არსებობა დაედასტურებინა. ქვაზი-მოთხოვნილებას (ვითომდა მოთხოვნილებას) კ. ლევინი უწოდებს ვადაწყვეტილებას, განზრახვას, რომელიც ისე მოქმედებს თითქოს მართლა მოთხოვნილება იყოს, იგი ნამდვილ მოთხოვნილებასავით ქმნის შინაგან, ფსიქიკურ დაძაბულობას, შესაფერისი ქცევის აქტების გზით ესწრაფვის განტვირთვას. და სიტუაციას, რომელშიაც მისი რეალიზაციაა შესაძლებელი, ანიჭებს გამოწვევის თვისებას (Aufforderungscharakter-ს). მაგალითად, საკმარისია კაცმა მეგობრისადმი წერილის მიწერა გადაწყვიტოს და, მაშასადამე, ერთგვარი ქვაზი-მოთხოვნილება გაიჩინოს, რომ შემდეგ დროებით, შეიცვალოს მისი დამოკიდებულება იმ საგნებთან, რომლებზეც ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაა დამოკიდებული: ახლა მას მაგიდა, ქაღალდი და საწერ-კალამი თითქოს მოეწოდებს დაჯდეს და წერილი დაწეროს; კონვერტი — წერილი შიგ ჩადოს და დაბეჭდოს; ფოსტის ყუთი — წერილი ჯიბიდან ამოიღოს და მასში ჩააგდოს.

ჩვენი აზრით, გადაწყვეტილება, რომელიც ნებისმიერი ქცევის აქტებს ედება საფუძვლად, არაა მოთხოვნილება, არ იზიარებს მოთხოვნილებების ძირითად ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ამას კ. ლევინიც გრძნობს და სწორედ ამიტომაა, რომ მას „ვითომდა მოთხოვნილებას“ უწოდებს და არა — ნამდვილ მოთხოვნილებას. გადაწყვეტილება შეიძლება ერთბაშად მოიხსნას, თუ მისი განხორციელება აშკარად მიზანშეუწონელი აღმოჩნდება. მოთხოვნილებები არ იხსნებიან და არც აწმყოს საზღვრებს გარეთ მდებარე ცხოვრების მოვლენათა მიზანშეწონილებას ღებულობენ მხედველობაში, როცა თავიანთთვის საჭირო ქცევის იმპულსებს იძლევიან. მათ შო-

რის სხვა, არსებითი ხასიათის განსხვავებაცაა, მაგრამ ამაზე სხვა დროს მოგვიხდება ლაპარაკი.

აქ, ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი: კ. ლევინს არ აქვს განწყობის ცნება. განწყობა, როგორც ყოველი ქცევის უშუალო და უახლოესი მიზეზი, მის მიერ არ არის შეცნობილი. ამიტომ იგი განწყობის ძირითად თვისებებს მოთხოვნილებებს მიაწერს და ყოველ მოვლენას, რომელსაც ეს თვისებები აღმოაჩნდება, მოთხოვნილების რიგის მოვლენად თვლის. მოთხოვნილებაც და გადაწყვეტილებაც შესატყვის სიტუაციაში, როგორც ამას ქვემოთ უფრო დაწვრილებით გავეცნობით, ქმნის შესაფერისი მოქმედების განწყობას. განწყობა არის ინდივიდის დინამიკური მდგომარეობა, რომელშიაც მოცემული სიტუაციის შესატყვისი კონკრეტული ქცევის აქტები წინასწარაა განსაზღვრული მიდრეკილების მსგავსად. ამიტომ განწყობის ზეგავლენით, ის საგნები და მოვლენები, რომელნიც სიტუაციის ძირითად მომენტებს წარმოადგენენ და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან გადაწყვეტილების განხორციელების საქმეს ემსახურებიან, იძენენ გამოწვევის თვისებას იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მათზე მიმართული ქცევის აქტებია გათვალისწინებული განწყობაში. ფოსტის ყუთი მხოლოდ წერილის დაწერის, კონვერტში მოთავსების, დაბეჭდვისა და ჯიბეში ჩადების შემდეგ მოუწოდებს კაცს წერილი ჯიბიდან ამოიღოს და მასში (ფოსტის ყუთში) ჩაუშვას. თვითონ მოთხოვნილებაში არაფერი არაა გარკვეული ქცევის აქტების იმ რიგის შესახებ, რომლის განხორციელებაც მის დასაკმაყოფილებლად არის საჭირო. ამიტომ იგი, განწყობის გარეშე, ქცევის აქტებს სიტუაციის შესატყვის ორგანიზაციას ვერ გაუკეთებს, სიტუაციის ძირითად მომენტებს ვერ მიანიჭებს გამოწვევის თვისებას მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო თანმიმდევრობით, ხოლო სიტუაციის ყველა ძირითადმა მომენტმა, რომ ერთდროულად და ერთნაირი ძალით შეიძინოს ეს თვისება მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება საერთოდ შეუძლებელი გახდება.

ამგვარად, ფსიქიკური დაძაბულობა, რომელიც მხოლოდ სიტუაციურად გარკვეული, კონკრეტული შინაარსის ქცევის აქტებს შეუძლია მოხსნას და სიტუაციის ძირითადი მომენტებისადმი გამოწვევის თვისების მინიჭება ქცევის აქტებისათვის შესაფერი თანმიმდევრობით, რასაც კ. ლევინი მოთხოვნილებას მიაწერს, განწყობისათვისაა დამახასიათებელი და მის ბუნებას გამოხატავს. განწყობა, თუ შეიქმნა, სულ ერთია, რა გზითაც არ უნდა შეიქმნას იგი, რა

ხასიათისაც არ უნდა იყოს მისი სუბიექტური ფაქტორი, ამ ბუნებას ყოველთვის გამოამჟღავნებს. ამიტომ თვისებები, რომელთაც კ. ლევინი მოთხოვნილებისა და გადაწყვეტილების საერთო ნიშნებად თვლის, ნამდვილად განწყობისათვისაა დამახასიათებელი და ამ ორი, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მოელენის, გაიგივების შესაძლებლობას არ იძლევა. ქვაზი-მოთხოვნილება არაა მოთხოვნილება და სწორედ ამიტომ დასჭირდა ავტორს მის მიმართ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ტერმინის „ქვაზი" („ვითომდა") გამოყენება.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ ყველაფერს, რაც აქამდე მოთხოვნილებათა შესახებ ითქვა, უდავოდ უნდა მიეიჩნიოთ შემდეგი გარემოება: შეუძლებელია ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა სახის ქცევა აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს დავაფუძნოთ და განვიხილოთ, როგორც იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული აქტივობა, რომელიც თვითონ ქცევის მიმდინარეობის მომენტში არსებობს და განიცდება. ეს მოსაზრება კიდევ უფრო ცხადი გახდება, როცა იმ ქცევის სპეციფიკურ თავისებურებებს გავითვალისწინებთ, რომელიც აქტუალური მოთხოვნილების ნიადაგზე შეიძლება აიგოს.

იმპულსური ქცევის კანონზომიერებანი

ქცევა, რომელიც იმ მოთხოვნილების იმპულსს მიჰყავს, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურება, იმპულსურია, იმის მიუხედავად, თუ რა ინტელექტუალურ ძალებს ირთავს იგი თავის მიმდინარეობაში. დაკვირვება ადასტურებს, რომ მოთხოვნილებათა იმპულსებს ერთნაირად ემორჩილებიან მოტორიკისა და ინტელექტის უმაღლესი შესაძლებლობანი. შიმშილი, ისე როგორც ყველა სხვა მოთხოვნილება, როცა მისი დაკმაყოფილების ქცევისათვის ხდება აუცილებელი, ყურადღებასაც გამოიწვევს და მეხსიერებასაც, წარმოსახვასაც და აზროვნებასაც. ამ შინაგანი პროცესების გამოყენება ქცევაში, რომელიც მისი დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება, მოთხოვნილებას მოტორული ჩვევების (ხელისა და ფეხის ჩვეული ძოძრაობების) გამოყენებაზე მეტად არ უძნელდება.

მაგრამ მოთხოვნილება ვერ მისცემს აზრს ისეთ მიმართულებას, რომელიც მას არაფერს მოუტანს. ამიტომ იგი ქცევის მიმდინარეობაში უბრალოდ ვერ ჩართავს აზროვნების პროცესებს, რომლებიც ქცევისა და მისი ბუნებრივი რეზულტატების ობიექტურ ღირებულებათა გამორკვევას შეეცდება და უჩვენებს რა ფასი აქვთ მათ აწმყოს

საზღვრებს იქით მდებარე ცხოვრებისათვის, პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მოვლენებისთვის, რომელნიც, მოცემულ მომენტში ამ მოთხოვნილებასთან არავითარ კავშირში არ მოდიან. სამაგიეროდ აზროვნებას ძალზე მალური სიცხადით შეუძლია გააცნობიეროს გზები და საშუალებები, რომლითაც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომლის იმპულსითაც თვითონაა აღძრული. ამ გარემოების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იმპულსური, ისე ნებისმიერი ქცევის თავისებურებათა გაგებისათვის.

ჩვენ, ქცევას „იმპულსურს" ვუწოდებთ, თუ იგი თავიდან ბოლომდე. ყველა მასში ჩართული სულიერი და სხეულებრივი პროცესებით, აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს მიჰყავს და მისი შეჩერება, როცა ქცევის ობიექტური პირობები მოცემულია, მხოლოდ ამ იმპულსის აღკვეთის ან შეკავების გზითაა შესაძლებელი. პიროვნება, როგორც ნებისყოფის სუბიექტი, რომელიც აწმყოს მომენტალურ ინტერესებზე მაღლა დგას და მოვალეობის შეგნებით ბიიმართება სინამდვილისაკენ, იმპულსურ ქცევაში ისე არ მონაწილეობს, როგორც იმ მოთხოვნილებათა წარმოშობაში, რომელიც ამ ქცევის აქტებს აწარმოებს. ასეთი ქცევის აქტებთან ურთიერთობაში იგი მხოლოდ მაშინ მოდის, როცა რაიმე მოსაზრებით, მათი შეფასება და შეკავება ხდება აუცილებელი.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, იმპულსური ქცევა მხოლოდ მოტორული მოძრაობებით ხორციელდება და მისი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მოთხოვნილების იმპულსი ცნობიერების ყოველგვარი ჩარევის გარეშე გადადის მოქმედებაში. ასეთი ქცევა ცხოველისათვისაა დამახასიათებელი. ადამიანთან მას თითქმის არ ვხვდებით. ადამიანი ცნობიერი არსებაა. ამიტომ ცნობიერება მის აქტივობაში ყველგან ერთვება, სადაც ამას მოქმედების პირობები მოითხოვს და მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე შეფერხებას განიცდის, ქცევა, რომელშიაც აზროვნების პროცესები მოთხოვნილების იმპულსის უშუალო ზეგავლენითაა ჩართული, ისევე უნდა ჩაითვალოს იმპულსურად, როგორც ის აქტივობა, რომელიც აზროვნების პროცესების მონაწილეობის გარეშე მიჰყავს მოთხოვნილებას.

თუ გამოთქმას „იმპულსური ქცევა" მაინც მხოლოდ იმ აქტივობის აღსანიშნავად ვიხმართ, რომელსაც მოთხოვნილება ისე მართავს, რომ ცნობიერებას არ ჩაირევს, მაშინ აუცილებელი გახდება სპეციალური სახელწოდება მოვნახოთ იმ ქცევისთვის, რომე-

ლიც აზროვნების პროცესებსაც მოიცავს და თავიდან ბოლომდე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს ეფუძნება. რადგან ასეთ რამეს არ უდგება განსაზღვრება „ნებისმიერი". მიუხედავად ამისა, დღემდე ნებისმიერი ქცევის სახელწოდებით მაინც ის აქტივობა აღინიშნება, რომელშიაც აზროვნება მონაწილეობს, მაშინ, როცა ქცევა ნებისმიერი ხდება არა იმის გამო რომ მასში ინტელექტუალური პროცესები ერთვის და მისი მიზანი და განხორციელების გზები ცნობიერდება, არამედ იმის გამო, რომ მას თვითონ პიროვნება იღებს სელში და მართავს სრულიად სპეციფიკური მიზნის მიმართულებით. აქ მთავარი ისაა, რომ აქტუალური მოთხოვნილება ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღებისა და განხორციელების საქმეში გადამწყვეტი ფაქტორის როლს ჰკარგავს: ნებისმიერი ქცევა მის იმპულსს აღარ ეფუძნება.

ქცევა. იმის მიხედვით ინტელექტის მიერ ნაჩვენები გზით მიდის თუ, საერთოდ, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს, შეიძლება იყოს ინტელექტუალური ან არაინტელექტუალური, ცნობიერი ან გაუცნობიერებელი. მაგრამ ასეთი დაყოფა არაფერს გვეუბნება იმის შესახებ იმპულსურია იგი თუ ნებისმიერი. ცხადია, ქცევა, რომლიდანაც ცნობიერების მონაწილეობა — აზროვნება თავიდანვე გამორიცხულია, არ შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგრამ ინტელექტუალური საშუალებებით აგებული ქცევა იმპულსურიც შეიძლება იყოს და ნებისმიერიც: როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, აზროვნების პროცესები იმპულსურ ქცევაშიაც საკმაოდ ფართო გამოყენებას ნახულობს.

როგორ აიგება იმპულსური ქცევა?

მოთხოვნილებაში რომელიღაც განსაზღვრული აქტივობის შეფერხება, რომელიღაც გარკვეული შინაარსის დანაკლისი იგრძნობა. იგი ამ შეუფერხებელი აქტივობის გაშლისკენ. ამ კონკრეტული სახის დანაკლისის შევსებისკენ მიმართული ტენდენციაა, ჰაგრამ მასში არ ჩანს იმ ობიექტური სინამდვილის კონკრეტული თავისებურება, რომელშიაც ახლა მისი დაკმაყოფილება იქნება შესაძლებელი. წყურვილში წყალი და წყლისკენ მისწრაფება განიცდება, მაგრამ მასში სრულებით არაა განსაზღვრული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სად იმყოფება წყალი და რა სახის მოძრაობები უნდა იქნას შესრულებული იმისათვის რომ იგი მიღებულ იქნას და წყურვილი დაკმაყოფილდეს. ერთ შემთხვევაში ამისთვის შეიძლება მარჯვნივ წასვლა აღმოჩნდეს საჭირო, ხოლო მეორეში —მარცხნივ. წყალი ზოგან მხოლოდ მდინარის კალაპოტში, ჭაში ან წყა-

როზე მოიპოვება, ზოგან კიდევ — მაგიდაზე გრაფინში. ან ჭიქაში. იმის მიხედვით, მოცემულ მომენტში წყალი რა კონკრეტულ პირობებშია მოცემული, სულ სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის მოძრაობები ხდება საჭირო მის დასალევად. როდის რა ხასიათის მოძრაობები უნდა შესრულდეს, რომ წყლის დალევა გახდეს შესაძლებელი, ამის შესახებ თვითონ წყურვილმა არაფერი იცის. რადგან მისი დაკმაყოფილების კონკრეტული პირობები თვითონ მასში არ ჩანს. ასეა ყველა მოთხოვნილება.

მაშინ როგორ ახერხებს მოთხოვნილება, ყველა კერძი შემთხვევაში, ქცევის მიზანშეწონილ წარმართვას — ისეთი მოძრაობების გამოწვევას, რომელნიც მოცემული გარემოს კონკრეტულ თავისებურებებს შეესატყვისებიან და ბოლოს თვითონ მის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ?

ამ საკითხზე ყველაზე დამაჯერებელ პასუხს იძლევა დ. უზნაძე, რომელმაც შექმნა მოძღვრება, განწყობის შესახებ. ამ მოძღვრების ძირითადი აზრი შემდეგში მდგომარეობს: მოთხოვნილება ცოცხალ არსებას მიმართავს გარესინამდვილისაკენ, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიცავს მისი დაკმაყოფილების პირობას. სანამ სხეული მოკლებულია მოთხოვნილებას მასსა და გარესინამდვილეს შორის სრულიად ინდიფერენტული დამოკიდებულება არსებობს: გარემოდან რა მოვლენები იმოქმედებს მასზე ეს სულერთია. მაგრამ მოთხოვნილების გაჩენასთან ერთად ეს ინდიფერენტული მდგომარეობა ირღვევა და ცოცხალი არსება, როგორც გარკვეული მოთხოვნილების სუბიექტი, მიიმართება გარესინამდვილისაკენ. ამიერიდან მისთვის სულერთი აღარაა რა იმოქმედებს და როგორ იმოქმედებს გარემოდან მასზე. იგი გარესამყაროს მოვლენათა მეტი ნაწილის მიმართ ისევ ძველებურ—ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში რჩება, მაგრამ იმ საგნებთან და მოვლენებთან, რომელნიც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმესთან არიან დაკავშირებული, სრულიად თავისებურ მიმართებას ამყარებს. ცოცხალი არსება მხოლოდ ამ მოვლენების არსებობას გრძნობს და მათკენ, როგორც იმ სინამდვილისკენ, რომელიც მოთხოვნილებაში დანაკლისის სახით განიცდება, აქტიურად მიეზიდება. მაგრამ მოთხოვნილების საგანი იშვიათადაა მოცემული უშუალო მოხმარებისათვის. ქცევამ, სანამ იგი უშუალო მოხმარების აქტებამდე მივა, გარესინამდვილის მთელ რიგ საგნებსა და მოვლენებს უნდა გაუწიოს ანგარიში და ისიც გარკვეული რიგის მიხედვით. ამიტომ გარესინამდვილე მოთხოვნილების სუბიექტზე მოქმედებს, როგორც ამ მოთხოვნილებით განსაზღვრული სისტემა, როგორც ამ მოთხოვნილე-

ბის დაკმაყოფილების სიტუაცია და მასში გარკვეულ ეფექტს იწვევს ეს ეფექტი მთლიანობითი ხასიათისაა, რადგან გარესინამდვილე მოქმედებს ინდივიდის არა რომელიმე ცალკე ნაწილზე ან ფუნქციაზე, არამედ თვითონ მასზე, როგორც მთლიანზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე. ამავე დროს ეს ეფექტი არის მოთხოვნილების სუბიექტის, მოთხოვნილების სიტუაციის კონკრეტული ხასიათის შესატყვისად მოდიფიცირება, რის გამოც მასში, ერთსა და იმავე დროს მოთხოვნილებაცაა ასახული და მისი დაკმაყოფილების სიტუაციაც. იგი, რამდენადაც მოთხოვნილების სუბიექტის მდგომარეობაა, ატარებს დინამიკურ ხასიათს, რომელმაც თავისი გამოვლენა მასშივე ასახული სიტუაციის შესატყვის აქტივობაში უნდა ნახოს.

ამგვარად, გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ინდივიდი, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, ამ უკანასკნელის შესატყვისად იცვლება. —იგი როგორც მთელი, როგორც ქცევის სუბიექტი უკვე მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის, და ამიტომ მისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედებას წარმოადგენს. მაშასადამე, როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ესა თუ ის ცოცხალი არსება, ეს განსაზღვრულ ფარგლებში, უკვე მანამ არის გარკვეული, სანამ მოქმედება დაიწყებოდეს: ეს უკანასკნელი მოცემულია იმ მოდიფიკაციის სახით, რომელსაც სუბიექტი გარემოს ზემოქმედების შედეგად განიცდის". ეს იმას ნიშნავს, რომ „ქცევის წინ უსწრებს სუბიექტის მდგომარეობა, რომელშიც, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვაში, ამ ქცევის საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რაგვარობა, მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა წინასწარაა განსაზღვრული"[8]. გარკვეული, კონკრეტული შინაარსის მქონე მოქმედების ტენდენციის სახით. დ. უზნაძე ამ სპეციფიკურ მდგომარეობას განწყობას უწოდებს და სრულიად დამაჯერებლად უჩვენებს, რომ განწყობაში წინასწარაა განსაზღვრული ის ქცევა, რომელიც მოცემულ სიტუაციაში უნდა გაიშალოს.

ზემოთქმულის მიხედვით, ცოცხალი არსებისა და გარემოს ურთიერთობა რამდენადაც ამ უკანასკნელის მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი უდევს საფუძვლად, საბოლოოდ ასე უნდა წარმოვიდგინოთ: „მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსით ამოქმედებულს ცოცხალ არსებაზე გარემოსიტუაცია იწყებს ზემო-

---

[8] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 68.

ქმედებას და მასში სიტუაციის შესაფერის გარკვეულს მთლიან ცვლილებას, გარკვეულ განწყობას იწვევს. ამიერიდან ასე შეცვლილს, გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტს, რასაკვირველია, მხოლოდ თავისი განწყობის შესაფერისი პროცესებისა და აქტების წარმოება შეუძლია. ამისდა მიხედვით, მისი ქცევა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ყოველ მოცემულ მომენტში მისი ამა თუ იმ განწყობის რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს"[9].

ადამიანს, ცხოველთან შედარებით, უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებები გააჩნია. ეს მოთხოვნილებები, ცხოვრების სოციალური პირობების შესატყვისად, განუწყვეტელ განვითარებას, დიფერენციაციასა და ცვალებადობას განიცდის. ამიტომ ადამიანთან განწყობის შემუშავებაც შესაფერისად გართულებულ პირობებში ხდება. ეს გართულება, ჯერ და იმისა, რომ შეიძლება ერთდროულად აღძრული მოთხოვნილებები მოვიდნენ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, თავს იმაშიაც იჩენს, რომ ხშირად სიტუაციის ყველა ძირითადი მომენტი, რომელსაც ქცევამ ანგარიში უნდა გაუწიოს, რომ მის საფუძველში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესძლოს, უშუალო გრძნობად ჰვრეტაში არაა მოცემული. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ქცევის მიმდინარეობაში აზროვნებაც ჩაერთოს და სიტუაციის ის მომენტები გახადოს ნათელი და ცხადი, რომელთა წვდომა უმისოდ შეუძლებელია.

ადამიანის ყოველგვარ აქტივობას განწყობა უდევს საფუძვლად მის ნიადაგზე აღმოცენდება, როგორც შინაგანი — სულიერი, ისე გარეგანი — პრაქტიკული ქცევის აქტები. იმპულსური ქცევა მთლიანად ყველა თავის მომენტში, მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას ემყარება. ამ განწყობის შექმნაში, სწორედ ისე, როგორც მის ნიადაგზე აღმოცენებული ქცევის აქტების მიმდინარეობაში, პიროვნება აქტიურად არ ერევა: იგი მას სრულიად უნებლიედ უჩნდება. განწყობა თუ აღმოცენდა და არაფერმა შეზღუდა, უეჭველად ვადავა მოქმედებაში. ამიტომ ხშირად, როცა ასეთი საჭიროება იჩენს თავს, პიროვნებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ იგი დაარღვიოს და თავიდან მოიშოროს. სხვანაირად მას არ შეუძლია თავი შეიკავოს იმ მოქმედებისაგან, რომელიც წინასწარაა განწყობაში განსაზღვრული.

განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების კანონზომიერებათა განხილვას აქ უფრო დაწვრილებით არ შევუდგებით, რადგან ამ მი-

---

[9] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 69.

მართულებით საკმაოდ ფართო და ადვილად ხელმისაწვდომი ლიტერატურა მოიპოვება. დაინტერესებულ მკითხველს ამ ლიტერატურის საშუალებით შეუძლია განწყობის ცნებას უფრო საფუძვლიანად გაეცნოს[10]. ამ ცნებაზე ჩვენ აქ მხოლოდ იმდენად შევჩერდით, რამდენადაც აუცილებელი იყო ვეჩვენებინა, რომ მოთხოვნილება ქცევის აქტებს იწვევს არა უშუალოდ, არამედ განწყობის მეშვეობით. იგი ჯერ, მოცემულ სიტუაციასთან ერთად, შესატყვისი ქცევის განწყობას ქმნის და ეს განწყობა ხდება ქცევის პროცესების უშუალო და უახლოესი მიზეზი. მოთხოვნილება იმპულსური ქცევის სათავეა, წყაროა. მას მიჰყავს განწყობა, რომელიც ამ ქცევის უშუალო საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ აქ, ჩვენი საკითხისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა მოთხოვნილებათა თავისებურების გარკვევას აქვს; მოთხოვნილება თუა, მისი დაკმაყოფილების განწყობა შესატყვის სიტუაციაში თავისთავად, სხვა რაიმე ფაქტორის დახმარების გარეშედაც, აღმოცენდება; ამიტომ პეიგოგიური თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მოთხოვნილებათა აღზრდისა და მოწესრიგების საქმეს. ეს უკანასკნელი წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა მოთხოვნილებათა ფსიქოლოგიური ბუნების მეცნიერული შესწავლის მონაცემებს დაეფუძნება.

ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის წამყვან წყაროს, მოტივისა და მიზნის თავისებურებებს. ქცევათა კლასიფიკაცია, პირველ რიგში, ამ თავისებურებათა მიხედვით უნდა იქნას წარმოებული. ამ გარემოებას, სამწუხაროდ, არ ექცევა სათანადო ყურადღება. იმის მიხედვით, თუ რას მიჰყავს ქცევა, მისი მოტივიც თავისებურია და მიზანიც. ისინი, გარკვეულ მომენტებში, ერთ საერთო ბუნებას იზიარებენ და მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში ასრულებენ თავიანთ ფუნქციას.

იმპულსური ქცევის ითქმის ყველა თავისებურება მოთხოვნილების ბუნებაზეა დამოკიდებული. მოთხოვნილება არის მისი წყარო და მამოძრავებელი, მისი მოტივისა და მიზნის სასიათის განმსაზღვრელი.

---

10 განწყობის ცნება საფუძვლიანად აქვს გარკვეული დ. უზნაძეს ნაშრომებში „ზოგადი ფსიქოლოგია", 1940, და „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები", 1949.

რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს იმპულსურ ქცევას?

იმპულსური ქცევის წყაროს — მოთხოვნილებას — ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად გავეცანით, ახლა ვნახოთ რა ბუნებისაა მისი მოტივი და მიზანი.

იმპულსური ქცევა იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება, რომელიც მას ამოძრავებს. სხვა მიზანი, ფსიქოლოგიურად, მას არ გააჩნია. იმპულსური ქცევის ის ბუნებრივი რეზულტატები, რომელთაც ბიოლოგიური საზრისი აქვთ და გვარის ან ინდივიდის მომავალი ცხოვრების უზრუნველყოფას ახდენენ, მის მიზანდასახულობაში არ შედიან. ქცევა ფსიქოლოგიურად ამ რეზულტატებისათვის არ წარმოებს. ამ დებულების სისწორე უბრალო მაგალითებზედაც ნათლად ჩანს. თამაში აუცილებელია იმისთვის, რომ ბავშვის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობანი ნორმალური ფუნქციობისათვის მომწიფდნენ და განვითარდნენ, მაგრამ თვითონ ბავშვმა ამის შესახებ არაფერი იცის და, ცხადია, იგი თამაშს ასეთ მიზანს ვერ დაუსახავს. ბავშვი არც ჭამა-სმის დროს მოქმედებს ასეთი მიზნით. იგი საჭმელსა და სასმელს ღებულობს იმიტომ, რომ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს და უსიამოვნო დაძაბულობას იცილებს. თავიდან, თორემ ჭამა-სმამ, რომ მისი მომავალი არსებობა უნდა უზრუნველყოს, ამას კვების აქტების მიზანდასახულებაში არ ითვალისწინებს. ბავშვს, როცა მადა დაკარგული აქვს, მოქმედებას ასეთი მიზნით მაშინაც ვერ ახერხებს, როცა მის მნიშვნელობას საგანგებოდ უცნობიერებენ. ხშირად არც დიდები მოქმედებენ ამ მიმართულებით სხვანაირად და იმას კი არ ჭამენ და სვამენ, რაც მათი ჯანმრთელობისათვის აუცილებელია, არამედ იმას — რაც მათ მოცემულ მომენტში აკმაყოფილებთ. და ეს ჭაშინ, როცა კარგად იცან. რომ ასეთი რამე მათ ჯანმრთელობას უზიანებს და სიცოცხლეს უმოკლებს. ბევრი იმათგან, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობას გამო მკაცრად ეკრძალება ხორცეულის, მწავე, მლაშე და პილპილიანი საკვების მიღება, თავშეკავებას ვერ ახერხებს და მაინც მათ ეტანება. არც გამრავლებასთან დაკავშირებული ქცევის აქტები მიმდინარეობენ, ყველა კერძო შემთხვევაში, გვარის გაგრძელების მიზნით. ჩვეულებრივ, მათაც მხოლოდ ცხოვრების აწმყოს მომენტალური მდგომარეობა აქვთ მხედველობაში და მის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. იმ ბუნებრივი შედეგების ცნობიერება. რომელიც ამ აქტებს მოსდევს, მათ განხორციელებას უმეტეს შემთხვევაში ხელს კი არ უწყობს, არამედ, პირიქით. აბრკოლებს კიდეც, მაგრამ ხშირად ეს დაბრკოლებაც არ რჩება დაუძლეველი მოთხოვნილების იმპულსს.

იმპულსური ქცევა მიზნად ისახავს ცხოვრების ახლახდელი მიმდინარეობა უზრუნველყოს და მოთხოვნილება, რომელიც მასში რომელიღაც გარკვეული უკმარისობის სახით იჩენს თავს, დააკმაყოფილოს. ამიტომ მას მიზანში ყოველთვის ისეთი რამ აქვს გათვალისწინებული, რომელსაც, ფსიქოლოგიურად, მხოლოდ ცხოვრების აწმყოსათვის აქვს ღირებულება. ქცევის ბუნებრივი შედეგები, რომელნიც ცხოვრების ახლანდელ მიმდინარეობას არაფერს აძლევენ, ყოველთვის მისი მიზანდასახულობის გარეშე რჩება. მოთხოვნილების სუბიექტისთვის, რომელიც ამავე დროს იმპულსური ქცევის სუბიექტსაც წარმოადგენს, მხოლოდ იმ საგნებსა და მოვლენებს აქვთ ფასი, რომელნიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებიან და ისიც მანამ, სანამ მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება მოხდებოდეს. ეს ფასი მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება და მის შემცირებასა და გაქრობასთან ერთად მცირდება და იკარგება.

იმპულსური ქცევის მიზნის თავისებურებას რომ უფრო კარგად მივწვდეთ, საჭიროა იგი მკვეთრად გამოვყოთ ქცევის ბუნებრივი რეზულტატებისაგან. ქცევის ბუნებრივი შედეგები და ქცევის მიზანი არ ფარავენ ერთმანეთს. პირველი გაცილებით ფართოა და მრავალფეროვანი, ვიდრე მეორე. ქცევაში შემავალ ოითოეულ მოქმედებას ცალკე, და ყველას ერთად, რამდენიმე განსხვავებული რიგის ცვლილება მოსდევს შედეგად. ცვლილებას განიცდის ოგორც გარესინამდვილის ის საგნები და მოვლენები, რომელთაც ქცევის აქტები ეხება, ისე იმ ინდივიდის სხეულებრივი და სულიერი მდგომარეობა, რომელიც მიმდინარე ქცევის სუბიექტს წარმოადგენს. ამ ცვლილებებისაგან ზოგი შეიძლება თვითონ ქცევის სუბიექტის, სხვა პირის, ან მთელი კოლექტივისა და ხალხის ცხოვრებისათვის საჭირო და სასარგებლო იყოს და დადებით ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო ზოგს კიდევ ერთისთვის ან მეორისთვის რაიმე თვალსაზრისით. უარყოფითი ღირებულება ჰქონდეს. ისიც შეიძლება, რომ რაც ერთისთვის საზიანოა და უარყოფითი, მეორისთვის საჭირო და სასარგებლო იყოს. ქცევის უახლოესი შედეგები თავის მხრივ სხვა უფრო დაშორებული შედეგების მიზეზები ხდებიან. ამიტომ ხშირად შემდეგ გარემოებას აქვს ადგილი: ქცევის უახლოეს შედეგს ხანმოკლე ხალისი და კმაყოფილება შეაქვს ცხოვრების მიმდინარეობაში, მაშინ, როცა მისი დაშორებული შედეგები მოგვიანებით ცხოვრების ბიოლოგიური, ეკონომიური ან მორალური მხარის დაქვეითებას და ზოგჯერ სრულ განადგუ-

რებასაც იწვევს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ დროს ტარებითა და აზარტული თამაშით გატაცება, მაგარი სასმელებისა და ნარკოზული ნივთიერებისადმი მიძალება, თამბაქოს წევა და კიდევ სხვა ისეთი აქტივობა, რომლის პირველი ეფექტი დადებითი ხასიათისაა, მაგრამ მომდევნო შედეგები მეტად ან ნაკლებად უარყოფით ხასიათს ატარებენ.

ზოგი ცვლილება, რომელიც ქცევას მოსდევს ბუნებრივად, ისევე მომენტალური და სწრაფად წარმავალია, როგორც თვითონ მიმდინარე ქცევის აქტები. ასეთია მაგალითად, სულის ემოციური მოძრაობანი, რომელთაც სიცოცხლის აწმყოსათვის, ფსიქოლოგიურად განსაკუთრებული ღირებულება აქვთ.

როგორც სუბიექტში, ისე გარესინამდვილეში მომხდარ ცვლილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივ დროში და ინარჩუნებს თავის დადებით ან უარყოფით ღირებულებას. ზოგი კიდევ იმდენად მყარია, რომ ინდივიდის, ან კიდევ მთელი კოლექტივის, მთელი საზოგადოების ცხოვრების მანძილზე ინახება და არ კარგავს თავის ფასს. ასეთია მაგალითად, ქცევის ის შედეგები, რომელნიც მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის ფაქტებისა და პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ჰოლენების სახით გვეძლევა. მოქმედი ინდივიდის ბიოლოგიურ ორგანიზმსა და სულიერ აგებულებაში ქცევის აქტების მიერ გამოწვეულ ზოგიერთ ცვლილებასაც ასეთივე მყარი ხასიათი აქვს.

ქცევის ბუნებრივი რეზულტატები, იმის მიუხედავად, სუბიექტური რიგის იქნება თუ ობიექტურისა, თავისთავად მიზანს არ წარმოადგენს. ქცევის ყველა რეზულტატი მიზეზობრივი აუცილებლობით მოსდევს ქცევაში გაერთიანებულ მოქმედებებს. ამიტომ, ქცევა თუ ამ მოქმედებებით განხორციელდა, სულერთია რისთვისაც არ უნდა აწარმოებდეს მას სუბიექტი, რომელი მოსალოდნელი რეზულტატიც არ უნდა იქნას გათვალისწინებული მისი მიზნის სახით, დანარჩენი რეზულტატები მაინც წარმოიქმნებიან ბუნებრივი აუცილებლობის გზით. მაგრამ, ფსიქოლოგიურად, იმის მიხედვით, რომელი მოსალოდნელი რეზულტატისკენ ისწრაფვის პი-

თონ სუბიექტი, რომელი მათგანის მიღწევა აქვს მას მიზნად. სულ სხვადასხვა ტიპის ქცევასთან შეიძლება გვქონდეს საქმე[11].

იმპულსური ქცევის სუბიექტი ისეთი ქცევის აქტებს მიმართავს, რომელსაც შედეგად მისი ახლანდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოჰყვება.. ამ აქტებს სხვა, რომელიმე თვალსაზრისით დადებითი ან უარყოფითი შედეგებიც მოსდევს, მაგრამ ამას იგი არ ითვალისწინებს და ანგარიშს არ უწევს, რადგან ეს შედეგები თავს იჩენენ ქცევის აქტების დასრულების შემდეგ, მეტად თუ ნაკლებად დაგვიანებით. იმპულსური ქცევა აწმყოსათვისაა განკუთვნილი და იმას. რაც ქცევის აქტების დამთავრების შემდეგ რჩება და მომავალი ცხოვრებისათვის საზიანოა ან ღირებული, მსედველობის ვარეშე ტოვებს. ასე ხდება მაგალითად. თამაშის, დროს ტარების, ქეიფის, მაგარი სასმელების სმის, თამბაქოს წევის, სქესობრივი ლტოლვილებით განსაზღვრული ქცევისა და, ხშირად, ჭამა-სმის დროა, როცა ფსიქიკური შესაძლებლობანი აქტუალური მოთხოვნილების ტყვეობაში იმყოფება და პიროვნებას აღარა აქვს ცნობიერების მოვლენებისა და ჩვეული მოძრაობების ნებისმიერი მართვის უნარი.

იმპულსური ქცევის მიზანი თითონ ქცევის აქტებშია მოქცეული და მისი ღირებულება ისევე ხანმოკლეა და წარმავალი, როგორც ეს აქტები. იგი, ფსიქოლოგიურად, მხოლოდ მაშინ გამოიკვეთება ქცევის სუბიექტის ცნობიერებაში, როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე ბრკოლდება და შეყოვნებას განიცდის.

ამგვარად, იმპულსური ქცევა ყოველთვის ერთი მიზნით არის განსაზღვრული: დაკმაყოფილებულ იქნას მის საფუძველში არსებული მოთხოვნილება, რაც შეიძლება უმოკლეს დროში და მაქსიმალურად. როგორც ვიცით, მოთხოვნილება ცხოვრების ახლანდელ მიმდინარეობაში გაჩენილ დანაკლისს წარმოადგენს. ამიტომ იმპულსური ქცევა, ფსიქოლოგიურად, ცხოვრების მხოლოდ ახლანდელ მდგომარეობას ემსახურება, რაც ზოგჯერ ძომავალი ცხოვრების ხარჯზე წარმოებს.

---

11 შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, გვ. 246—247.

რა შეადგენს იმპულსური ქცევის მოტივს? რაში გამოიხატება მისი თავისებურება?

იმპულსური ქცევის მოტივია ქცევის სუბიექტური ღირებულება, რომლის გამოც სუბიექტი ამ ქცევას ღებულობს და ახორციელებს. იმპულსური ქცევის აქტები ღირებულებას იმის მიხედვით იძენენ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი თავიანთ საფუძველში არსებულ მოთხოვნილებას. სუბიექტი ამ ღირებულებას გრძნობისებურ ფორმაში განიცდის: მისთვის ქცევის აქტები მით უფრო სასიამოვნო და მიმზიდველი ხდებიან, რაც უფრო მეტად ახერხებენ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და, პირიქით, უსიამოვნოდ და განმზიდველად განიცდებიან, როცა მოთხოვნილებას არაფერს აძლევენ. იმპულსური ქცევა ჩერდება, როცა იგი იქცევა უსიამოვნებად, რადგან უკანასკნელი მას უარყოფით ღირებულებად ხდის ცხოვრების აწმყოს სუბიექტისათვის. სიამოვნება-უსიამოვნება იმის მაუწყებელია, თუ რამდენად ამართლებენ იმპულსური ქცევის აქტები თავიანთ დანიშნულებას, რამდენად მისაღები არიანი ისინი, მოთხოვნილების სუბიექტისათვის, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი მას. იმპულსური ქცევის აქტების ღირებულება მათ საფუძველში არსებულ მოთხოვნილებასთან მიმართებაში ირკვევა, და ამ გარკვეულობის ერთადერთი ფსიქოლოგიური ფორმა არის გრძნობისებური — ემოციური განცდა. ეს განცდა სიამოვნება-უსიამოვნების ფორმაში გამოხატავს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ქცევის აქტების მომენტალურ, სუბიექტურ ღირებულებას და მათ მისაღებს (მიმზიდველს) ან უკუსაგდებს (განმზიდველს) ხდის.

როდის, აქტივობის განვითარების რა მომენტში იჩენს თავს იმპულსური ქცევის მოტივი? იგი პირველად აღმოცენდება განწყობის შექმნის პროცესში, როგორც იმ ქცევის სუბიექტური ღირებულების გამოხატულება, რომელიც ამ განწყობაში ისახება, ხოლო შემდეგ ქცევის პრაქტიკული მსვლელობის მთელ მანძილზე განაგრძობს ფუნქციობას და უჩვენებს ქცევის მიმდინარე აქტების ღირებულებას, რის მიხედვითაც სუბიექტი მათ აგრძელებს ან წყვეტს. იმის გამო, რომ იმპულსური ქცევის მოტივი პირველად განწყობაში განსაზღვრული მთელი ქცევის ემოციური შეფასების სახით იჩენს თავს, ამ ქცევის საწყისი აქტებიც დადებითი ემოციური ტონით ხასიათდებიან მაშინაც, როცა ისინი პირდაპირ და უშუალოდ მოთხოვნილებას არაფერს აძლევენ, მაგრამ იმ აქტების მომზადების სა-

ქმეს ემსახურებიან. რომლებშაც ბოლოს და ბოლოს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

იმპულსური ქცევის მოტივია მისი სუბიექტური ღირებულება. როგორ უნდა გავიგოთ უკანასკნელი გამოთქმა — სუბიექტური ღირებულება? იმპულსური ქცევის ღირებულება შეპირობებულია სუბიექტის მომენტალური მდგომარეობით და მასთან ერთად ცვალებადობს: იზრდება მოთხოვნილება, იზრდება იმ ქცევის აქტების ღირებულებაც, რომელნიც მას აკმაყოფილებენ. მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ამ აქტების სრულ გაუფასურებას იწვევს. ღირებულება, რომელიც სუბიექტურ მდგომარეობათა მისედვით ცვალებადობს, სუბიექტურია. მისი გამოხატულების ფორმა- გრძნობაც სუბიექტურია. ამიტომ იმპულსური ქცევის მოტივის მიმართ გამოთქმა „სუბიექტური ღირებულება" გამართლებულად უნდა იქნას მიჩნეული.

ამგვარად, იმპულსური ქცევის ძირითადი თავისებურებანი გამოიხატება შემდეგში: იგი ყოველთვის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენით აღიძვრება და აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება. მისი ღირებულება განსაზღვრულია მომენტალური აწმყოს მდგომარეობით და მასთან ერთად ცვალებადობს. იმ შედეგებიდან, რომელიც მას ბუნებრივად მოსდევს, იგი ფსიქოლოგიურად მხოლოდ იმაზეა მიმართული, რაც ცხოვრების ახლანდელი მიმდინარეობის დანაკლისს ავსებს და მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ქცევის შედეგების ობიექტური ღირებულება და მომავალი ცხოვრების პრობლემები მისთვის საკვებით უცხოა და მიუწვდომელი. ამიტომ ისინი მის მიერ ყოველთვის ახგარიშგაუწეველი რჩება. იმპულსური ქცევის სუბიექტისათვის აბსოლუტური ღირებულება აქვს თვითონ ქცევის აქტებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურებიან. ამ აქტების დათმობა. მათზე უარის თქმა მას საკუთარი ძალებით არ შეუძლია, რადგან ეს თავისთავზე უარისთქმაც იქნებოდა. ღირებულება, რომელიც იმპულსური ქცევის მოტიკის ფუნქციას ასრულებს, სუბიექტურია, გამოიხატება გრძნობის ანუ ემოციური განცდის ფორმაში და ისე ცვალებადი და წარმავალია, როგორც მოთხოვნილება, რომელიც მთელი აქტივობის პირველად წყაროს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, ინდივიდი, რომელიც საკუთარ მოთხოვნილებათა ტყვეობაში იმყოფება და იმპულსური ქცევის სუბიექტის მდგომარეობიდან ამაღლებას ვერ ახერხებს, სა-

ხოგადოებრივ ცხოვრებას უსიამოვნებისა და გარღვევების მეტს, დიდს ვერაფერს მისცემს და ვერც საკუთარ ბედნიერებას უზრუნველყოფს.

ნებისმიერი ქცევის თავისებურებანი

ნებისყოფის მთელი თავისებურება ვლინდება ნებისმიერ ქცევაში. ამიტომ პირველად ამ უკანასკნელზე უნდა შეეჩერდეთ და ვნახოთ რა წარმოადგენს მის სპეციფიკურ ნიშნებს.

„ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი კი არ არის მოქმედების თუ ქცევის წყარო, არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდეც მას. ნებელობა „არასოდეს აქტუალური იმპულსის რეალიზაციას არ წარმოადგენს, და მაშასადამე, მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას ყოველთვის სხვა წყაროდან სეესხულობს. ნებელობის ეს ნიშანი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: შეიძლება ითქვას, რომ ნებელობის პრობლემის ძირი აქ, ამ თავისებურებაში, მარხია, და ნებელობის ფსიქოლოგიას განსაკუთრებით იმის გამორკვევა ევალება თუ რომელია ის წყარო, საიდანაც ნებელობა მოქმედების ენერგიას იძენს“[12].

იმპულსური ქცევის ანალიზის დროს, პირველ რიგში, შეეცადეთ მისი წყაროს — მოთხოვნილების ფსიქოლოგიური თავისებურებანი გვეჩვენებინა, რის შემდეგაც ამ ქცევის მოტივისა და მიზნის ბუნებაც ადვილი მისაწვდომი გახდა. მოთხოვნილების აღმოცენება და დაკმაყოფილება წარმოებს, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური დაკვირვებებისათვის ხელმისაწვდომ პირობებში. ამიტომ მისი ბუნების გარკვევისათვის საჭირო მასალის მოპოვება შედარებით იოლად ხდება. ნებისმიერი ქცევის წამყვანი ფაქტორის — ნებისყოფის თავისებურება ძნელი შესამჩნევია, რადგან იგი ადვილად არც გარეგან დამკვირვებელს ეძლევა და არც შინაგანს. ამიტომ ნებისმიერი ქცევის ანალიზი ჯობს, პირველ რიგში, იმ სტრუქტურული მონაკვეთიდან დავიწყოთ, რომელიც ობიექტური დაკვირვებისათვის სხვებზე უფრო ხელმისაწვდომია. ასეთია ნებისმიერი ქცევის მიზანი. ამ უკანასკნელის შესწავლა მისი მოტივის ხასიათზედაც მიგვითითებს, ხოლო ორივე ერთად ნებისმიერი ქცევის წამ-

[12] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 141.

ყვანი ფაქტორის — ნებისყოფის ბუნების გარკვევაში შეგვიწყობს ხელს. ასეთი მეთოდური გზა იმითაა გამართლებული, რომ ქცევის წამყვანი ფაქტორი, მოტივი და მიზანი ერთმანეთთან არსებით კავშირში იმყოფებიან და, გარკვეული აზრით, ერთმანეთის ბუნებას იზიარებენ; თუ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკურ ხასიათს კარგად ვიცნობთ, შესაძლებელია სწორი დანასკვი გავაკეთოთ დანარჩენი ორის თავისებურებათა შესახებაც.

ნებისმიერი ქცევა გარკვეულ ინტელექტუალურ წანამძღვრებს მოითხოვს. სადაც ეს წანამძღვრები არ არსებობს იქ არც ნებისყოფას შეიძლება ჰქონდეს ადგილი და არც ნებისმიერ ქცევასა და მის მიზანს. სწორედ ამის გამო იყო, რომ ნებისყოფის ინტელექტუალური წანამძღვრები, დიდხანს, თვითონ ნებისყოფის მოვლენებად ითვლებოდა და, ნებისმიერი ქცევის სპეციფიკურ ნიშნად მისი მიზნისა და საშუალების ცნობიერება იყო მიჩნეული.

რას წარმოადგენს ეს ინტელექტუალური წანამძღვრები?

ადამიანის ცხოვრების მთელ შინაარსს პირველად და ნაწარმოებ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო წარმოებისა და მოხმარების ქცევის აქტები შეადგენენ; ამ აქტებში იშლება და ვითარდება მთელი მისი სულიერი ცხოვრება. ამიტომაა, რომ, მარქსის აზრით, ადამიანური შემოქმედების მთელი სიმდიდრე ფსიქოლოგიისათვის გამოიხატება „მხოლოდ ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: „მოთხოვნილება", საერთოდ მოთხოვნილება"[13].

როგორც ვნახეთ, აქტუალური მოთხოვნილება ცხოვრების რეალური პროცესია. იგი მხოლოდ ცხოვრების აწმყოსათვის საჭირო ქცევას — იმპულსურ ქცევას — განსაზღვრავს და მოხმარებისათვის საჭირო აქტებს ავითარებს, მაშინ, როცა ადამიანისათვის სპეციფიკურია წარმოება—შრომა და არა მოხმარება. ცხოვრების ნორმალურ პირობებში ადამიანი, ჩვეულებრივ, მაშინ აწარმოებს,მაშინ შრომობს და ქმნის, როცა ამ წარმოების პროდუქტებზე მოთხოვნილებას არ განიცდის. პურის თესვას თუ მკას იგი მაშინ კი არ იწყებს, როცა შიმშილი აწუხებს, არამედ სწორედ მაშინ, როცა მაძღარია და საკვების მიმართულებით მოთხოვნილების იმპულსს არ განიცდის. ჯანსაღ ადამიანს თვითონ შრომაზედაც აქვს მოთხოვნილება, ძაგრამ შრომის პროცესი ამ მოთხოვნილებით არ განისაზღვრება: მისი დაწყება და დამთავრება ამ მოთხოვნილების აღმოცენებასა და დაკმაყოფილებაზე არაა დამოკიდებული. მიწის მუშის შრომითი აქტი-

---

[13] К. Маркс и Ф. Энгельс, т. III, 1929, ss. 629.

ვობა, როცა იგი პურს თესავს თუ მკის, უდავოა, რომ კვების მოთხოვნილების იმპულსზე არაა დაფუძნებული, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას სწორედ კვების მოთხოვნილება აქვს მხედველობაში, კვების მოთხოვნილება, რომელსაც იგი ახლა აქტუალურად კი არ განიცდის, არამედ მოცემული აქვს მოქმედებისათვის საჭირო ძალასა და იმპულსს მოკლებული იდეის სახით, რომელიც სხვა ნაცნობ და უცნობ პირთა შესაძლო მოთხოვნილებებსაც ისევე გულისხმობს, როგორც საკუთარს. ასეთი იდეის გარეშე შრომას ადამიანური აზრი დაეკარგებოდა; იგი შესაძლებელიც რომ გამხდარიყო, ფუტკრისა და ობობას მუშაობას დაემსგავსებოდა.

შრომა ნებისმიერი ქცევის ტიპიური ფორმაა. ხოლო თუ ეს სწორია, მაშინ ნებისმიერი ქცევის ერთი აუცილებელი წანამძღვარი მოთხოვნილების იდეაა და არა თვითონ მოთხოვნილება, როგორც აწმყოს მდგომარეობა, როგორც განსაზღვრული ძალისა და იმპულსის შემცველი სიცოცხლის რეალური პროცესი. რამდენადაც მოთხოვნილების იდეა სიტყვიერი ფორმით მოცემული აზრია მხოლოდ, იგი შეიძლება მისაწვდომი იყოს არა მარტო იმისათვის, ვისაც ეს მოთხოვნილება ფაქტიურად აქვს, არამედ იმისათვისაც. ვისაც იგი უშუალოდ არასოდეს განუცდია. თამბაქოს მოთხოვნილების აზრი ერთნაირად შეიძლება იყოს ცნობილი იმისთვის, ვინც მას ეწევა, და იმისთვისაც, ვისაც იგი არასოდეს მოუწევია. უკანასკნელს სწორედ ეს აზრი, იდეა აქვს მხედველობაში, როცა ვი რომელიმე მახლობელისაგან თამბაქოს წევის მიტოვებას მოითხოვს, ან კიდევ თამბაქოს მეურნეობას ეწევა. მოთხოვნილების იდეის ქონება არ ნიშნავს თვითონ მოთხოვნილების ფაქტის არსებობას. შიმშილის იდეა მაშინაც გვაქვს, როცა მაძღარი ვართ. სწორედ ისე, როგორც სიცივის იდეა ზაფხულის სიცხეშიაც შეიძლება გვქონდეს.

მოთხოვნილების იდეა, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიცავს იმ რეალურ თვისებებს, რომელნიც მოთხოვნილების ფაქტისთვის არიან დამახასიათებელნი და რომელთა გამო მოთხოვნილება აქტივობისათვის საჭირო ენერგიის წყაროსა და იმპულსს წარმოადგენს. ამიტომ მოთხოვნილების იდეა ნებისმიერი ქცევის წინაპირობაა და არა მისი ენერგიის წყარო. ეს ორი რამ — მოთხოვნილება და მოთხოვნილების იდეა — ქცევაში ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ, რაც ნებისყოფის ფსიქოლოგიაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გააზრებული.

ნებისმიერი ქცევისა და, მაშასადამე, მისი მიზნის მიღების მეორე აუცილებელ წანამძღვარს ობიექტური ღირებულების იდეა,

ობიექტური ღირებულების ცნობიერება წარმოადგენს. მოთხოვნილების იდეა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ობიექტური სინამდვილის — მოთხოვნილების საგნის — იდეასაც გულისხმობს. მოთხოვნილების საგანი მოთხოვნილების იდეასთან მიმართებაში ობიექტურ ღირებულებას იძენს და გარესინამდვილის უბრალო ფაქტებს გამოეყოფა, როგორც ფასეულობა. როგორც ისეთი რამ, რასაც ამ იდეის შესატყვისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, იმის მიუხედავად სად, როდის და რომელ ინდივიდში იქნება იგი აღძრული. მოთხოვნილების საგნის იდეა ასეთ ღირებულებაზე მიუთითებს. როგორც მარქსი აღნიშნავს, „ღირებულების“ ზოგადი ცნება წარმოიშობა ადამიანთა გარესინამდვილის იმ საგნებთან დამოკიდებულების ნიადაგზე, რომელიც მათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს[14]. ნებისმიერი ქცევა არ შეიძლება წარიმართოს სულიერი ცხოვრების იმ დონეზე, სადაც ობიექტური ღირებულების ცნობიერება საერთოდ არ არსებობს: ნებისმიერი ქცევის მიზანი არ ისახება ობიექტური ღირებულების ცნობიერების გარეშე.

ადამიანის მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების საგნის თუ მოვლენის იდეასთან ერთად იმ მოქმედების იდეაც აქვს, რომელიც ამ საგნისა და მოვლენის წარმოებასა და მოსმარებას ემსახურება. მოქმედებანი, ნების მიხედვით, თუ რა სახის წარმოებასა და მოხმარებას ემსახურებიან ისინი, განსაკუთრებულ ობიექტურ ღირებულებას იძენენ. მოქმედების იდეის ცნობიერების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანს წინასწარ საგანგებოდ ეხრუნა მოქმედების ცოდნა-ჩვევის დაუფლებაზე, სპეციალობის შეძენაზე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ მოქმედებას აქვს მეტი ფასი, რომლის ბუნებრივ რეზულტატსაც მეტი ობიექტური ღირებულება აქვს. სუბიექტს, რომელსაც მოქმედების იდეა არ გააჩნია, არ შეუძლია მიწვდეს იმ აზრს, რომელიც მის შესაძლო მოქმედებას ექნება ობიექტური ღირებულების ამა თუ იმ ფორმის წარმოებისა და დაცვისათვის. ამიტომ მოქმედების იდეა ნებისმიერი ქცევის მესამე წანამძღვარია. იგი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს ნებისმიერი ქცევის მიზნის განსაზღვრის საქმეში.

შეიძლებოდა აქ სხვა წანამძღვრების შესახებაც გველაპარაკა, ოგრამ რადგანაც ისინი საერთოა ქცევის ყველა ფორმისათვის, მათზე აქ სპეციალურად შეჩერება არ ღირს[15].

---

[14] К. Маркс и Ф. Энгельс, ტ. XV, 1935, გვ. 462.

[15] შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, გვ. 242—243.

მოთხოვნილების, შესატყვისი საგნისა და მოქმედების იდეები, ისე როგორც მათთან დაკავშირებული ობიექტურ ღირებულებათა ცნობიერება, ნებისმიერი ქცევის იდეური წანამძღვრებია. მათში, თავისთავად, ნებისყოფა და მისი მოვლენები არ ჩანან. ისინი ნებისყოფის წარმოქმნისა და ნებისმიერი ქცევის მოტივისა და მიზნის აღმოცენების ინტელექტუალურ პირობას წარმოადგენენ. ნებისყოფის სუბიექტი ამ იდეათა ცნობიერების გზით შედის ნებისმიერი ქცევის კონკრეტულ სიტუაციაში. თვითონ ეს იდეები მოქმედებას, რომლისკენაც ნებისყოფის სუბიექტი ისწრაფვის, არც ენერგიას აძლევს და არც მიმართულებას. ადამიანს შეიძლება ისინი ჰქონდეს, მაგრამ ნებისმიერი ქცევის უნარი არ გააჩნდეს. მათ მოსაპოვებლად საჭიროა აზროვნება, რომელიც შეიძლება აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენითაც იყოს აღძრული. პირველად აზროვნებას ასეთი მიმართულება შეიძლება თეორიულმა მოთხოვნილებამაც მისცეს და საცხოვრებო სწავლის პროცესში გვერდიდან ჩართულმა სხვა რომელიმე ფაქტორმაც. შემდეგში ამ მიმართულებით აქტივობაც უფრო ხშირად ნებისყოფით განისაზღვრება.

რა ბუნებისაა მიზანი, რომელსაც ნებისმიერი ქცევის სუბიექტი ისახავს და ახორციელებს?

საკითხის გამოსარკვევად ისევ ნებისმიერი ქცევის ტიპიურ ფორმას — შრომას მივმართოთ. შრომის პროცესის მიზანდასახულებაში არაფერი შედის ისეთი, რაც მისი სუბიექტის ცხოვრების აწმყოსთვის იქნება განკუთვნილი. მთელი შრომითი აქტივობა შეგნებულადაა მიმართული იმ პროდუქტის შექმნისკენ, რომელიც შრომითი ქცევის დასრულების შემდეგ უნდა დარჩეს, როგორც განსაზღვრული ობიექტური ღირებულების მქონე მოვლენა. ოვითონ ქცევის აქტები სუბიექტისოვისაც ფასს ღებულობენ იმ პროდუქტის ღირებულებიდან, რომელიც მათ უნდა შექმნან მიზნის განხორციელების შედეგად. ჯანსაღ ადამიანს შრომით აქტივობაზედაც აქვს მოთხოვნილება, რის გამოც შრომის პროცესი, გარკვეულ საზღვრებში, მას სიამოვნებას გვრის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, შრომა არასოდეს არაა ამ სიამოვნებით ორგანიზებული და ამ სიამოვნებისათვის განკუთვნილი პროცესი. ასეთი სიამოვნება შეიძლება იყოს შრომის თანმხლები მოვლენა, რომელიც თავს იმის გამო იჩენს, რომ შრომის აქტები ხშირად ფუნქციობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ახდენენ. ანალოგიურ შემთხვევებში საქმე გვაქვს ორმაგი ბუნების ქცევასთან, რომლის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ გვექნება ლაპარაკი. ჩვეულებრივ, შრომის აქტები მაშინაც დაუბრკოლებლად.

მიმდინარეობენ, როცა თვითონ არავითარ სიამოვნებას არ იძლეკიან. ხშირად მომქანცველი და უსიამოვნების აღმძვრელი შრომაც წარმატებით ხორციელდება. ერთი სიტყვით, შრომის სუბიექტისთვის მთავარია პროდუქტი, რომელიც აქტივობის დასრულების შემდეგ რჩება, თვითონ აქტივობას მისთვის ფასი იმდენად აქვს, რამდენადაც იგი ამ პროდუქტის შექმნისთვისაა აუცილებელი. ამიტომ თვითონ აქტივობა, რომელიც მიზანში განსაზღვრულ პროდუქტს ქმნის, თავისთავად სასიამოვნოა თუ არა, ამას იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას არ აძლევს.

იგივე ითქმის სწავლის შესახებაც. სწავლითი ქცევის აქტები მიზნად ისახავს მოპოვებულ იქნას გარკვეული ცოდნა, რომელსაც განსაზღვრული ობიექტური ღირებულება აქვს. ბავშვი ცოდნას თამაშშიაც ღებულობს, მაგრამ ისე, რომ ამას მიზნად არ ისახავს. აქ ბავშვისთვის ცოდნას მხოლოდ იმ თამაშისთვის აქვს ღირებულება, რომელშიაც მას იძენს, რადგან მისი გამოყენების გარეშე თვითონ თამაშის დაწყება თუ გაგრძელება ხდება შეუძლებელი. ამ თამაშის გარეშე მისთვის ცოდნას არავითარი ღირებულება არ აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, თამაშში ბავშვს აინტერესებს არა ცოდნა, არამედ ქცევის აქტები, რომელიც მას ფუნქციონალურ მოთხოვნილებას უკმაყოფილებს. ბავშვი მხოლოდ ამ ქცევის აქტების განხორციელებას ესწრაფვის. აქ იგი იმას კი არ ცდილობს, რომ თვლა ისწავლოს და ამ მიმართულებით ცოდნა მიიღოს, არამედ იმას, რომ დაითვალოს — აწარმოოს თვლის აქტები. რამდენადაც ეს უკანასკნელი იმ თამაშის სტრუქტურულ მომენტს წარმოადგენს, რომელშიაც თვითონ ბავშვია ჩართული. ერთი სიტყვით, თამაშში ბავშვი ცოდნას არ განიცდის, როგორც კულტურის მოვლენას, როგორც ობიექტურ ღირებულებას, როგორც ისეთ რაიმეს. რასაც მიმდინარე ქცევის აქტების გარეშეც აქვს ფასი და ამიტომ მოპოვებული და შენახული უნდა იქნას. მიუხედავად ამისა იგი მას, როგორც განხორციელებული ქცევის აქტების ბუნებრივ შედეგს, მაინც იძენს, ხშირად ისე, რომ ვერც კი ამჩნევს.

სულ სხვაა ნამდვილი სწავლა. ნამდვილი სწავლის აქტები მიმართულია თვითონ ცოდნაზე, როგორც ისეთ რამეზე, რაც თავის ფასს სწავლის აქტებთან მიმართებაში არც იძენს და არც ჰკარგავს. პირიქით, თვითონ სწავლის აქტები ღებულობენ ღირებულებას იმის მიხედვით, თუ რამდენად ახერხებენ ისინი შესატყვისი ცოდნის მოპოვებას. აქ მთავარია შედეგი, რომელიც ქცევის აქტების დასრულების შემდეგ უნდა დარჩეს ცოდნის სახით. ამიტომ სწავლის აქ-

ტები, მიუხედავად იმისა სასიამოვნო არიან ისინი თუ არა, მაინც გრძელდებიან მანამ, სანამ მიზანში გათვალისწინებული ცოდნა არ იქნება მოპოვებული. ნამდვილი სწავლის პროცესი და მის მიზანში გათვალისწინებული შედეგი—ცოდნა არაა აწმყოს მომენტალური ინტერესებისათვის განკუთვნილი. ნამდვილ სწავლას ყოველთვის ცხოვრების ახლანდელი მიმდინარეობის საზღვრებს იქით მდებარე ამოცანები აქვს მხედველობაში. იგი შეიძლება რომელიმე აქტუალურ მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდეს და ამდენად თავისთავადაც სასიამოვნო იყოს, მაგრამ ამას სწავლის ზოგადი ფსიქოლოგიური ბუნების განსაზღვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იგი (სწავლის პროცესით მიღებული სიამოვნება) სწავლით ქცევის აქტების წარმოების საქმე ისე აადვილებს. როგორც მდინარის დინება წინსვლას ნავისა, რომელიც მიჰყავთ გარკვეული მიზნის მიმართულებით. რომელიც, შემთხვევით წყლის მოძრაობის მიმართულებას ემთხვევა.

ნებისმიერი ქცევა მაშინაც გარკვეული სახის ობიექტური ღირებულების დაცვასა და შენახვას ისახავს მიზნად. როცა რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის შეკავებას ახდენს და მის საფუძველზე შესატყვისი ქცევის აქტების გაშლის შესაძლებლობას სპობს. არავინ თავშეკავებას, თავდაჭერას, მხოლოდ თავშეკავებისათვის, მხოლოდ თავდაჭერისათვის არ მიმართავს. ასეთი რაიმე ყოველთვის წარმოებს გარკვეული მიზნით, რომლის ღირებულება მატერიალურ ან სულიერ ღირებულებათა დაცვასა და შენახვაში გამოიხატება. აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებას ჩვენ მხოლოდ მაშინ ვცდილობთ, როცა ისინი ისეთი ქცევის აქტებისაკენ გვიბიძგებენ, რომელნიც საზოგადოებრივი მოვალეობის მოხდის საშუალებას არ გვაძლევენ, სულიერ ან სხეულებრივ ჯანმრთელობას საფრთხეში გვიგდებენ, მომავალი ცხოვრების კულტურულ ან ეკონომიურ პირობებს გვინადგურებენ და ჩვენი მორალური სიწმინდის შელახვას იწვევენ. თამბაქოს წევაში, ღვინის სმაში, თამაშში, დროს ტარებასა და გართობაში თავისთავად ცუდს ვერაფერს ვნახავთ, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ის შედეგები. რომელიც მათ პიროვნებისა და საზოგადოების მომავალი ცხოვრებისათვის აქვთ, ყველა კერძო შემთხვევაში. თავშეკავება ყოველთვის ამ შედეგების ღირებულებათა მეტ-ნაკლები სიცხადით გაცნობიერების საფუძველზე ხდება.

ამგვარად, იმპულსური და ნებისმიერი ქცევის მიზნებს შორის არსებითი განსხვავებაა. იმპულსური ქცევის მიზანში ყოველთვის ისეთი რამაა გათვალისწინებული, რაც მხოლოდ ცხოვრების აწმყოს

ითვალისწინებს და მის ახლანდელ ყოფას კმაყოფილებითა და ნაღლისით უზრუნველყოფს. იმპულსური ქცევის სუბიექტი მომენტალური აწმყოთია მკაცრად შეზღუდული. ამიტომ მისი მიზნებიდან გამორიცხულია ყველაფერი, რაც აწმყოს არაფერს აძლევს.

ნებისმიერი ქცევის მიზანში, პირიქით, ყოველთვის ისეთი რამაა გათვალისწინებული, რაც მომავალი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ამოცანათა გადაჭრისთვისაა განკუთვნილი, რაც პიროვნებისა და საზოგადოების იმ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა კულტურული დაკმაყოფილების საქმეს მოემსახურება, რომელნიც მომავალში იჩენენ თავს. ასეთი რამე ყოველთვის ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს და ნებისმიერი ქცევის სუბიექტიც მასზე, როგორც ობიექტურ ღირებულებაზე, შეგნებულად არის მიმართული. შემდეგ, როცა ხვალინდელი დღე აწმყოდ იქცევა და გააქტიურდება რომელიმე მოთხოვნილება, უკანასკნელის იმპულსები აღძრავენ ქცევის აქტებს და მოიხმარენ შესატყვის მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებას, რომელსაც ადრე ნებისყოფის სუბიექტი ანალოგიური შემთხვევებისათვის ქმნიდა და ინახავდა. იმპულსური ქცევის სუბიექტი ახლაც ობიექტურ ღირებულებას შეხედავს არა, როგორც ობიექტურ ღირებულებას, არამედ როგორც ნივთს, მოვლენას, რომლის ფასი მისთვის ახლანდელი მოთხოვნილების სიდიდით გაიზომება, რადგან, როგორც ვიცით, იმპულსური ქცევის სუბიექტისათვის საგნები და მოვლენები შესატყვის მოთხოვნილებათა აღმოცენებასთან ერთად იძენენ ფასს და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად კარგავენ მას.

ნებისყოფის სუბიექტისათვის სინამდვილე წარმოადგენს გარკვეულ ღირებულებათა მქონე საგნებისა და მოვლენების სისტემას, რომელშიაც თვითონ მას, როგორც პიროვნებას, განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს. ამ სისტემაში, თავისი ღირებულებით, პიროვნებაზე მაღლა დგას კოლექტივი, ხალხი, სამშობლო, მეცნიერება, ხელოვნება და საერთოდ მატერიალური და სულიერი კულტურა, ნებისყოფის სუბიექტი, როცა ეს აუცილებელი ხდება, მაღალი ობიექტური ღირებულებისათვის თმობს უფრო დაბალ ობიექტურ ღირებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება უმაღლესი სუბიექტური ღირებულების სახით განიცდებოდეს: სამშობლოსათვის, ხალხისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის, ხშირად, თავს წირავენ ადამიანები, რომელთაც ზედმიწევნით იზიდავს სიცოცხლე და მშობლები სამსხვერპლოზე გზავნიან შვილებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მათ საკუთარ თავზე მეტად უყვართ.

როცა მე, როგორც ნებისყოფის სუბიექტი, საკუთარ თავზე ვზრუნავ, შეიძლება ვმოქმედებდე ჩემი ორგანიზმის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის, ჩემი სულიერი შესაძლებლობების განვითარება-დაცვისათვის, ჩემი პიროვნების მორალური სიმაღლის შენარჩუნებისათვის, ჩემი ცხოვრების პირობების იმგვარად მოწესრიგებისათვის, რომ სიცოცხლის მთელ მანძილზე რაც შეიძლება მეტი და მაღალი რიგის კმაყოფილების მიღება შემეძლოს, ვცდილობ კმაყოფილების მიღების სუბიექტური და ობიექტური შესაძლებლობანი ცხოვრების რომელიმე ერთ მომენტში არ გავხარჯო აზარტულად და აწმყოში მოქმედ მოთხოვნილებების იმპულსებს საშუალება არ მივსცე მომენტალური კმაყოფილებისათვის მომავალი ცხოვრების მთელი ბედნიერება წამართვას. ასეთი მოქმედება ხშირად ცხოვრების აწმყოსაგან თვალსაჩინო დათმობას მოითხოვს: ზოგჯერ, მაგალითად, ჯანმრთელობისათვის საჭირო ხდება მძიმე ოპერაცია, რომელიც თავის მიმდინარეობაში ჯანმრთელობის დარღვევის ყველაზე მტკივნეულ შემთხვევად განიცდება და ამიტომ აწმყოს სუბიექტისათვის დიდი უარყოფითი ღირებულების მოვლენას წარმოადგენს. ხანდახან მორალური სიმაღლის შენარჩუნებისათვისაც აუცილებელია მწკავე ფიზიკური ტანჯვის გადატანა. ასეთ მძიმე ტვირთს მხოლოდ ნებისმიერი ქცევის სუბიექტი იღებს თავისთავზე[16]. სხეულებრივი და სულიერი ჯანმრთელობა, პიროვნების მორალური სიმაღლე და ცხოვრების კმაყოფილებისათვის საჭირო პირობები წარმოადგენენ ღირებულებებს, რომელნიც ნებისმიერი ქცევის მიზნებში ნახულობენ ასახვას. ნებისყოფის სუბიექტი ყურს უგდებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს და მათთან მიმართებაში შესატყვის მიზნებს ისახავს და ახორციელებს, რითაც იგი საზოგადოებრივ მოვალეობას იხდის და მაღალ ზნეობრივ მდგომარეობას ინარჩუნებს.

შეიძლება სუბიექტი შეცდეს: მიზანი, რომლის შინაარსსაც იგი გარკვეული ობიექტური ღირებულების შემცველ მოვლენად თვლის, ნამდვილად არ იყოს ასეთი, მაგრამ ამის გამო ქცევის ნებისმიერი ხასიათი არ იცვლება. ობიექტური ღირებულებანი ფსიქოლოგიური მოვლენები არ არიან და ფსიქოლოგიის კვლევის საგანს არ შეადგენენ. ფსიქოლოგიას აინტერესებს სუბიექტის დამოკიდებულება მათდამი. ამიტომ იმის გამოსარკვევად, მოცემული ქცევა ნებისმიერია თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს მისი მიზნის შინაარსი მართლა

---

[16] შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. გვ. 260.

ატარებს თუ არა იმ ობიექტურ ღირებულებას, რომელსაც მას სუ-ბიექტი მიაწერს. მთავარი ისაა, რომ თვითონ ნებისყოფის სუბიექ-ტი დარწმუნებულია, რომ, რასაც იგი აკეთებს და ქმნის, უეჭვე-ლად ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს, და ამ რწმენასთან დაკავშირებით ქცევის აქტებს ფაქტიურად ნებისყოფა მართავს და არა რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი. რა თქმა უნდა, დიდი უბედურებაა, როცა კაცი მთელ თავის ენერგიას ისეთ რამეს ახმარს, რასაც არავითარი ღირებულება არ აქვს, მაშინ რო-ცა თვითონ დარწმუნებულია, რომ მაღალფასეულობას ქმნის და საზოგადოებას დიდმნიშვნელოვან მოვლენას სძენს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ასეთი შეცდომა ქცევას ნებისმიერ ბუნებას არ ართმევს. შეცდომა ინტელექტის საქმეა. ნებისყოფისთვის ასე-თი რამ უცხოა. მის პირდაპირ ამოცანას არ შეადგენს შეცდომისა და ჭეშმარიტების ურთიერთისაგან გარჩევა. როცა მის მიზანთან დაკავშირებით დგება ასეთი ამოცანა იგი მას გადააწყვეტინებს აზროვნებას, რომელსაც თვითონ აღძრავს ამ მიმართულებით. სწო-რად იქნება თუ არა გადაწყვეტილი ამოცანა, ეს ინტელექტის შესა-ძლებლობაზეა დამოკიდებული. ინტელექტისაგან დამოუკიდებლად ნებისყოფას ასეთი ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობა საერთოდ არ გააჩნია, ამიტომაა, რომ ნებისყოფას მის გარეშე არ შეუძლია რაიმე სახის აქტივობა განსაზღვროს და განავითაროს.

ამგვარად, ნებისყოფის სუბიექტს მხედველობაში აქვს იმ მა-ტერიალურ და კულტურულ-იდეურ ცვლილებათა ფასი, რომელიც ქცევის აქტების დასრულების შემდეგ უნდა დარჩეს. მისი მიზნის ძირითად შინაარსს ყოველთვის ეს ღირებულება ქმნის. ამიტომ ნე-ბისყოფის სუბიექტმა შეიძლება უარი თქვას საკუთარ მოქმედებაზე, თუ იგი მიზანში გათვალისწინებულ შედეგს უმისოდ სხვა გზითაც მიიღებს. მაგალითად, დურგალს, ქარხნის ან მიწის მუშას რომ ვუ-თხრათ: წადი დაისვენე შენს სამუშაოს შენზე კარგად ჩვენ შევა-სრულებთო, იგი აღვილად შეიძლება დაგვეთანხმოს, თუ ჩვენს სი-ტყვაში ეჭვი არ შეეპარება. მაგრამ იმპულსური ქცევის სუბიექტს რომ შევთავაზოთ: შენს მაგიერ შენზე კარგად მე ვითამაშებ (ვი-ქეიფებ, გავერთობი, ვისეირნებ). შენ სხვა რამე აკეთე ან დაისვენე-თქო, საეჭვოა, რომ დაგვეთანხმოს, რადგან მისთვის მთავარი თვი-თონ აქტივობა, თვითონ მოქმედებაა.

რა შეადგენს ნებისმიერი ქცევის მოტივს? რით განსხვავდება ეს უკანასკნელი იმპულსური ქცევის მოტივისაგან?

ქცევის მოტივი და მიზანი ისე არსებითადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ შეუძლებელია ერთ რომელიმე მათგანზე ისე ილაპარაკო, რომ მეორე არ იქონიო მხედველობაში. ისინი ცალ-ცალკე, ერთმანეთის გარეთ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არც იაზრებიან. გარკვეული საქმის ვითარებას, რომლის განხორციელებასაც საკუთარი აქტივობის გზითაა შესაძლებელი, მიზნად მოტივი აქცევს. ამიტომ მოტივი მიზანში იმთავითვეა უკვე ასახული. ზემოთ, ნებისმიერი ქცევის მიზნის თავისებურების გარკვევის დროს, მისი მოტივის ხასიათიც ვუჩვენეთ, რამდენადაც ეს მიზნის ბუნების გათვალისწინებისათვის იყო აუცილებელი. ახლა სპეციალურად შევჩერდეთ მოტივის საკითხზე.

ნებისმიერი ქცევის მიზანია ის საქმის ვითარება, რომლის განხორციელებაც შეადგენს გადაწყვეტილების შინაარსს, ხოლო მოტივი — ის ობიექტური ღირებულებაა, რომელიც გადაწყვეტილების შინაარსში გათვალისწინებული საქმის ვითარებას აქვს. ვთქვათ, გადაწყვიტე თამბაქოს წევა მივატოვო ან კიდევ ინგლისური ენა შევისწავლო. პირველ შემთხვევაში ჩემი ქცევის მიზანი თამბაქოს წევის მიტოვება იქნებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში — ინგლისური ენის შესწავლა. მოტივს, ორივე შემთხვევაში, ის ობიექტური ღირებულება წარმოადგენს, რომელიც თამბაქოს წევის მიტოვებასა და ინგლისური ენის შესწავლას აქვს ჩემი მდგომარეობის ადამიანისათვის: თამბაქო თუ ჩემს ჯანმრთელობას მეტისმეტად ვნებს, უნდა მივატოვო, ინგლისური ენა თუ აუცილებელია იმ მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, რომლისთვისაც ვემზადები, უნდა შევისწავლო. იქ სადაც გადაწყვეტილება — მიზნის მიღება ასეთი ღირებულების საფუძველზე არ ხდება, არც ნებისმიერ ქცევასთან გვაქვს საქმე და არც მის მიზანთან.

იმპულსური ქცევის მიზანი ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაში უჩნდება ადამიანს, ისე რომ მის მისაღებად რაიმე საგანგებო ღონისძიების გამოყენება არ სჭირდება. შიმშილი სუბიექტს მოცემული ობიექტური პირობების შესაფერისს საკვების მოპოვებისა და მიღების მიზანს გაუჩენს, ხოლო წყურვილი — წყლის შოვნისა და დალევისას. ასეთ მიზანს აკვიატებული ხასიათი აქვს: იგი თვითონ ეტანება და ეძალება სუბიექტს, რადგან ისეთ ძლიერ სასიცოცხლო პროცესს ემყარება, როგორიც მოთხოვნილებაა. მოთხოვნილება უნდა აღიკვეთოს როგორმე, რომ მიზანი, რომელიც უშუალოდ მას პასუხობს, უმტკივნეულოდ იქნას თავიდან მოშორებული. მოტივის ფუნქცია აქ ისაა, რომ უჩვენოს რამდენად პა-

სუხობს მიზანი და რამდენად აკმაყოფილებენ მიმდინარე ქცევის აქტები მოთხოვნილებას, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა იქნას. ამიტომ აქ არც მოტივს სჭირდება გამოძებნა და დასაბუთება. იგიც თავისთავად მოდის მიზანთან და მოქმედებასთან ერთად.

ნებისმიერი ქცევის მოტივი და მიზანი რომ ყოველთვის ასე თავისთავად და იძულებითად მოდიოდეს, მაშინ ნებისმიერი ქცევის განხორციელება არ იქნებოდა რაიმე სპეციფიკურ სიძნელესთან დაკავშირებული და ყოველი ადამიანი ისეთსავე სიმტკიცეს გამოიჩენდა ნებისმიერ ქცევაში, როგორსაც იმპულსური ქცევის მიმდინარეობაში იჩენს.

ნებისყოფის სუბიექტი იმას აკეთებს, რაც მისი ხვალინდელი პიროვნებისთვის, მისი კოლექტივისთვის, მისი ხალხისა და მთელი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვის საჭიროა და ღირებული, რაც მას, როგორც საზოგადოებრივ არსებას, როგორც პიროვნებას, მოეთხოვება. ამიტომ ნებისყოფის აქტი განსაკუთრებული სიცხადით „მე უნდა გავაკეთო"-ს ცნობიერებაში განიცდება, მაშინ, როცა იმპულსურ ქცევაში წინა პლანზე „მე მინდა"-ს განცდაა წამოწეული.

იმპულსური ქცევის მოტივს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ქცევის აქტების სუბიექტური ღირებულება, რომელიც ემოციური განცდის ფორმაში გვეძლევა. ნებისმიერი ქცევის მოტივი, მისი ობიექტური ღირებულება, რომელიც მისი (ქცევის) შედეგის ობიექტური ღირებულებით განისაზღვრება და, ჩვეულებრივ, მსჯელობის ფორმაში გამოიხატება. სიდიდე სუბიექტური ღირებულებისაა, რომელიც იმპულსური ქცევის მოტივის როლში გამოდის, იცვლება სუბიექტის განწყობილების მიხედვით, მაშინ, როცა სიდიდე ობიექტური ღირებულებისაა, რომელიც ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს. სუბიექტურ მდგომარეობათა მიხედვით არ ცვალებადობს და მასზე საერთოდ არაა დამოკიდებული. იმპულსური ქცევის მოტივი სუბიექტური მდგომარეობიდან ამოდის და ედება საფუძვლად ქცევის მსვლელობას, მაშინ, როცა ნებისმიერი ქცევის მოტივი იდეურ სიტუაციას ერთვის და იქიდან განსაზღვრავს ქცევის თავისებურებას.

ყველა კერძო შემთხვევაში, იდეალური სიტუაცია ნებისყოფის სუბიექტისაგან მოითხოვს გარკვეული სახის ნივთიერ თუ სულიერ ღირებულებათა შექმნას, დაცვასა და შენახვას, კონკრეტული ხასიათის მორალურ ღირებულებათა განხორციელებას. ნებისმიერი ქცევის მოტივი, მოქმედებს რა იდეური სიტუაციის მხრიდან, სწორედ

ასეთი მოთხოვნის ხასიათს იღებს. ნებისყოფის სუბიექტი ყურს უგდებს ამ მოთხოვნებს, რომელიც მის წინაშე ვალდებულებისა და მოვალეობის სახით დგება, და მათ საფუძველზე გარკვეული ხასიათის მიზნებს ისახავს და ახორციელებს. ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობა, ხალხისა და ქვეყნის ინტერესები, მატერიალური და სულიერი კულტურის წინსვლის ამოცანები ინდივიდისაგან პირადი კმაყოფილების დათმობასა და საკმაოდ მძიმე ტვირთის ზიდვას მოითხოვს. ასეთი მოთხოვნა, რომელიც ყოველთვის სიტუაციურად გარკვეული ღირებულებიდან გამომდინარეობს, მსოლოდ ნებისყოფის სუბიექტის ქცევის მოტივად იქცევა. იმისთვის რომ კაცი მუდამ კაცური კაცის სიმაღლეზე იდგეს და იქიდან ფეხი არ დაუცდეს, საკმარისი არაა მან ყოველთვის საკუთარ მოთხოვნილებათა იმპულსებს მიჰყვეს და საკუთარ და ისიც აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იზრუნოს. მან ამისათვის ხშირად ისეთი მოქმედებაც უნდა შეასრულოს, რომელიც საკუთარ მოთხოვნილებას წინ აღუდგება და მისი ცხოვრების ასლანდელ მიმდინარეობას კმაყოფილებას წაართმევს და მეტად თუ ნაკლებად მძიმე მსვლელობას მისცემს. ფსიქოლოგი, რომელიც აქტივობის ერთადერთ წყაროს მოთხოვნილებაში ხედავს, ასეთ მოქმედებას საერთოდ შეუძლებლად თვლის და მეცნიერების წინაშე პრობლემის სახით არ აყენებს.

პირადი ბედნიერების ამოცანებიც, რომელიც შეიძლება ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებაში, ცხოვრების ეკონომიური პირობების მოპოვებასა და შენახვაში, საკაცობრიო კულტურის ათვისებასა და გამოყენებაში, მაღალი მორალური მდგომარეობის მიღებასა და შენარჩუნებაში გამოიხატოს, ყოველ კერძო შემთხვევაში ნებისყოფის სუბიექტის წინაშე აყენებს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელიც მისი ქცევის მოტივებად იქცევიან. და ამ ქცევის აქტებიც არ მიმდინარეობენ ყოველთვის სიამოვნებასა და ხალისში. ზოგჯერ ისინიც დიდ დათმობასა და მსხვერპლს ითხოვენ ცხოვრების აწმყოდან, ცხოვრების იმ მონაკვეთიდან, რომელშიაც თვითონ მიმდინარეობენ.

რა შეადგენს ნებისმიერი ქცევის წყაროს, მის ძირითად წამყვან და მაორგანიზებელ ფაქტორს?

ნებისყოფა

ნებისმიერი ქცევის მოტივებისა და მიზნის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინების შემდეგ ცხადი ხდება, რომ მისი

წამყვანი ფაქტორი არ შეიძლება რომელიმე აქტუალური მოთხოვ-
ნილება იყოს, რომ „ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვ-
ნილების იმპულსი კი არ არის მოქმედების თუ ქცევის წყარო.
არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს
კიდეც მას"[17]. არააქტუალური, განყენებული ანუ ზოგადი მოთხოვ-
ნილება არაა მოთხოვნილების ცოცხალი ფაქტი, არ იძლევა აქ-
ტივობისთვის საჭირო იმპულსს და ამიტომ შეუძლებელია, თავისი
ბუნებით, რომელიმე ქცევის წყაროს წარმოადგენდეს, რომელიმე
ქცევას კვებავდეს და იმას აწვდიდეს, რაც თვითონ მას არ გააჩნია.

ჩვენი აზრით, ინდივიდს ნებისმიერი ქცევის განსახორციელე-
ბლად აღძრავს და წარმართავს ძირითადი პიროვნული თავისებუ-
რება. რომელსაც ნებისყოფა წარმოადგენს. ადამიანმა საზოგადოებ-
რივი ცხოვრების პირობებში ისტორიული განვითარების გზაზე.
ცნობიერებისა და ნებისყოფის სახით, ორი ძირითადი სპეციფიკუ-
რი თავისებურება შეიძინა; ცნობიერების საშუალებით იგი წვდება
ობიექტური სინამდვილის მოვლენათა თავისებურებებს, ხოლო ნე-
ბისყოფის საშუალებით თავისუფლდება აქტუალურ მოთხოვნილე-
ბათა ტყვეობისაგან, ამოდის წუთიერი კმაყოფილებით განსაზღვრუ-
ლი ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობიდან და მიიმართება ობიე-
ქტურ ღირებულებათა სამკეიდროსაკენ, რის გამოც იგი მომენტა-
ლური აწმყოს არსებიდან საზოგადოებრივი პიროვნების დონემდე
მაღლდება და ნებისმიერი ქცევის სუბიექტი ხდება.

ხშირად სიტყვა „პიროვნება" ფსიქოლოგიაშიც ძალიან ფართო
მნიშვნელობით იხმარება: ყოველ პირს, პიროვნებას უწოდებენ,
ხოლო ყოველი პირის ქცევას პიროვნულ ქცევად თვლიან, იმის
მიუხედავად, როგორია ერთის ან მეორეს თავისებურება. ამის მი-
ხედვით ინდივიდი, რომელიც არსებითად ცხოვრობს ბუნებრივი
მოთხოვნილებებით, პასიურად მიჰყვება მათ იმპულსებს და აწმყოს
ინტერესებს იქით ეურაფერს ხედავს, ისევე ითვლება პიროვნებად,
როგორც ის ინდივიდი რომელიც საკუთარ ცხოველურ ბუნებასა
და მოთხოვნილების იმპულსებს იქვემდებარებს და აქტივობას, მა-
შინაც კი როცა იგი მის პირად კეთილდღეობას ეხება, საზოგადოე-
ბრივი ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე მართავს და აკონტროლებს.

ჩვენ პიროვნების ცნებას აქ უფრო ვიწრო მნიშვნელობით ვხმა-
რობთ: პიროვნებას ვუწოდებთ ინდივიდს, რომელიც აქტუალურ
მოთხოვნილებათა იმპულსებზე მაღლა დგება და, წარმოადგენს რა

---

[17] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 144.

ნებისმიერი ქცევის სუბიექტს, საკუთარ აქტივობას თვითონ პიროვნებას ობიექტურ ღირებულებათა მქონე მიზნების შესაბამისად. რომელთაც იგი ყოველგვარი შინაგანი ან გარეგანი იძულების გარეშე ღებულობს და ასორციელებს. სუბიექტს, რომელსაც ცნობიერება აქვს, პიროვნებად ნებისყოფა აქცევს. სანამ მას ნებისყოფა არ შეუძენია, მანამ იგი, მხოლოდ იმის გამო რომ ცნობიერება აქვს და საკუთარი მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო მოვლენებს ხედავს მის საგნებად. არ შეიძლება ჩაითვალოს პიროვნებად, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ.

ამგვარად, ნებისყოფა არის პიროვნების ის ძირითადი და სპეციფიკური თვისებურება, რომლის გამოც იგი პიროვნებას წარმოადგენს და ნებისმიერი ქცევის წამყვანი და მაორგანიზებელი ფაქტორი ხდება. ნებისმიერი ქცევა მიჰყავს თვითონ პიროვნებას, როგორც ნებისყოფის არსებას, რომელიც ფლობს საკუთარ თავს, საკუთარ ძალებს და იმას აკეთებს, რასაც მისგან, ყველა კერძო შემთხვევაში, საზოგადოება და პირადი ცხოვრების პერსპექტივა მოითხოვს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ნებისყოფა და ნებელობა. ნებისყოფა წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში მეტი თუ ნაკლები სიმკვიდრით ჩამჯდარ მიდრეკილებას, რომელიც თავის გამოვლენასა და რეალიზაციას ნახულობს მოცემული იდეური სიტუაციის შესატყვის ნებელობაში — გადაწყვეტილებაში, განზრახვაში და ამათთან უშუალოდ დაკავშირებულ მოვლენებში. პირველს დისპოზიციური არსებობა აქვს, მეორეს კი — ფენომენალური, პროცესუალური: ნებისყოფა ადამიანს, რომელსაც იგი გამოუმუშავდა, ყოველთვის აქვს მიდრეკილების სახით, ნებელობა კი, როგორც ამ უკანასკნელის აქტივობა და გამოვლენა, მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა პიროვნება ნებისმიერი ქცევის სიტუაციაში ხვდება და სათანადო მოტივის გათვალისწინებას ახდენს. ნებიყოფის სიტუაცია თვითონ კარნახობს პიროვნებას მოცემულ პირობებში, რა მოეთხოვება მას და რა ხასიათის ქცევის განხორციელება უნდა იკისრის მან. უნებისყოფო კაცი ყურს არ უგდებს ასეთ კარნახს. იგი თითქოს ყრუა მის მიმართ.

ნებელობის განცდაში ორ მომენტს უნდა გაესვას განსაკუთრებით ხაზი. პიროვნება გრძნობს: 1) რომ იგი დაეუფლა საკუთარ ფსიქოფიზიკურ ძალებს და ამიერიდან მის ხელთაა მათი თავისუფალი მართვის შესაძლებლობა; 2) რომ მან აქტივობის შესაძლებლობანი ხელთ იმიტომ აიღო, რომ მოცემული იდეური სიტუაციის

მიერ ნაკარნახევი ობიექტური ღირებულების მქონე ქცევის აქტები უნდა განახორციელოს. ამიტომ ნებელობაში წინა პლანზე ყოველთვის „მე უნდა" განცდაა წამოწეული და არა „მე მინდა" განცდა, როგორც ამას ხშირად უსვამენ ხაზს სპეციალურ ლიტერატურაში[18].

ნებისყოფის გამომუშავება წარმოებს აღზრდისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ზემოქმედების გზით, რომელსაც მოზარდი ობიექტურ ღირებულებებთან ურთიერთობაში მოაყავს. ნებისყოფა წარმოიქმნება ინდივიდში სინამდვილის იმ მოვლენის „გასაგნებით", სინამდვილის იმ მოვლენის „გაპიროვნებით", მარქსის ტერმინით რომ ვთქვათ, რომელიც შემდეგ ნებისმიერი ქცევის მოტივად იქცევა. ასეთ მოვლენას ობიექტური ღირებულება წარმოადგენს. მოთხოვნილება ჩნდება გარკვეული ნივთისა თუ მოვლენის, რომელიმე კონკრეტული თვისების ინდივიდში „გასაგნების" შედეგად, რაც ამ ნივთისა თუ მოვლენის ამ თვისების მოხმარების გამო ხდება. ამიტომ მოთხოვნილება ყოველთვის ნივთისა თუ მოვლენის იმ კონკრეტულ თვისებაზეა მიმართული, რომლის ნაწარმოებიც თვითონაა. მოთხოვნილების მოქმედების არე უაღრესად ვიწროა: შიმშილი მხოლოდ საკვებზეა მიმართული და წყურვილი—მხოლოდ წყალზე. ნებისყოფა მიმართულია არა ნივთის სახმარი თვისების კონკრეტულ შინაარსზე, არამედ ამ თვისების ობიექტურ ღირებულებაზე, რომელიც, როგორც ღირებულება, იმავე ბუნებისაა, როგორც ყველა სხვა ნივთის სახმარი თვისების ობიექტური ღირებულება. განსხვავება შეიძლება მხოლოდ მათ სიდიდეებს შორის იყოს, რაც მათი ურთიერთშედარების შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ ნებისყოფა ყველა ნივთისა თუ მოვლენის სასმარ თვისებაზე, როგორც ობიექტურ ღირებულებაზე, ერთნაირადაა მიმართული: იგი ყველა ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას ერთნაირად იხდის თავის მოქმედების საგნად, მაგრამ ყოველთვის უპირატესობას იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო პირობების შექმნასა და დაცვას ანიჭებს, რომელთაც უფრო მეტი ღირებულება აქვთ ადამიანის მატერიალური და სულიერი ბუნების განსაზღვრის საქმეში, მისი შინაგანი ადამიანური სტრუქტურის შენარჩუნების საქმეში. ასე, რომ ნებისყოფა მოთხოვნილებასთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში კი არ იმყოფება, არამედ პირიქით, ესწრაფვის

---

18 იხ. შ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, გვ. 272.

შექმნას პირობები იმისთვის, რომ ყველა ადამიანური მოთხოვნილება, რომელიც კულტურული მოქალაქისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი, სრულყოფილად განვითარდეს და დაკმაყოფილდეს თავის დროზე და თავის ადგილას. იგი წინასწარ იღებს ამ მიმართულებით ზომებს. ადამიანთა ბედნიერება თუ მართლაც ყველა მოთხოვნილების კულტურულ დონეზე მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში გამოიხატება, მაშინ ნებისყოფა უნდა იქნას მიჩნეული იმ ძირითად ფაქტორად, რომელიც, პიროვნების მხრიდან, ასეთი ბედნიერების საფუძვლების მოპოვებისათვის საჭირო და აუცილებელი ქცევის აქტებს ავითარებს. თუ პიროვნების დანიშნულება ისაა, რომ საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალი მოიხადოს და საკუთარი ძალები თავისთავზე მაღლა მდგომ ღირებულებათა სამსახურში ჩააყენოს, მაშინ ნებისყოფა წარმოადგენს იმ თავისებურებას, რომელიც მას ასეთი აქტივობის განვითარების ფსიქოლოგიურ შესაძლებლობას აძლევს.

პიროვნებას, როგორც ნებელობის სუბიექტს, როგორც ნებისყოფით განსაზღვრულ არსებას, იდეურობა და პრინციპულობა ახასიათებს. პირველი იმაში იჩენს თავს, რომ მას ყოველთვის მხედველობაში აქვს ობიექტური ღირებულების იდეა და მასთან მიმართებაში ისახავს ქცევის მიზნებს, რომელთაც სიტუაცია უკარნახებს; მეორე — პრინციპულობა იმაში გამოიხატება, რომ იგი — პიროვნება—ხელში იღებს აქტივობის ყველა შესაძლებლობას. იქვემდებარებს საკუთარ მოთხოვნილებათა იმპულსებს და ამ უკანასკნელთ საშუალებას არ აძლევს აქტივობას მიმართულება შეუცვალონ და პრინციპული ხასიათის მიზნებისკენ მიმავალი ცხოვრების გზიდან გადაიყვანონ და თავიანთი თავის დაკმაყოფილებისაკენ წარმართონ. პრინციპული ხასიათის მიზანი პიროვნების მიზანთა სისტემის ძირითად ღერძს წარმოადგენს და მთელი მისი ცხოვრების მიმდინარეობის აზრს, მიმართულებასა და ხასიათს განსაზღვრავს. იგი პიროვნების ყოველდღიურ მოქმედებაში, მისი ყოველდღიური მიზნების განხორციელებაში ნახულობს თავის რეალიზაციას, მაგრამ მაინც მუდამ ამოუწურავი და დაუსრულებელი რჩება: პიროვნებას, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი თავისი შესაძლებლობა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობას, მეცნიერებისა და კულტურის წინსვლას მოახმაროს, არასოდეს არ შეუძლია თქვას: ამ მიმართულებით შე ყველაფერი გავაკეთე და განსახორციელებელი აღარაფერი მრჩებაო.

პრინციპულობა, არსებითად, შეიძლება ითქვას კონტრასტულად განსხვავდება ჯიუტობისაგან, რამდენადაც უკანასკნელი მოკლებუ-

ლია საზრისსა და იდეურობას. ჯიუტია კაცი, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს იმისათვის, რომ რაც თქვა დაიცვას და რაც განიზრახა გააკეთოს მაშინაც. როცა მისი ნათქვამი შემცდარი ჩანს. ხოლო განზრახვა—გაღმართლებელი და მიუღებელია. იგი არაეითარ ანგარიშს არ უწევს არგუმენტებს, რომელსაც მას მისი ნათქვამისა. თუ განზრახვის საწინააღმდეგოდ უყურებენ. პრინციპულ ადამიანს ადვილად შეუძლია თავისი, შეცდომა აღიაროს და განზრახვა შესცვალოს, თუ ეს უკანასკნელი იმ ღირებულების არ აღმოჩნდება, რომელიც მას ეგონა.

იდეურობა და პრინციპულობა მოითხოვს თვითკრიტიკასა და გამბედაობას. თვითკრიტიკა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ქცევა ობიექტური მსჯელობის საგანი გახადოს და მისი ნაკლი და ღირსება დაინახოს, მისი ღირებულება განსაზღვროს, მხოლოდ პიროვნებას, როგორც ნებელობის სუბიექტს, შეუძლია თავისი მოქმედების ღირებულების თვალით დანახვა და შეფასება. აქტუალური მოთხოვნილების სუბიექტი არასოდეს არ აქცევს მოთხოვნილების იმპულსით შეპირობებული ქცევის აქტებს ობიექტური ღირებულების თვალსაზრისით შეფასების საგნად. ამიტომ იგი ხშირად სხვებს კიკხავს, სრულიად გულწრფელად, იმ სახის მოქმედებისათვის, რომელიც თვითონ მისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. მასზეა ნათქვამი: სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს. საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ხედავს. საკუთარი ქცევა რომ შეაფასო იგი უნდა დაინახო და ობიექტური მსჯელობის საგნად აქციო. თვითკრიტიკა სწორედ ამაში მდგომარეობს.

შინაგანი იმპულსების დაქვემდებარება და მაღალი ღირებულების მიზნების მიღება და განხორციელება პიროვნებისაგან ხშირად შეუპოვრობას, სიმამაცესა და გამბედაობას მოითხოვს ქცევის გზაზე წამოჭრილი სიძნელეები, რომლის გადალახვა დიდი ენერგიის ხარჯვასა და გადაქანცვას იწვევს, ისე როგორც ქცევის სიტუაციის საშიში და სახიფათო მომენტები. ინდივიდში, რომელსაც მტკიცე ნებისყოფა არ აქვს, ადვილად წარმოშობენ ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღებისა და განხორციელების წინააღმდეგ მიმართულ იმპულსებს, რომელნიც ნებისყოფას იმორჩილებენ, ნებისმიერ ქცევას შეუძლებლად ხდიან და პიროვნებას იმპულსური ქცევის სუბიექტის მდგომარეობამდე აქვეითებენ. ასეთი მარცხი არ შეიძლება მოუვიდეს ადამიანს, რომელსაც ნებისყოფის სიმტკიცე—შეუპოვრობა, სიმამაცე და გამბედაობა ახასიათებს. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ადამიანი, იმდენად, რამდენადაც იგი ნებისყოფითაა განსაზღვრული და აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს იქვე-

მდებარეს, გონიერების საზღვრებში, შეუპოვარიცაა და გამბედავიც; ამ უკანასკნელთა დაკარგვა მასში თვითონ ნებისყოფის დაქვეითებისა და რომელიღაც მოთხოვნილების იმპულსის გაბატონებისა და ძალმომრეობის მაუწყებელია.

ნებელობის პროცესები

ფსიქოლოგთა ერთი ნაწილი ნებელობის ყველაზე დამახასიათებელ და სპეციფიკურ პროცესს ხედავს არჩევანში და თვლის: სადაც ორი ან რამდენიმე შესაძლო ქცევიდან არ ხდება არჩევანი, იქ არც ნებელობასთან გვაქვს საქმე. ნებელობა უსათუოდ არ გულისხმობს ორი ან რამდენიმე შესაძლო ქცევიდან ერთის ამორჩევას. ნებისყოფის თავისებურება ამაში არაა. შეიძლება სუბიექტის წინაშე იდგეს საკითხი მხოლოდ ერთი ქცევისა. რომლის მიღება და განხორციელება მთლიანად ნებისყოფაზე იქნება დამოკიდებული და, პირიქით, ისიც შეიძლება, რომ რამდენიმე შესაძლო ქცევიდან, რომელიც სუბიექტის წინაშე დგას, არც ერთი არ იყოს ნებისყოფის საქმე. ნებისმიერ ქცევას აქვს მტკიცედ განსაზღვრული ფსიქოლოგიური სტრუქტურა. მას მრავალი შესაძლო ქცევიდან ამორჩევის შედეგად მიიღებს სუბიექტი, თუ პირდაპირ, სხვა რომელიმე ქცევასთან მიმართების გარეშე, სულერთია, იგი ვაინც ნებისმიერი ქცევაა, ხოლო სუბიექტი, რომელიც მას ღებულობს და ახორციელებს, ნებისყოფის სუბიექტია.

მკვლევართა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ნებელობის სპეციფიკური ბუნება მოცემულია გადაწყვეტილების აქტში, რომლის მომზადების პერიოდი თავის მსრივ ორ საფეხურად — არჩევანად და მოტივაციად — იყოფა. არჩევანი წმინდა ინტელექტუალური პროცესია. ხოლო მოტივაცია — ვოლიტური. არჩევანის საფეხურზე მიზანშეწონილი ქცევის მონახვა, შერჩევა ხდება აზროვნების საშუალებით. მოტივმა ამორჩეული ქცევა უნდა მიაღებინოს სუბიექტს, მოტივაციის საფუძველზე გადაწყვეტილების აქტი უნდა განხორციელდეს.

ცხადია, მიზანშეწონილი ქცევის მონახვა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორია აზროვნება; თუ იგი ჩლუნგია ადვილად შეიძლება შეცდეს ქცევის ღირებულების განსაზღვრაში იმის გამო, რომ მისი ყველა ძირითადი შედეგის სათანადო გათვალისწინებას ვერ შესძლებს. მაგრამ ისიც უდავოა, რომ თვითონ აზროვნების პროცესები თავისთავად არ აღიძვრებიან ქცევათა ღირებუ-

ლებების შესაფასებლად და უფრო მიზანშეწონილი. უფრო ღირებული ქცევის შესარჩევად, თუ იგი ნებისყოფის სუბიექტმა არ წარმართა აქეთკენ. უფრო მიზანშეწონილი, საჭირო და ღირებული ქცევის შერჩევა ვოლიტური პროცესიცაა, რამდენადაც იგი თავისი ჰიმდინარეობისათვის საჭირო ენერგიას, მიმართულებასა და საზრისს ნებისყოფისაგან ღებულობს და მოვლენა, რომელმაც მოტივის ფუნქცია უნდა შეასრულოს, ამ პროცესში უკვე არსებობს და ფუნქციობს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რის საფუძველზე უნდა მოეხდინა სუბიექტს მოცემულ პირობებში მისთვის მიზანშეწონილი და ღირებული ქცევის არჩევა, რას უნდა დაფუძნებოდა აზროვნება ასეთი არჩევანის მოხდენის დროს. ნებისყოფის სუბიექტისთვის არჩევანი და მოტივაცია არაა ორი სხვადასხვა რამ, რადგან იგი ყოველთვის იმას აკეთებს. რაც უფრო მიზანშეწონილი, ღირებული და საჭიროა. მიზანშეწონილი ქცევა სამოქმედოდ არ იწვევს კაცს, რომელსაც ნებისყოფა იმისთვის ეყო, რომ ქცევის საჭიროების დასასაბუთებლად აზროვნება აემუშავებინა. მაგრამ იმისთვის არ ყოფნის, რომ ამ ქცევის განხორციელება აიღოს თავისთავზე. პირველი ცხადია, გაცილებით უფრო ადვილი საქმეა. ვიდრე მეორე.

ლოთი, რომელიც ალკოჰოლზე მოთხოვნილებითაა ბოლოამდე შეპყრობილი, არ ფიქრობს, რომ მისთვის ჯობს ღვინოს თავი დაანებოს და საკუთარი პიროვნების, ოჯახისა და ქვეყნის საჭიროებაზე იზრუნოს. საკითხს, რომელი ქცევა ჯობს მისთვის, იგი საერთოდ არ აყენებს. მაგრამ როცა ლოთი რაღაც ფაქტორის ზეგავლენით ამ მოთხოვნილების ტყვეობისაგან დროებით, ნაწილობრივ მაინც თავისუფლდება, და მასში ნებისყოფის სუბიექტი იღვიძებს, იგი მიზანშეწონილი და ღირებული ქცევის შესახებ იწყებს აზროვნებას და ერთიანად პრაქტიკულ ნაბიჯსაც დგამს ამ მიმართულებით. მაგრამ მალე, ხელახლა, ნამქერივით მოაწყდება აქტუალური მოთხოვნილების იმპულსები, რომელნიც მოუმაგრებელ ნებისყოფასა და მის მიერ ძლიერძლიერობით აღძრულ პროცესებს წალეკავს და ნებისყოფის ჰიმართულებით ყველაფერი დავიწყებას ეძლევა.

ნებელობის სუბიექტი ყველა საშუალებას იყენებს მოცემულ სიტუაციაში საჭირო ქცევის გამოსარკვევად და განხორციელებლად. მაგრამ იქ, სადაც მას უძლურობის გამო აქტუალური მოთხოვნილებები ერევა, იგი შორს ვერ მიდის. ასეთ შემთხვევაში შეიძლება აქტუალურმა მოთხოვნილებამ დაიპყროს ქცევის მთელი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობა და ნებისყოფის პრაქტიკული მოქმედების ყოველგვარი საშუალება წაართვას.

ნებელობის სუბიექტს გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის ერთნაირ ფსიქოლოგიურ პირობებში არ უხდება, რადგან ადამიანი, როგორც წმინდა ნებელობის სუბიექტი, რეალურად არ არსებობს. მას ყოველთვის აქვს სხვადასხვა მოთხოვნილება, რომელნიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ძალითა და მიმართულებით ახდენენ მისი ფსიქოფიზიკური ძალების აღძვრას. ამიტომ გადაწყვეტილების გამოტანის — მიზნის მიღების — რამდენიმე განსხვავებული შემთხვევა შეიძლება განვასხვავოთ. შევჩერდეთ უფრო ძირითადზე.

1. ნებელობის სუბიექტმა შეიძლება მიზანი მიიღოს მარტივ ფსიქოლოგიურ ვითარებაში, საგანგებო მსჯელობისა და ღირებულებათა აწონ-დაწონის გარეშე. ასე ხდება, როცა ქცევის ღირებულება და განხორციელების გზები უშუალოდ განიცდება, ხოლო აქტუალური მოთხოვნილების იმპულსები ნებისყოფისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას არ ქმნის. ასეთ შემთხვევაში ნებელობის სუბიექტი პირდაპირ მიჰყვება იმ მოთხოვნას, რომელსაც მას სიტუაცია უყენებს. კაცი რომ წყალში იხრჩობოდეს და იქ მარტო იყო. ცურვა თუ იცი, ჯანმრთელი ხარ და თავის იმედი გაქვს, ზამთარიც რომ იყოს, არ დაიწყებ ფიქრს: წყალში ჩახვიდე და კაცი გადაარჩინო თუ ნაპირიდან თვალი ადევნო მის დაღუპვას. საგანგებოდ არც იმის გაცნობიერებას შეუდგები რომ, კაცს, რომელიც წყალს მიაქვს, ღირებულება აქვს. ხოლო შენ ცურვა იცი და მისი გადარჩენა შეგიძლია. ასეთი რამეები, რაღაცნაირად, ისედაც იგულისხმება. ცნობიერების წინაპლანზე გამოისახება განცდა: „კაცი იღუპება, უნდა ვუშველო“ და ეს „უნდა ვუშველო“ განიცდება როგორც გარდაუვალი რამ, მის საწინააღმდეგოდ შიგნიდან არავითარი ხმა არ ისმის.

ნებელობის სუბიექტი ასეთ მარტივ ფსიქოლოგიურ ვითარებაში ღებულობს მიზანს არა მარტო სიტუაციაში, სადაც დაუყოვნებლივ საჭიროა გადაწყვეტილების მიღება. არამედ იქაც, სადაც ასეთი მოთხოვნა სრულებით არ დგას, მაგრამ საჭირო ქცევა და მისი განხორციელების გზები გარკვეულია და ნებისყოფას მოთხოვნილებათა მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება.

2. ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღება ყოველთვის არ ხდება ასე მარტივად, ხშირად მას საკმაოდ გართულებული, ზოგჯერ უაღრესად დაძაბული აქტივობა უსწრებს წინ. ასეთი შინაგანი აქტივობით გართულებულ ქცევას, რთული ნებისმიერი ქცევა ეწოდება. მის ორი

ძირითადი პერიოდი აქვს. პირველი პერიოდი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო შინაგან აქტივობას ჰოიცავს, ხოლო მეორე პერიოდში გადაწყვეტილებით მიღებული მიზნის პრაქტიკული განხორციელება წარმოებს. თვითონ გადაწყვეტილება, ანუ მიზნის მიღება იმ მომენტის საქმეა, რომელიც ამ ორ პერიოდს ფსიქოლოგიურად ერთმანეთისაგან ყოფს. ამ ორ პერიოდს შორის შეიძლება მესამეც ჩადგეს, თუ გადაწყვეტილება განზრახვის სახეს იღებს და მაშინვე კი არ გადადის მოქმედებაში, არამედ მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ხორციელდება

იმ შემთხვევაში, როცა ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღება და განხორციელება აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების წინააღმდეგობას არ აწყდება, გადაწყვეტილების გართულებულ ფსიქოლოგიურ ვითარებაში მიღების ორი შემთხვევა შეიძლება განვასხვავოთ.

1) შეიძლება ნებისყოფის სუბიექტის წინაშე იყოს ერთი შესაძლო ქცევა, რომლის ღირებულება და განხორციელების საშუალებები დასადგენია. უნდა გამოირკვას: ა) რამდენად საჭიროა შესაძლო მიზანში გათვალისწინებული საქმის ვითარების განხორციელება; ბ) ხომ არ მოჰყვება ქცევას ისეთი გვერდითი შედეგი (მიზნის გარეთ მდგომი), რომლის უარყოფითი ფასი მიზანში გათვალისწინებული შედეგის დადებით ღირებულებას დაფარავს ან ვადაატარებს; დ) გააჩნია თუ არა სუბიექტს ამ ქცევის განხორციელების ყველა შესაძლებლობა. ნებისმიერი ქცევის იდეური სიტუაცია ამ საკითხების გარკვევის შემდეგ ხდება ნათელი, რაც უფრო ნათლადაა წარმოდგენილი სიტუაციის ეს მომენტები, მით უფრო მეტი ძალით განიცდის ნებისყოფის სუბიექტი მისგან მომდინარე მოთხოვნას: გადაწყვეტილება მიიღოს და იმოქმედოს. როცა არაა ცხადი სიტუაციის ყველა მომენტი და არც აქვს სუბიექტს მისი გათვალისწინების შესაძლებლობა, იგი ყოყმანობს, არ იცის როგორ მოიქცეს: მიიღოს გადაწყვეტილება თუ ხელი აიღოს მასზე. საკითხი ბოლოს მაინც იმის მიხედვით წყდება, თუ რა მიიჩნევა მოცემულ სიტუაციაში უფრო მიზანშეწონილად: გადაწყვეტილების მიღება თუ უკუგდება.

2) სუბიექტის წინაშე შეიძლება დადგეს ორი შესაძლო ქცევა. ორივე ნებისმიერი — საჭირო და ღირებული. ორივე ქცევის ერთდროულად განხორციელება შეუძლებელია. ამიტომ სუბიექტი ერთ რომელიმე მათგანზე უნდა შეჩერდეს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება უშუალოდ მოჰყვება არჩევანს. არჩეული იქნება

ის ქცევა, რომელსაც მეტი ღირებულება აღმოაჩნდება. ქცევის ღირებულების დადგენა ზოგჯერ გაცხოველებულ ფსიქიკურ აქტივობას მოითხოვს. მას შემდეგ, რაც ორივე შესაძლო ქცევის იდეურ სიტუაციათა ძირითადი მომენტები ნათლადაა გარკვეული და ერთმანეთთან შედარებული, გადაწყვეტილების აქტი უმტკივნეულოდ სრულდება: ნებელობის სუბიექტი უფრო საჭირო და ღირებულ ქცევაზე ჩერდება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოთხოვნილება მხოლოდ ისეთი აქტივობისთვის აღძრავს სუბიექტს, რომელიც მას აკმაყოფილებს. როცა ერთდროულად ორი მოთხოვნილება აქტიურდება ინდივიდში და უკანასკნელი ორი შესაძლო ქცევის წინაშე დგება, მოთხოვნილებები ერთმანეთს ეცილებიან: თითოეული მათგანი ცდილობს თვითონ დაიპყროს ქცევისათვის საჭირო ფსიქოფიზიკური შესაძლებლობანი. ამ შეცილებაში ის მოთხოვნილება იმარჯვებს, რომლის იმპულსიც უფრო ძლიერია. ვინც ქცევის მოტივად მოთხოვნილებას თვლის, მას უფლება აქვს ასეთ შემთხვევაში მოტივთა ბრძოლის შესახებ ილაპარაკოს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ე. წ. „მოტივთა ბრძოლას“ ადგილი აქვს იმპულსური ქცევის სფეროში.

ნებისყოფის სამკვიდროში მოტივთა ბრძოლას არ აქვს ადგილი. ნებისყოფის მოტივი საერთოდ მოკლებულია ბრძოლის უნარს. მას არ გააჩნია ბრძოლისათვის საჭირო ძალა და ენერგია. როცა ორი ნებისმიერი ქცევიდან ერთ-ერთის არჩევა ხდება აუცილებელი, საკითხი იმ ქცევის სასარგებლოდ წყდება, რომელიც უფრო ღირებული. უფრო საჭირო აღმოჩნდება. ნებისყოფის სამკვიდროს ნიგნით არ არსებობს ისეთი ფაქტორი, რომელიც სუბიექტს უფრო ნაკლებ ღირებული, უფრო ნაკლებ საჭირო ქცევის მიღებაზე ატაჯდეს ძალას. ორი საჭირო ქცევიდან თუ მხოლოდ ერთ-ერთის განსორციელებაა შესაძლებელი, ის ქცევა იქნება არჩეული, რომელიც უფრო ღირებული და საჭირო აღმოჩნდება. ნებისყოფას სხვა მოტივი არ გააჩნია. ნებისყოფის სფეროში საკითხი ყოველთვის მტრული დაპირისპირების გარეშე წყდება.

3. პიროვნებას გადაწყვეტილების გამოტანა წმინდა ნებისყოფის სიტუაციაში იშვიათად უხდება, რადგან მას თითქმის ყოველთვის აქვს ესა თუ ის მოთხოვნილება აქტუალურად, რომელიც შესატყვისი ქცევის აქტებისაკენ უბიძგებს. ეს ბიძგი ერთ შემთხვევაში სუსტია, მეორეში კი — განსაკუთრებით ძლიერი. ზოგჯერ იგი ნებისყოფის მიმართულებას ემთხვევა, ზოგჯერ კიდევ არსებითად უპირისპირდება მას. ამიტომ გადაწყვეტილების გამოტანის ფსიქო-

ლოგიური პირობები არსებითად იცვლება იმის მიხედვით, თუ მოთხოვნილებები აქტიურდებიან გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოტანის პროცესში.

გადაწყვეტილების გამოტანის თავისებური ფსიქოლოგიური რობებთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა პიროვნების წინაშე ერთდროულად დგება ნებისმიერი და იმპულსური ქცევის შესაძლებლობანი და ორივეს განხორციელება ერთდროულად, ერთისა და იმავე მოქმედებათა ვზითაა მოსახერხებელი. ქცევის აქტებს, როგორც ვიცით, მრავალი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი რეზულტატი მოსდევს. ნებისყოფა ყოველთვის ქცევის იმ შედეგზეა მიმართული, რომელსაც დადებითი ობიექტური ღირებულება აქვს. მაგრამ შეიძლება ინდივიდის რომელიმე მოთხოვნილება ქცევის რომელიმე (ნებისყოფის მიზნის გარეთ მდებარე) რეზულტატს დაუკავშირდეს. როგორც თავის დაკმაყოფილების პირობას და, ამგვარად, ერთი და იგივე ფიზიკური აქტივობა ორმაგი ქცევის სახით წარმოგვიდგება. ასეთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფსიქოფიზიკურ აქტივობას ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული წყარო და მიზანი ექნებოდა. რის გამოც საქმე გვექნება ორ ქცევასთან, რომელთა დროში მიმდინარეობა და განხორციელების გზები ძირითადში დაემთხვევა ერთმანეთს. ნებისყოფის სუბიექტი მიზანს აქაც ისევე იღებს, როგორც სხვა შემთხვევაში. მაგრამ მიზნის მიღებისა და განხორციელების გზაზე მას ისეთი მოკავშირე და თანამოლაშქრე უჩნდება, რომელიც აქტივობას სიცოცხლის ხილისით აესებს და თავისთავადაც მიმზიდველს ხდის. მიუხედავად ამისა, აქაც ორივე ქცევას, როგორც იმპულსურს, ისე ნებისმიერს, აქვთ თავიანთი მოტივები და მიზნები, რომელთაც ერთმანეთთან შეხვედრის წერტილები არ გააჩნიათ: ნებისმიერი ქცევის მოტივი და მიზანი თავისთვის რჩება, იმპულსური ქცევის მოტივი და მიზანი კიდევ თავისთვის. ამ ტიპის ქცევაზე ჩვენ საგანგებოდ მოვვიხდება ლაპარაკი, როცა ნებისყოფის აღზრდის საკითხებზე შევჩერდებით.

4. განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდება ნებისყოფას აქტივობა—კადაწყვეტილების მიღება და განხორციელება, — როცა მას რომელიმე მოთხოვნილება უპირისპირდება. აქ შეიძლება ორი შემთხვევა განვასხვაოთ.

1) პირველ შემთხვევაში, ნებისმიერი ქცევის შესაძლებლობა, გვერდით, მოთხოვნილების სუბიექტი ისეთი იმპულსური ქცევის განხორციელების საკითხს აყენებს, რომელიც ნებისმიერი ქცევისთვის საჭირო ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობათა სულ სხვა მიმ-

თულებით გამოყენებას მოითხოვს. თვითონ ეს იმპულსური ქცევა, თავისთავად. შეიძლება არ იყოს უარსაყოფი, მაგრამ ახლა, როცა საჭირო და სავალდებულო საქმეა გასაკეთებელი, ნებისყოფის სუბიექტი ცდილობს ფსიქოფიზიკური საშუალებანი თვითონ აიღოს ხელში და ამ საქმისკენ წარმართოს; მაგრამ აქტუალური მოთხოვნილება მათ ასე ადვილად არ თმობს და სათანადო განწყობის შექმნის გზით, თავისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობის გასეითარებას ესწრაფვის. მოწაფეს გაკვეთილების დასწავლა ევალება. მაგრამ თამაშიც არ ეკრძალება. პირიქით, მისი ნორმალური განვითარებისათვის თამაშიც აუცილებელია, თუმცა, როგორც ვიცით, ბავშვი ამ მიზნით არასოდეს არ თამაშობს. გაკვეთილის დასწავლა და თამაში ერთად არ შეიძლება, რადგან თამაშში ჩართულია ის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობანი, რომელნიც სწავლის საქმეში უნდა იქნენ გამოყენებულნი. ამიტომ მოსწავლის წინაშე შეიძლება ასეთი ალტერნატივა დადგეს: გაკვეთილები ისწავლოს თუ ამხანაგებთან წავიდეს სათამაშოდ. პირველი ნებელობის სუბიექტის საქმე, მეორე კი — მოთხოვნილების სუბიექტისა, რომელ გზას დაადგება მოსწავლე ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა უფრო სჭარბობს მასში: ნებისყოფის ძალა თუ მოთხოვნილების იმპულსი. შეიძლება იგი კარგად ხედავდეს რომ მისთვის სახლში დარჩენა და ძეცადინეობა ჯობს, მაგრამ ვერ დასძლიოს მოთხოვნილების იმპულსი და მაინც წავიდეს ამხანაგებთან სათამაშოდ. ასეთ შემთხვევაში მის მოქმედებას იძულებითი ხასიათი აქვს, რადგან იგი არ წარმოადგენს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას, ინდივიდი გრძნობს ამ შინაგან იძულებას და ზოგჯერ სინანულს გამოთქვამს, რომ თავშეკავებას ვერ ახერხებს. ძალა არ ყოფნის[19].

გადაწყვეტილებასთან, როგორც ნებისყოფის აქტთან, როგორც პიროვნულ მოვლენასთან საქმე მაშინ გვაქვს, როცა იგი,

---

19 ანალოგიური შემთხვევების საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოთ რომენ როლანის „ჟან-კრისტოფს", რომლის ერთი მოქმედი პირი თავისთავზე ამბობს: „რა უნდა ვქნა? ჩემი გული ასეა აგებული: მას არ სურს უყვარდეს ის, რასაც გონება უბრძანებს. მეც მიხდება შევწირო მსხვერპლი ან გულის განკარკულებას, ან გონების განკარგულებას. გული და ხორცი ყვერიან და მოითხოვენ ბედნიერების თავიანთ წილებს. მე კი ხელთ არ მაქვს მათი სადავეები, მე არაფერი არ მწამს: მე ვარ თავისუფალი... თავისუფალი? არა, მე მონა ვარ საკუთარი გულის, საკუთარი ხორცის — უფრო ხშირად, თითქმის ყოველთვის, მათი სურვილები ძლიერია ჩემზე. ისინი იმარჯვებენ. მე მრცხვენია, მაგრამ არაფერი არ შემიძლია გავაკეთო". Р о м е н Р о л а н, Собрание сочинения, т. V 1956. გვ. 362.

მოთხოვნილების იმპულსის მაიძულებელი ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად ნებისყოფის მოტივების საფუძველზე წარმოებული თავისუფალი არჩევანის გზითაა მიღებული. ასეთი არჩევანი ყოველთვის ღირებულებისკენაა მიმართული და აქტუალურ მოთხოვნილებებს ანგარიშს არ უწევს.

ყველგან, სადაც ნებისყოფა და მოთხოვნილება ასე უპირისპირდება ერთმანეთს, საქმე გვაქვს შინაგან ბრძოლასთან, მაგრამ ბრძოლაში მოთხოვნილება და ნებისყოფაა ჩართული და არა მოტივები, როგორც ამას, ჩვეულებრივ, ფიქრობენ.

2) ეს ბრძოლა კიდევ უფრო მწვავდება და სშირად მძაფრ შინაგან კონფლიქტამდე მიდის, როცა ნებისმიერი ქცევისა და იმპულსური ქცევის მიზნები უპირისპირდებიან ერთმანეთს შინაარსეულად ისე, რომ ერთიმეორეს შეუძლებელს ხდის და გამორიცხავს. როცა მაგალითად ინდივიდის წინაშე დგება საკითხი ძლიერი, მაგრამ წარმავალი კმაყოფილებისათვის, რომლისკენაც მას რომელიღაც მოთხოვნილება უბიძგებს, სელი აიღოს სინდისზე: მეგობარი წუთიერი სიამოვნებისთვის გასწიროს, მაღალი სახოგადოებრივი ინტერესები დაბალ პირად ანგარებაში გაცვალოს, საშობლო ფულზე გაჰყიდოს, იცრუოს, იქურდოს და საერთოდ ისეთ აქტებს მიმართოს, რომელნიც მას ზნეობრივ იდეალებს გამოაცლიან და კაცურ კაცობას დაუკარგავენ.

იმპულსურ და ნებისმიერ ქცევათა მიზნების დაპირისპირება ყოველთვის ასეთ მორალურ სიბრტყეში არ ხდება. შეიძლება კაცს, რომლის ნებისყოფის ზრუნვის საგანს მაღალი წნევა ან გულის დაავადებით შელახული ჯანმრთელობის დაცვა და აღდგენა შეადგენს, ღვინოზე ან თამბაქოზე მოთხოვნილება გადაუდგეს წინ და იგი ერთგვარ შინაგან კონფლიქტში მოაქციოს.

ზოგიერთი მკვლევარი ნებისყოფის თავისებურებას ასეთი კონფლიქტების გადაწყვეტაში ხედავს. ეს შეხედულება, როგორც იქედანაც ჩანს, რაც ნებისყოფის შესახებ უკვე ვიცით, არაა სწორი. ჯერ ერთი, კონფლიქტების შემთხვევაში ნებისყოფის სუბიექტს მიზნის მიღება არც ისე ხშირად უხდება, რომ მისი თავისებურების განსაზღვრა აქედან სცადოს კაცმა. მერე კიდევ, მწვავე და გაძაფრებულ კონფლიქტს მხოლოდ იქ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, სადაც ნებისყოფის სუბიექტი სუსტია, სადაც ნებისყოფას ვერ მოუხერხებია ინდივიდის ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობათა ხელში აღება და ორგანიზირება.

ნებისმიერი და იმპულსური ქცევების მიზნების თუ საშუალებების დაპირისპირება ნებისყოფის სუბიექტს უქმნის შინაგან წი-

ნააღმდეგობას, ანუ დაბრკოლებას, რომელიც ყოველთვის არ იღებს კონფლიქტის სახეს. ამ წინააღმდეგობის თუ დაბრკოლების გადალახვად ზოგჯერ განსაკუთრებული ძალისხმევა ხდება საჭირო.

ნებისყოფისა და მოთხოვნილების ზემოაღწერილ დაპირისპირებათა შემთხვევებში იმარჯვებს მათ შორის უფრო ძლიერი. რომელიც მოპირდაპირეს ბრძოლის განახლების შესაძლებლობას არ მივცემ და განაიარაღებს იმით, რომ ინდივიდის ფსიქოთიზიკურ შესაძლებლობებს ეუფლება და მოცემული სიტუაციის შესატყვის განწყობას ქმნის. ნებისყოფის სრული გამარჯვების შემთხვევაში მოთხოვნილების იმპულსი აღარ აწუხებს კაცს და ცნობიერებაც თავისუფლდება მისი ზეგავლენით აღძრული აფექტური შინაარსებისგან, ხოლო მოთხოვნილების სრული გამარჯვების შემთხვევაში ნებისყოფა და მისი მოტივი აღარ განიცდება. რადგან ცნობიერებს მთლიანად მოთხოვნილებასთან დაკავშირებული საქმის ვითარება იქერს.

ზოგჯერ ნებისყოფა და მოთხოვნილება ერთნაირი ძალით უპირისპირდებიან ერთმანეთს, რის გამოც ინდივიდი ვერც ერთ ქცევას ვერ მიჰყვება მანამ, სანამ ერთი მათგანი — ნებისყოფა ან მოთხოვნილება — რაიმე ფაქტორის მოქმედების გამო, მეორეზე ძლიერი არ აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში ნებისყოფის სუბიექტი საგანგებოდ აცნობიერებს ნებისმიერ ქცევასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და ამ ქცევის განხორციელების საჭიროებას კიდევ უფრო მკვეთრად განიცდის. რაც ამაგრებს და აძლიერებს ნებისყოფას ისე, როგორც აქტუალურ მოთხოვნილებას ამაგრებს და აძლიერებს მისი დაკმაყოფილების უკეთესი სიტუაციის აღქმა და წარმოსახვა. შეიძლება, იმპულსურ და ნებისმიერ ქცევათა შორის რაღაცის მომენტში სხვა პირის ცხოვრების მაგალითმა ვინმეს საუბარმა, რომელიმე წაკითხული წიგნის შინაარსის მოგონებამ, კინოში ან თეატრში განცდილმა მოვლენებმა ისე გააძლიეროს და გაამაგროს ნებისყოფის სუბიექტი, რომ საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყდეს[20].

როგორ აიგება ნებისმიერი ქცევა

ქცევის აქტების უშუალო მიზეზს განწყობა წარმოადგენს. ის დებულება საზოგადოა და ძალაში რჩება ნებისმიერი ქცევის მიმართაც. იმპულსური ქცევის განწყობა, როგორც ზემოთ იყო აღნი-

---

20 შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, გვ. 298—302.

შნული, ორი ფაქტორის — მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის — ნიადაგზე აღმოცენდება. როგორ იქმნება ნებისმიერი ქცევის განწყობა? იმპულსურ ქცევას წინ უძღვის მოთხოვნილება. რომელიც ყოველთვის ვითარდება თავისთავად, ინდივიდის აქტივობის გარეშე. ინდივიდის ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად. მაშინ, როცა ნებისმიერ ქცევას წინ უძღვის გადაწყვეტილება, რომელიც ნებისყოფის გამოვლენის ძირითად ფორმას წარმოადგენს და პიროვნების, როგორც ნებისყოფით განსაზღვრული არსების, საგანგებო აქტივობის გზითაა მოპოვებული. ეს აქტივობა ხშირად დიდი შინაგანი დაძაბულობითა და ძალისხმევით მიმდინარეობს. ასე ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა მას აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსები ხვდებიან წინ დაპირკოლებად. მის ძირითად ამოცანას შეადგენს მოამზადოს პირობები გადაწყვეტილების მიღებისათვის: გამოარკვიოს იდეური სიტუაციის ძირითადი მომენტები — განსაზღვროს ქცევის ობიექტური ღირებულება და განხორციელების გზები. ამ აქტივობის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც ნებისმიერი ქცევის მიზნის ფუნქციას ასრულებს. გადაწყვეტილების აქტი ხორციელდება სათანადო განწყობის შექმნის საფუძველზე. ეს განწყობა ვითარდება ნებისყოფისა და იდეური სიტუაციის ნიადაგზე. გადაწყვეტილების მიღებით მთავრდება ნებისმიერი ქცევის ერთი ძირითადი პერიოდი — მისი შინაგანი მომზადების პერიოდი, რასაც განმსაზღვრელი როლი აქვს მისი მომდევნო პერიოდის — გადაწყვეტილების განხორციელების პერიოდის მიმდინარეობისთვის: როგორ მომზადდა და დაფუძნდა გადაწყვეტილება, ამაზეა მთლიანად დამოკიდებული მისი განხორციელების საკითხი. თუ სხვა შემთხვევითმა გარემოებამ არ იჩინა თავი.

გადაწყვეტილების საფუძველში არსებული განწყობის აღმოცენება იმას ნიშნავს, რომ მასში (ამ განწყობაში) განსაზღვრული ქცევა ჩაჯდა პიროვნების ბუნებაში და მისი ცხოვრების მიმდინარეობად. მისი სიცოცხლის აზრად იქცა, რის გამოც იგი ახლა გარეთ მდებარე, ცივი და ინდიფერენტული მოვლენის სახით აღარ განიცდება.

გადაწყვეტილებისა და რეალური, ფაქტიურად მოცემული, სიტუაციის ნიადაგზე ხდება იმ განწყობის ფორმირება, რომელსაც გადაწყვეტილების რეალიზაციისკენ მიმართული ქცევის აქტები ემყარება.

ამგვარად, ნებისმიერი ქცევის განწყობას სუბიექტის მხრიდან პირველად საფუძვლად ნებისყოფა უდევს, ხოლო ობიექტური სი-

ნამდვილის მხრიდან — იდეური სიტუაცია, რომელიც ნებისყოფის სუბიექტისაგან მოცემულ მომენტში საჭირო, გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე, ქცევის აქტების განხორციელებას მოითხოვს. ნებისყოფის სუბიექტს არ შეუძლია ამ მოთხოვნას არ მიჰყვეს. მას უარი უთხრას, რადგან ეს მისი, როგორც ნებისყოფის სუბიექტის, უარყოფა იქნება სწორედ ისე, როგორც აქტუალური მოთხოვნილების სუბიექტს არ შეუძლია უარი თქვას მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, როცა მოთხოვნილების საგანი მის ხელთაა, რადგან ასეთი მოქმედება მისგან საკუთარ თავზე უარის თქმა იქნებოდა. ამიტომ იქ, სადაც ნებისმიერი ქცევის იდეური სიტუაცია მოცემულია, ხოლო ნებისყოფას წინ გადაულახავი დაბრკოლება არ ხვდება, ნებისმიერი ქცევის განწყობა იქმნება აუცილებლად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ნებისმიერი ქცევა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, თუ მას შინაგანი დაბრკოლებები არ ხვდება, მაგრამ, როცა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისთვის საჭირო აქტივობა მიმდინარე მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება და აწმყოს მდგომარეობაში მტკივნეულად განიცდება, ამ მოთხოვნილებებიდან მომდინარე იმპულსები, მიუხედავად ერთგვარი შეკავებისა, მაინც განუწყვეტლივ მოქმედებენ ნებისმიერი ქცევის წინააღმდეგ. ძლიერი ნებისყოფის შემთხვევაში ისინი ვერ ახერხებენ ქცევის შეფერხებას. მაგრამ, სადაც ნებისყოფა შედარებით სუსტია, შესაძლებელია, ახალ დაბრკოლებებთან დაკავშირებით, იმპულსებმა იგი დასძლიონ და ნებისმიერი ქცევის განწყობა დაარღვიონ. ამიტომაა, რომ ნებისყოფის სიმტკიცის გამოცდა ყველაზე ადვილად დროში გახანგრძლივებულ ქცევაშია შესაძლებელი. მომენტალური ნებისმიერი ქცევის აქტის განხორციელება, ძლიერ ტკივილებთანაც რომ იყოს დაკავშირებული, შედარებით ადვილი საქმეა. თქმულება, „წვეთების გარუწყვეტელი ცემით სალი კლდეც გაიხვრიტებაო“ ნებისყოფაზეც ვრცელდება.

ნებისმიერი ქცევის განხორციელების გზაზე შეიძლება რაიმე შემთხვევამ შედარებით სუსტი ნებისყოფის ადამიანში რომელიმე მოთხოვნილება ისეთი ძალით აღძრას, რომ მისმა იმპულსმა გადაწყვეტილების საფუძველში არსებული განწყობა დაარღვიოს, ნებისყოფის გზით აწმყოზე ამაღლებული პიროვნება უკან დააბრუნოს და მისი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობანი ამ აწმყოს უზრუნ-

ველყოფისაკენ მიმართულ აქტივობაში ჩართოს, ინდივიდი ისეკ. მომენტის არსებად აქციოს.

აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ ნებისყოფა აღარ ხვდება განსაკუთრებულ დაბრკოლებას. მომენტალური აწმყოს ტყვეობიდან გათავისუფლებული პიროვნება ისევ უპრუნდება თავის პირვანდელ სიმაღლეს და იმის მიხედვით თუ რა წონის უარყოფით ღირებულებასთან იყო დაკავშირებული მისი იმპულსური მოქმედება, იგი ხშირად მეტ-ნაკლები სიძლიერის სინანულსა და სულიერ ტკივილებს განიცდის, კონფლიქტში მოდის საკუთარ თავთან და კიცხავს და სჯის მას იმისთვის, რომ სათანადო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, თავის შეკავება ვერ შესძლო, დაკარგა ობიექტური ღირებულების ცნობიერების უნარი და ისეთი ქცევის აქტებს მისცა თავი, რომელმაც სამწუხარო შედეგი დაუტოვა. ასეთ შემთხვევათა საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიგონოთ მწირის შეხვედრა მწყემს ქალთან ი. ჭავჭავაძის „განდეგილიდან", ან კიდევ ომში მიმავალი ონისეს თავდავიწყება ძიძიასთან ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან „ხევის ბერი გოჩა".

გადაწყვეტილების გამოტანის დროს კაცი ინტელექტუალურად ითვალისწინებს იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც შეიძლება მას მიზნის განხორციელების გზაზე შეხვდეს. გადაწყვეტილების მიღების მომენტში ამ სიძნელეებს იგი უშუალოდ საკუთარ მდგომარეობაში არ განიცდის. ამიტომ, თუ ამ მიმართებით ჩვს პირადი გამოცდილებაც არ აქვს, ძნელია, წინასწარ გაითვალისწინოს, თუ რა მდგომარეობაში იქნება იგი, როცა პრაქტიკულად აღმოჩნდება ამ სიძნელეთა წინაშე. სიძნელის, დაბრკოლების, საშიშროების წინასწარ გათვალისწინებას დიდი ჩნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც სულ სხვა საქმეა, როცა კაცი მათ პირისპირ დადგება და მათგან მომდინარე სიმკაცრესა და ტკივილებს უშუალოდ, საკუთარ მდგომარეობაში განიცდის. აქ შეიძლება ადვილად შეირყეს მიღებული გადაწყვეტილება, თუ ნებისყოფის სათანადო სიმტკიცემ არ იჩინა თავი.

ამგვარად, ნებისმიერი ქცევა, იმის მიხედვით, თუ როგორია გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების ფსიქოლოგიური პირობები, შეიძლება რამდენიმე განსხვავებულ ფორმაში მიმდინარეობდეს, მაგრამ ის რაც მთავარი და არსებითია, ყველგან ერთია: ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობას განსაზღვრავს განწყობა, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, ორი ფაქტორის — ნებისყოფისა და მისი სიტუაციის — ნიადაგზე აიგება.

ემოციური განცდების ადგილი ნებისმიერ ქცევაში

ნებისყოფის აქტივობისთვის საჭირო პირობებს ინტელექტუალური პროცესები ქმნიან. ეხლოდ ამ პროცესების საშუალებით ახერხებს ნებელობის სუბიექტი ნებისმიერი ქცევის მოტივის დადგენას, მიზნის მიღებასა და განხორციელების გზების გათვალისწინებას. ნებელობის სიტუაცია — იდეური სიტუაცია მხოლოდ ინტელექტუალური ხედვისთვისაა მისაწვდომი. ამიტომ ნებისყოფა ისე არსებითადაა დაკავშირებული ინტელექტთან, რომ შეუძლებელია ნებისყოფის რომელიმე მოვლენა მისგან სრულიად დამოუკიდებლად განვითარდეს. იგივე არ შეიძლება ითქვას გრძნობის შესახებ. ნებისყოფას შეუძლია მეტ-ნაკლები წარმატებით, გრძნობის გარეშეც აკეთოს თავისი საქმე. ამის დამადასტურებელი ემპირიული საბუთიც არსებობს. როგორც ამბობენ, არის პათოლოგიური შემთხვევა, როცა ადამიანი საერთოდ ჰკარგავს გრძნობის განცდის უნარს და მხოლოდ ნებისყოფითა და ინტელექტით ცხოვრობს და მოქმედებს[21]. ასეთი ცხოვრება, რა თქმა უნდა, სუბიექტურად მშრალი, ცივი, უსიცოცხლო და უინტერესოა. მაგრამ იგი, როგორც ჩანს, მაინც შესაძლებელია.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გრძნობები, და საერთოდ ემოციური განცდები, წარმოადგენენ ნებელობის პროცესების ერთადერთ წყაროს, მათ აღმძვრელსა და წარმმართველ ერთადერთ ფაქტორს. ფსიქოლოგთა მეტი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ემოციური განცდები ასრულებენ ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას. მაგრამ ისინი ნებისმიერი ქცევის ერთადერთ მოტივებს არ წარმოადგენენ; მათ გვერდით სხვა სახის მოტივებიც არსებობენ და მოქმედებენ.

ჩვენი აზრით, გრძნობისებური განცდები, თავისი არსით, არ არიან ნებისყოფასთან არსებითად დაკავშირებულნი. ისინი არ მონაწილეობენ მისი საკუთარი სტრუქტურის განსაზღვრაში და არ წარმოადგენენ მის რომელიმე აუცილებელ მომენტს; მათ არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ნებისმიერი ქცევის კონსტიტუციის დადგენაში. მაგრამ ნორმალური ადამიანის ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობაში ისინი მაინც ყოველთვის გვხვდებიან, რაც ადამიანის მთლიანი ფსიქოლოგიური თავისებურებითაა შეპირობებული და

---

[21] К. Н. Корнилов, Воля; Психология под редакцией К. Н. Корнилова, Б. М. Теплова и Л. М. Шварца, 1941, გვ. 270.

არა — ნებისყოფისა და ნებელობის პროცესების სპეციფიკური ბუნებით.

რა ადგილს იკავებენ გრძნობები — ემოციური განცდები — ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობაში?

1. გრძნობები შეიძლება წარმოიქმნან ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობის პროცესში იმ მოთხოვნილების საფუძველზე, რომელიც ნებისმიერ ქცევასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა და ამიტომ შეიზღუდა და დაუკმაყოფილებელი დარჩა. კაცი, რომელმაც გარკვეული მოტივის საფუძველზე გადაწყვიტა თამბაქოს წევას თავი დაანებოს, დიდხანს განიცდის უსიამოვნებას, რომელიც დაუკმაყოფილებლად დატოვებულ თამბაქოს მოთხოვნილებიდან მოდის და მას ისეთი ქცევის აქტებს ძალებს, რომელიც გადაწყვეტილებას დაურღვევს და თამბაქოს მოაწევინებს. ასევე მოქმედებს მაგალითად შიში, რომელიც მოდის საკუთარი სიცოცხლის ან მდგომარეობის დაკარგვის მოსალოდნელობიდან, რაც ნებისმიერი ქცევის აქტებს შეიძლება მოჰყვეს შედეგად. ასეთ შემთხვევებში ემოციური განცდები ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობას აძნელებს, აბრკოლებს და ზოგჯერ, სადაც ნებისყოფის სუბიექტი სუსტია, დეზორგანიზაციას უკეთებს და სრულიად შეუძლებელს ხდის.

2. ხშირად ნებისმიერი ქცევის აქტები, რომელნიც გარკვეული ობიექტური ღირებულების შემცველი მიზნის განხორციელებას ახდენენ, რომელიმე აქტუალურ მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებენ, რის გამოც, როგორც ადრე, ზევითაც იყო აღნიშნული, ორმაგი ბუნების ქცევა ვითარდება. ასეთ შემთხვევაში, იმ მოთხოვნილების ნიადაგზე, რომელიც ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობაში ნახულობს დაკმაყოფილებას, წარმოიქმნებიან ემოციური განცდები, რომელნიც ნებისმიერი ქცევის აქტებს თავისთავადაც სასიამოვნოს, სახალისოსა და მიმზიდველს ხდიან. ასეთ შემთხვევაში ემოციური განცდები ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობას აადვილებენ და ხალისიანს ხდიან, ისინი ეხმარებიან ნებისყოფის სუბიექტს იმ მოქმედებათა ორგანიზაციის საქმეში, რომელნიც ნებისმიერი ქცევის მიზნის განხორციელებას ახდენდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზანთან და მის მოტივთან მათ არაფერი აქვთ საერთო. ისინი მხოლოდ ქცევის განხორციელების გზებთან, საშუალებებთან არიან დაკავშირებულნი.

3. როცა ადამიანი აწმყოს მომენტალურ ინტერესებზე მაღლდება, აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს იქვემდებარებს და რაიმე სერიოზულ, მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე, მიზანს ისახავს, იგი მთელი თავისი არსებით ეძლევა მას და ცხოვრების

მოცემული მონაკვეთის (მიზნის განხორციელებისთვის საჭირო დროის) ძირითად აზრს ამ მიზანში ხედავს და განიცდის. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ მიზნის შესატყვისად, ამ მიზნის საფუძველში მოქცეული განწყობის შესაბამისადაა მოდიფიცირებული. ამიტომ ამ მიზანში, ამ განწყობაში გათვალისწინებული აქტების წარმატება-წარუმატებლობასთან არ შეიძლება იგი ემოციურად ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იყოს. ასეთი მიზნის განხორციელების გზაზე მოპოვებული ყოველი წარმატება მასში სიხარულსა და აღტაცებას იწვევს, ხოლო წარუმატებლობისა და მარცხის ნიადაგზე მას, იმის მიხედვით თუ როგორი ტემპერამენტი აქვს, შეიძლება სიბრაზის, მოუსვენრობის, მწუხარების, სინანულისა და სასოწარკვეთილების განცდები გაუჩნდეს. ეს განცდები, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ნებისმიერი ქცევის შემდგომ მიმდინარეობაზე, ხელს უწყობენ ან აბრკოლებენ მის მსვლელობას, მაგრამ თვითონ ნებისყოფის პროცესებს არ წარმოადგენენ და ნებისყოფის ბუნებიდან არ მომდინარეობენ: არ შედიან ნებისმიერი ქცევის მოტივისა თუ მიზნის შედგენილობაში.

4. იქაც, სადაც გრძნობები — ემოციური განცდები — ნებისმიერი ქცევის მიმართულებით მოქმედებენ, ნებისყოფას ხშირად მისი შეკავება და შენელება უხდება, რადგან ისინი ზოგჯერ (განსაკუთრებით მაღალი ტემპერამენტის ადამიანებში) მომენტალური აწმყოთი შექმნილი პირობების გამო. აფექტურ მდგომარეობაში გადასვლისკენ ისწრაფვიან და მოუთმენლობის, წინდაუხედაობისა და უადგილო მოქმედების მიზეზად ხდებიან. სამამულო ომის ისტორიაში ხშირი იყო შემთხვევა, როცა შურისძიების ცეცხლით ანთებული მებრძოლი ტყვეს, რომელსაც მტრის მდგომარეობის შესახებ შეეძლო საჭირო და ღირებული ცნობების მოცემა. სათანადო ადგილზე მიყვანამდე ანადგურებდა, რადგან მას ძლიერი შურისძიების გრძნობა მოთმინებისა და თავშეკავების უნარს ართმევდა და დაუყოვნებელი შურისძიებისკენ უბიძგებდა.

ყველა იმის მიხედვით, რაც აქამდე ითქვა, ცხადი უნდა იყოს, რომ აღზრდამ მოზარდში, პირველ რიგში, ნებისყოფა უნდა გამოიმუშაოს. უნებისყოფო კაცი ყოველგვარ დანაშაულზე წავა, როცა მას რომელიმე ძლიერი მოთხოვნილების იმპულსი შეაწუხებს. იგი მოვალეობას დაივიწყებს, სერიოზულ საქმეს მიატოვებს, ქვეყანას, ხალხს, ადამიანებს შეავიწროვებს, მოატყუებს, უღალატებს, თუ ასეთი რამ მას საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო საშუალებათა მოპოვებაში მოეხმარება.

მხოლოდ ნებისყოფა აძლევს ადამიანს შესაძლებლობას, რომ ამას საჭიროება მოითხოვს, თავი შეიკავოს მოთხოვნილებათა იმპულსებისაგან, მაღალი მორალური პრინციპების დონეზე დადგეს და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით ღირებული მიზნები დაისახოს და განახორციელოს. თითქმის ყველაფერი, რასაც ღირებულება აქვს, რითაც კაცობრიობა ამაყობს და თავი მოაქვს, ადამიანის ნებისყოფის მიერაა შექმნილი. ნებისყოფის გარეშე არც ერთი დიდი და სერიოზული საქმე არ გაკეთებულა ქვეყანაზე. ამიტომ ენიჭება ასე დიდი მნიშვნელობა მისი აღზრდის საქმეს.

თავი II

ნებისყოფის პედაგოგიკა

რაც არა გწადდეს, იგი ქმენ,
ნუ სდევ წადილთა ნებასა.
შოთა

სიძნელეები ნებისყოფის აღზრდაში

ნებისყოფის აღზრდაში თავს იჩენს გარკვეული სიძნელეები, რომელთა ცოდნა აუცილებელია იმისთვის, რომ მათი დაძლევისათვის საჭირო პედაგოგიური ღონისძიებები შეეიმუშაოთ და გამოვიყენოთ. ადგილის განსაზღვრულობის გამო, ჩვენ აქ ყველა სიძნელეზე ვერ შეეჩერდებით, მაგრამ უფრო ძირითადზე მოკლედ მაინც მიეუთითებთ.

დაბრკოლებები, რომლებიც ნებისყოფის აღზრდის საქმეს ელობება წინ, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ერთ ჯგუფში მოთავსდება სიძნელეები, რომელთაც თვითონ აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი ქმნიან, ხოლო მეორეში გაერთიანდება დაბრკოლებები, რომელნიც სოციალური გარემოს — აღმზრდელებისა და ბავშვის ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირებულ სოციალური ჯგუფების — ვოლიტური თვისებებითაა შეპირობებული და ნებისყოფის აღზრდის საქმეზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ. დავიწყოთ პირველი ჯგუფის სიძნელეებით.

1. გზა, რომელსაც ბავშვი დასრულებულ პიროვნებად ჩამოყალიბებამდე გაივლის, არ მიმდინარეობს სწორხაზობრივად. იგი რამდენიმე ერთმანეთისაგან რომელობითად განსხვავებულ საფე-

ხურს შეიცავს. ზოგ საფეხურზე ბავშვის პედაგოგიური მართვა შედარებით ადვილი საქმეა, ზოგზე კიდევ ისეთ დაბრკოლებებს აწყდება, რომლის წარმატებით გადალახვა საფუძვლიან შეცნიერულ ცოდნასა და ფაქიზ პედაგოგიურ ტაქტს მოითხოვს. ამიტომ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება იმ ბავშვების აღზრდის საქმე, რომელთა მშობლებს (აღმზრდელებს) არც შესატყვისი ცოდნა მოეპოვებათ და არც სათანადო ტაქტი გააჩნიათ.

განსაკუთრებულ სიძნელეს აღზრდის საქმეში მშობლები პირველად მესამე წელში აწყდებიან: ბავშვი, რომელიც მანამდე ცვილივით რბილი, გამგონე და მორჩილი იყო ერთბაშად ჯიუტ, ყინიან და კაპრიზ არსებად იქცევა: უფროსებს წინანდებურად აღარ უსმენს და უჯერებს; მათ მოთხოვნებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს, ხოლო თავისის დაკმაყოფილებას დაჟინებით ცდილობს; როცა რაიმეს უკრძალავენ ბრაზობს, ტირის და იბრძვის, რომ როგორმე წინააღმდეგობა გასტეხოს და თავისი გაიტანოს. ამას. ჩვეულებრივ ემატება კაპრიზიც, რომელიც ყველა მოქმედებაში იჩენს თავს: ბავშვი უარს ამბობს ისე იოამაშოს, ჭამოს, სვას და დაიძინოს, როგორც მას სთავაზობენ; ხშირად საუზმეზე რძის დალევაზე უარს ამბობს და კაკაოს მოითხოვს, ხოლო როცა კაკაოს აწოდებენ, მასაც არ ღებულობს და ჩაიზე აცხადებს სურვილს. თამაშის დროს სწორედ ის სათამაშო უნდა, რომელიც მასთან მყოფ ბავშვს აქვს ხელთ; სხვა იხეთივე სათამაშო, თუნდაც უკეთესი, რომ მიაწოდოთ, არ კმაყოფილდება. ამ გარემოებას საკმაოდ დიდი უსიამოვნება მოსდევს, მით უმეტეს, თუ მეორე ბავშვიც კაპრიზია და თავისას არ თმობს. ეს მოვლენები ზოგიერთ ბავშვთან შერბილებული სახით გვხვდება, ზოგთან კიდევ ისეთი ძალით იჩენს თავს, რომ სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას მოკლებული მშობლები, ხშირად, სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და, როგორც აღმზრდელები, თავიანთ თავს საკუთარ ბავშვებს განიარაღებულად გრძნობენ, ან კიდევ ისეთ ღონისძიებას მიმართავენ, რომელიც აღზრდის თვალსაზრისით მიუტევებელ დანაშაულს წარმოადგენს: ბავშვს ნორმალური განვითარების შესაძლებლობას ართმევს და ნევროზულ მდგომარეობაში აგდებს.

ჯიუტობა, ყინიანობა და კაპრიზი გარდამავალ მოვლენებს წარმოადგენენ. ისინი მესამე წელში იჩენენ თავს. და, ნორმალური აღზრდისა და განვითარების შემთხვევაში, მეოთხე წლის ბოლოამდე იმდენად სუსტდებიან, რომ მტკივნეულად აღარ განიცდებიან. მაგრამ ეს მოვლენები ბავშვის ცხოვრების ამ პერიოდის ისეთ ნიშანდობლივ თვისებებად ითვლებიან, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მას (ამ პერიოდს) პირველი ჯიუტობის ხანის სახელწოდებით

აღნიშნავენ და განასხვავებენ ჯიუტობის მეორე ხანისაგან, რომელიც მოზრდილობის ასაკში იწყება.

ჯიუტობა ადამიანის უარყოფითი თვისებაა საერთოდ, მაგრამ აქ იგი თვალსაჩინო ფუნქციას ასრულებს ბავშვის განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასვლის საქმეში. ამიტომ ჯიუტობა, ამ ასაკში, თუ მას აღზრდისა და განვითარების თვალსაზრისით შეეხედავთ, დადებითი ღირებულების მქონე მოვლენის სახით წარმოვიდგება. იგი არის განვითარების წინა პერიოდის კანონზომიერი და ბუნებრივი შედეგი რომელიც, სწორი პედაგოგიური მართვის გზით, შეიძლება დიდი მნიშვნელობის მქონე პიროვნულ თვისებებში იქნას გადაზრდილი. ისე, თავისთავად; ცხოვრების ყოველგვარ პირობებში. საჭირო აღმზრდელობითი ზემოქმედების გარეშე, იგი ასეთი სასურველი მიმართულებით არ განვითარდება; პირიქით. შეიძლება თავის პირვანდელი სახით შემორჩეს პიროვნებას და მისი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან მეტისმეტად უხეშ, მძიმე და. ზოგჯერ. სრულიად აუტანელ მოვლენად აქციოს.

რა ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა შეპირობებული ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ჯიუტობა?

ორი წლის ბავშვი ჯერ კიდევ სენსომოტორული არსებაა, რომელიც პასიურად ემორჩილება გარესინამდვილის მომენტალურ ზემოქმედებას, ადვილად ეძლევა უფროსების შთაგონებას და უმტკიცნეულოდ ასრულებს მათ მოთხოვნებს. მისი სურვილები მოკლებულია სიმყარეს — დროში გამძლეობას და სწრაფად, აქტუალურად მოცემული სიტუაციის შესაბამისად, ცვლიან ერთმანეთს. საკმარისია მისი ყურადღება რამდენიმე წუთით რომელიმე აქტუალურად მოცემულ მოვლენაზე გადავიტანოთ და შევაჩეროთ, რომ ის. რისკენაც იგი მანამდე მთელი ძალით ისწრაფოდა, სამუდამო დავიწყებას მიეცეს.

ასეთი, სწრაფად ცვალებადი სულიერი მდგომარეობა იმითაა შეპირობებული, რომ ბავშვის ფსიქიკაში ჯერ კიდევ არ ჩასახულა და ფორმირებულა პიროვნება, ამ სიტყვის ფართო ნიშნულობით, რომელმაც უნდა მისი ყველა მოთხოვნილებისა და მოქმედების ერთი განუყოფელი სუბიექტის როლი შეასრულოს, დაუკმაყოფილებლად დარჩენილი სურვილები და მისწრაფებანი დროში ხანგრძლივად შემოინახოს და წარსული და აწმყო, როგორც საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა მომენტი, ერთ მთლიანობაში განიცადოს. იმისათვის რომ ასეთი რამ მოხდეს, საჭიროა მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამოეყოს ერთი მხრით საკუთარი მე, ვი-

სი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით. ხოლო, მეორე მხრით, ობიექტური სინამდვილე, იმ საგნებითა და მოვლენებით, რომელნიც ბავშვს, როგორც საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო პირობები, თავიანთკენ იზიდავენ.

პირველი ორი წლის მანძილზე ინტელექტის. განსაკუთრებით მეხსიერების, წინსვლის ნიადაგზე მზადდება ზემოდასახელებული დიფერენციისათვის საჭირო ფსიქოლოგიური პირობები, მაგრამ ეს მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი და შესამჩნევი ნაბიჯი მაინც მესამე წელში კეთდება. ბავშვი პირველად მკვეთრად ეხოლოდ ახლა გამოყოფს თავის მეს გარესინამდვილის სხვა მოვლენებისაგან და განიცდის მას, როგორც საკუთარ მოთხოვნილებათა სუბიექტს, საკუთარ მოქმედებათა წამყვანსა და ორგანიზატორს. ეს გახცდა ჯერ ფსიქიკური ცხოვრების პირველ პლანში ჩნდება და მოკლებულია ობიექტივაციისათვის დამახასიათებელ ძაღალ დონეს, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ აფერხებს მას მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვის სულიერ ცხოვრებაში.

ახლად ჩასახული და ფეხადგმული მე ისწრაფვის დამოუკიდებელი აქტივობისაკენ, რომელშიაც იგი უნდა მომწიფდეს და გამაგრდეს. აქ თავს იჩენს მრავლენა, რომელსაც შეიძლება მეს ფუნქციონალური ტენდენცია ვუწოდოთ: ბავშვი ისეთივე ხალისითა და დაჟინებით ასრულებს მოქმედებას, რომელშიაც საკუთარი მეს აქტივობას განიცდის, როგორც თამაშს, რომელშიაც მისი მომწიფების პროცესში მყოფი ფსიქოფიზიკური ძალები ფუნქციობენ და ვითარდებიან. იგი ყოველ ნაბიჯზე ცდილობს ისეთი რაიმე გაკეთოს, რომელშიაც საკუთარი მეს აქტივობას შეიგრძნობს, საკუთარ მეს ფუნქციობას განიცდის. ამიტომ დაჟინებით ცდილობს მოიქცეს ისე, როგორც თვითონ მას სურს და წინ აღუდგეს იმას, რაც მის მეს ზღუდავს და ფუნქციობის საშუალებას ართმევს. სხვისადმი მორჩილება, სხვისი მითითებით მოქმედება ახლა არსებითად ეწინააღმდეგება მის ძირითად ტენდენციას — მეს ფუნქციობის ტენდენციას. ამიტომ იგი ხშირად სასტიკ პროტესტს უცხადებს უფროსებს, როცა ისინი მისგან მორჩილებას მოითხოვენ. რაც უფრო მეტი ძალით გამოსთქვამს ბავშვი ამ პროტესტს და ავითარებს ჯიუტობასა და ყინიანობას, მით უფრო მეტი ძალით განიცდის იგი საკუთარი მეს დამოუკიდებელი აქტივობის გზით წარმოქმნილ ფუნქციონალურ კმაყოფილებას, რაც ჯიუტობის ახალ სტიმულად იქცევა.

ბავშვის სულიერ ცხოვრებაში მეს ცნობიერების ჩასახვისა და აღორძინების პირველი ეტაპი მეტყველებაშიაც ნახულობს ასახვას.

მესამე წელში ბავშვი ყოველ ნაბიჯზე მიმართავს გამოთქმას „მე თვითონ“... („მე თვითონ გავაკეთებ“, „მე თვითონ ვიტყვი“, „მე თვითონ ჩავიცვამ“, „მე თვითონ ვჭამ“ და ა. შ.), რომელიც მეს აქტივობის ძირითად ტენდენციას გამოხატავს. თვითშეგრძნებასთან ერთად თავმოყვარეობაც იღვიძებს; ბავშვი ახლა საგანგებოდ ცდილობს სხვების ყურადღების საგნად იქცეს და შექება დაიმსახუროს. სირცხვილის განცდაც პირველად ამ ასაკში იჩენს თავს.

აღნიშნული ასაკისათვის დამახასიათებელი ჯიუტობის შეპირობების საქმეში მეორე ფაქტორიც ღებულობს გადამწყვეტ მონაწილეობას. ბავშვს, რომელიც მესამე წელში გადადის, ჯერ კიდევ არა აქვს სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიმეორისაგან მკაფიოდ გამოყოფის უნარი. იგი მის გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებს საკუთარი მოთხოვნილების თვალით ხედავს და განიცდის. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ბუნებასა და საზოგადოებას, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს და მოქმედებს, აქვს თავისი ობიექტური კანონები და წესები, რომელთაც მან, მიზნის დასახვისა და განხორციელების დროს, ანგარიში უნდა გაუწიოს. ბავშვის შეგნებამდე ჯერ კიდევ არაა მისული ის გარემოება, რომ მის ირგვლივ მყოფი ადამიანები მხოლოდ მის მოსაცმსახურედ კი არ არიან ქვეყნად მოვლენილნი, არამედ მათაც აქვთ საკუთარი ცხოვრება და ინტერესები და მას ისეთი რაიმეს მოთხოვნისა და გაკეთების უფლება არ აქვს, რაც ამ უკანასკნელთ არსებითად ეწინააღმდეგება. ჯიუტობის დროს ბავშვი განიცდის მხოლოდ თავისთავს. თავის მისწრაფებასა და წინააღმდეგობას, რომელსაც მას უწევენ: მაგრამ იმას, რისთვისაც მას მოცემულ მომენტში წინ ეღობებიან, წინააღმდეგობას უწევენ და თავისუფალი არჩევანისა და მოქმედების შესაძლებლობას ართმევენ, არ ხედავს. ამიტომაა, რომ იგი ასე ჯიუტად და დაჟინებით აყენებს ისეთ მოთხოვნებსაც, რომელთა დაკმაყოფილება, მოცემულ პირობებში, შეუძლებელია.

ჯიუტობა, ამ ასაკში, არის ახლად ჩასახული პიროვნების, ახლად ფეხადგმული მეს ფუნქციობის ტენდენციით შეპირობებული აქტივობა, რომელიც ანგარიშს არ უწევს გარესინამდვილის წესებსა და კანონებს, ირგვლივ მყოფ ადამიანთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

რას შეიძლება მივაღწიოთ ჯიუტობისა და ჟინიანობის სწორი პედაგოგიური მართვის შედეგად?

ჯიუტობისა და ჟინიანობის სწორი პედაგოგიური მართვის გზით შეიძლება: 1. განვავითაროთ და განვამტკიცოთ ჩანასახი აქტიური პიროვნებისა, რომელმაც შემდეგ ნებისმიერი ქცევის სუ-

ბიექტის როლი უნდა შეასრულოს; 2. მივიყვანოთ ბავშვი იმის ერთგვარ შეგნებამდე, რომ ყოველთვის ყველაფრის მოთხოვნა და გაკეთება არ შეიძლება და მიზნის დასახვისა და განხორციელების დროს საკუთარ სურვილებს გარდა კიდევ სხვა რამეებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში; 3. დავარწმუნოთ ბავშვი იმაში, რომ თვითონ მას ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი გაარკვიოს რისი გაკეთება შეიძლება მოცემულ მომენტში და რისი არა, რის გამოც საჭიროა მან უფროსებს მოუსმინოს და მათი მითითებით იმოქმედოს; 4. გამოვუმუშაოთ ბავშვს აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავების პირველი სერიოზული ჩვევები.

რა გზებითაა ასეთი შედეგების მიღწევა შესაძლებელი? ამ საკითხის არსებითად განხილვას აქ ვერ შევუდგებით, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მაინც უნდა გაუსვათ ხაზი. იქ, სადაც ჟინიანობასა და ჯიუტობას თავისუფალი გასაქანი ეძლევა და ბავშვს ყველა სურვილი უკმაყოფილდება, ვითარდება თვითნება, ეგოისტი, რომელიც შემდეგ ცხოვრებაში ყოველთვის აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს გაჰყვება და საჭიროების შემთხვევაში თავისთავში ვერ იპოვის მათი შეკავებისათვის საჭირო ძალას. იგი შეიძლება დარჩეს უაღრესად ჯიუტი და შეუდრეკელი აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში, მაგრამ უკიდურესად სუსტი და უძლური ისეთი ქცევის განხორციელებაში, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მომდინარე ვალდებულებათა რეალიზაციას ესწრაფვის და საკუთარ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებასა და თავდაჭერას მოითხოვს.

საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება, როცა ჯერ კიდევ ახლად ჩასახული და ფეხადგმული პიროვნების ფუნქციობის ტენდენციას ყოველ ნაბიჯზე ადმინისტრაციული წესით ზღუდავენ, ბავშვის სურვილებსა და ინიციატივას. მკაცრი აკრძალვებით, არ აძლევენ გასაქანს და ბავშვისაგან ყოველ წუთში და ყოველ წვრილმანში მოითხოვენ მოიქცეს ისე, როგორც ეს მოცემულ მომენტში უფროსებს მიაჩნიათ მიზანშეწონილად. ასეთ შემთხვევაში მეს ფუნქციობის ბუნებრივი ტენდენცია შეკავებას განიცდის, პიროვნების ჩანასახის ნორმალური განვითარება ბრკოლდება და ბავშვში იქმნება ერთგვარი შინაგანი დაძაბულობა, რომელიც ხშირად ნევროზულ მდგომარეობაში გადადის.

ჯიუტობა და ჟინიანობა აღმზრდელობითი ზემოქმედების გზით უნდა იქნას დაძლეული. ამისათვის საჭიროა ბავშვს არაფითარ შემთხვევაში არ დავუთმოთ ის, რისი დათმობაც მართლა მიზანშეუწონელია და არ ავუკრძალოთ ყოველ წუთსა და ყოველ ნაბიჯზე წვრი-

ლმანი რამეები, როცა ისინი მას სულ ისე არ გამოუდის. როგორც სასურველია. აკრძალვა და შეზღუდვა, რომელიც ზედიზედ, დროის ხანმოკლე ინტერვალებში ხორციელდება, არ იძლევა დადებით ეფექტს; გასშირებული, ერთმანეთს მიყოლებული შეზღუდვები ბავშვს განწყობილებას უფუჭებს და ნერვულს ხდის.

წინააღმდეგობაში. რომელსაც ჯიუტობა აწყდება აღმზრდელის მხრიდან, ბავშვი, ერთსა და იმავე დროს, დაუძლეველ ძალასაც უნდა გრძნობდეს და აღზრდის სითბოსაც. ეს უკანასკნელი აუცილებელია იმისათვის. რომ ბავშვი განცდილი მარცხის გამო არ გაავდეს და, მისი გონების შესაძლებლობის მიხედვით. აკრძალვისა და წინააღმდეგობის ნამდვილი აზრის წვდომა შესძლოს. აღმზრდელის წინააღმდეგობაში ბავშვის მიერ ბზარისა და სისუსტის შემჩნევა მის ჯიუტობას უფრო გაუტეხელსა და მოუდრეკელს ხდის. აკრძალვა და წინააღმდეგობა ისეთი პედაგოგიური ტაქტით უნდა განხორციელდეს, რომ მასში ბავშვმა პირველ რიგში. რაღაცნაირად. წესისა და კანონის გარდაუვალობა იგრძნოს და არა აღმზრდელის ფიზიკური ძალისა და შესაძლებლობების უპირატესობა. მესამე-მეოთხე წლიდან ასეთი რამ შესაძლებელი ხდება.

ნებისყოფის აღზრდაში შემდეგი სიძნელე, რომელიც ასაკობრივი განკითარების ნიადაგზე წარმოიქმნება, მოზრდილობის ხანაში იჩენს თავს და, პირველ რიგში, წარმოგვიდგება ისევ ჯიუტობისა და ყინიანობის სახით. რომელიც აქ სრულიად ახალი ფსიქოლოგიური ფაქტორების საფუძველზე აღმოცენდება.

ბავშვის დასრულებულ პიროვნებად ჩამოყალიბების მთელ გზაზე არც ერთი ასაკი არ ქმნის აღმზრდელის წინაშე იმდენ სიძნელეს, როგორც მოზრდილობის ასაკი. ადამიანის ცხოვრების არც ერთ მონაკვეთში არ ხდება ერთბაშად ისეთი ღრმა, მძაფრი და მრავალმხრივი სულიერი ცვლილებები, როგორიც მოზრდილობის ასაკისათვისაა დამახასიათებელი. და ეს ცვლილებები თავიანთი ბუნებით ისეთები არიან, რომ აღმზრდელობით მუშაობას განსაკუთრებულ სიძნელეებს უქმნიან.

რაში გამოიხატება ეს სიძნელეები?

ჯიუტობის პირველი ხანის ერთი თვალსაჩინო მონაპოვარი ისიცაა. რომ მას, აღზრდის ნორმალურ პირობებში, ავტორიტეტის ცნობა და აღიარება მოსდევს შედეგად. მანამდე ბავშვმა საერთოდ არ იცის რა არის ავტორიტეტი. ჯიუტობისა და ყინიანობის პერიოდში ბავშვი, აწყდება რა გაუტეხელ წინააღმდეგობას, აღმზრდელების

მხრიდან, ბოლოს და ბოლოს, რწმუნდება, რომ შეუძლებელია ყველაფერი მისი სურვილების მიხედვით წარიმართოს, რომ არსებობს გარკვეული წესები და კანონები, გარკვეული ობიექტური ღირებულებანი, რომელსაც მან მიზნის მიღებისა და განხორციელების დროს ანგარიში უნდა გაუწიოს. ამავე დროს იგი იმასაც გრძნობს, რომ თვითონ ვერ ხვდება როდის რა წესებსა და კანონებს გაუწიოს ანგარიში და რა საგნებსა და მოვლენებს მიანიჭოს მეტი ღირებულება, რომ მოქმედება „უმარცხოდ" წამოიწყოს და განავითაროს. ამიტომ მალე ჯიუტობასა და ყინიანობას თავს ანებებს და ისევ წინანდებურად ვამგონე, დამჯერე და მორჩილი ხდება. მაგრამ ახლა, ეს მორჩილება სხვა ბუნებისაა, რადგან იგი აღმზრდელთა უპირატესობას ითვალისწინებს და მათ ავტორიტეტს ეფუძნება. ასეთი თვითმორჩილება — ავტორიტეტისადმი ყურისგდება — მეს აქტივობას კი არ ზღუდავს, არამედ ახალ, ჯიუტობისაგან სრულიად განსხვავებულ ფორმაში ავითარებს. ბავშვი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ღებულობს აღმზრდელთა მითითება-დარიგებებს, მაგრამ, იმას, რასაც ეს დარიგებები ითვალისწინებენ, ყოველთვის ვერ ახორციელებს, რადგან მის ფსიქიკას ხშირად მთლიანად აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსები ეუფლება და მართავს. მას ჯერ კიდევ არ მოეპოვება ამ იმპულსების შეკავებისთვის საჭირო შინაგანი შესაძლებლობანი.

ჯიუტობის პირველი ხანის გასვლის შემდეგ, სადაც აღზრდის საქმე თავიდანვე სწორ პედაგოგიურ ნიადაგზე იყო დაყენებული, ბავშვი შედარებით მშვიდ ვითარებაში, აღმზრდელებთან სერიოზული კონფლიქტის გარეშე, ცხოვრობს და ვითარდება. მაგრამ თერთმეტ-თორმეტი წლიდან, მოზრდილობის ხანის (წინაპუბერტეტის) დაწყებასთან დაკავშირებით, მდგომარეობა არსებითად იცვლება. ბავშვი, რომელიც აქამდე მორჩილი და გამგონე იყო, ერთბაშად იწყებს „აჯანყებას" უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების, წინააღმდეგ და ცდილობს მოქმედების სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიოს. სრული დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ეს ტენდენცია მოზრდილობის ხანის ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს და ამ ასაკის ბავშვებთან სხვადასხვა ძალით იჩენს თავს: ერთთან იგი ზომიერ ფარგლებში ვითარდება და იშვიათად ხდება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მძაფრი და მტკივნეული კონფლიქტების წარმოქმნის მიზეზი, მაშინ როცა მეორესთან — ნიაღვარივით მოვარდება და უფროსებისადმი მორჩილების ყველა ფსიქოლოგიურ საფუძველს შლის და ანგრევს. დამოუკიდებლობის ტენდენცია ვისთან რა ძალითა და ფორმით გამოვ-

ლინდება, ეს ერთი მხრივ მოზარდ-ს თანშობილ ინდივიდუალურ თავისებურებაზეა დამოკიდებული. ხოლო მეორე მხრივ იმ საალმზრდელო გარემოს ხასიათითაა შეპირობებული, რომელშიაც პავშვი აქამდე ვითარდებოდა. იგი, პირველ რიგში, ჯიუტობის, ჯინიანობისა და ნეგატივიზმის სახით იჩენს თავს, რის გამოც მოზარდის განვითარების პერიოდს, რომელიც დაახლოებით თორმეტსა და თოთხმეტ წლებს შორის თავსდება, ჯიუტობის მეორე ხანის სახელწოდებით აღნიშნავენ.

სად უნდა ვეძიოთ წყარო დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ტენდენციისა, რომელსაც მოზრდილისთვის დამახასიათებელი ჯიუტობა და ჟინიანობა ეფუძნება?

11—12 წლებში არსებითად მთავრდება ბავშვობა და იწყება მოზრდილობის ხანა. ბავშვობის დასასრული თავს იჩენს მომწიფების პირველ ნიშნებში, რომელნიც განსაზღვრული სხეულებრივი ცვლილებების სახით გვევლინებიან. გოგონები ვაჟებზე ერთი წლით ადრე იწყებენ და ამთავრებენ მოზარდობის ასაკს. რომლის პირველი ფაზა — პერიოდი 11 — 12 წლიდან 14 —15 წლამდე — წინაპუბერტეტის, ანუ გარდამავალი ხანის სახელწოდებითაა ცნობილი. წინაპუბერტეტი იწყება შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა სისტემაში მომხდარი ცვლილების საფუძველზე. ეს ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ერთბაშად იწყებს გაძლიერებულ ფუნქციობას სქესობრივი ჯირკვალი, რომლის ჰორმონი იღვრება სისხლში და ცვლის მის ქიმიურ შემადგენლობას. სისხლის ქიმიური შემადგენლობის აღნიშნული მიმართულებით შეცვლა არსებითად ცვლის საკვებს, რომელსაც აქამდე ღებულობდა ორგანიზმი და ამ გზით მკვეთრ ზეგავლენას ახდენს ნერვულ და ენდოკრინულ სისტემათა მუშაობაზე. ამ ნიადაგზე ხდება დიდი გარდატეხითი ხასიათის ცვლილებები, როგორც სხეულებრივი, ისე სულიერი განვითარების გზაზე: ახალ ფორმებს იღებენ მოზარდის ბიოლოგიური სტრუქტურა და სულიერი განწყობილებანი.

მომწიფების პირველი ნიშნების გამოჩენას — მეორადი სქესობრივი ნიშნების წარმოქმნას — თან მოსდევს სწრაფი ზრდა, რის გამოც ირღვევა სხეულის ბავშვური აგებულობა. პირველ რიგში იზრდება მხოლოდ კიდურები, ხოლო სხეულის სხვა ნაწილები ისევ ბავშვურ ზომებს ინარჩუნებს. თავის ნაწილზე იზრდება ცხვირი, ნიკაპი და ყურები, რაც სახეს ბავშვურ იერს უკარგავს და ტლანქსა და უხეშ გამომეტყველებას აძლევს. დისპროპორცია თავს იჩენს გამომხატველ მოძრაობებშიც. რომელნიც მოუქნელნი, აჩქარებულნი

და ნერვული ხდებიან. უფრო გვიან ტანი იწყებს სიმაღლეში სწრაფად ზრდას.

წინაპუბერტეტში დიდი ენერგია იხარჯება მომწიფებაზე, რის გამოც ამ ასაკის მოზარდი ადვილად იღლება და დროს ხშირად სიზარმაცესა და უსაქმურობაში ატარებს. ეს გარემოება თავისებურ გავლენას ახდენს სასკოლო სწავლაზედაც: მოსწავლეები, წინა პერიოდთან შედარებით, გაცილებით უფრო უყურადღებონი, გაბეზარ-გრილნი, გაფანტულნი და უინტერესონი ხდებიან, ხშირად გამოითიშებიან ვაკვეთილის მსველელობიდან და ოცნებას ეძლევიან ან კიდევ ამხანაგთან საუბარში ერთობიან, რაც აძნელებს მასწავლებლის მუშაობას[22].

ემოციური ცხოვრებაც თავისებური ხდება: ბავშვისათვის დამახასიათებელ მყარ დადებით ემოციურ განწყობილებას ცვლის ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებული ემოციური მოთხოვნანი უკიდურეს მხიარულებასა და უკიდურეს მოწყენილობას შორის; წინაპუბერტეტული, რომელიც ერთ მომენტში უაღრესად მხიარული, ცელქი და მოუსვენარი ჩანს, მეორეში — უკიდურესად მოწყენილი და ნაღვლიანი გამოიყურება.

განსაკუთრებით დიდი ღირებულების ცვლილებები ჩნდება ინტელექტუალურ სფეროში — გონივრული განვითარების გზაზე: მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას ნამდვილი ლოგიკური აზროვნება, რის საფუძველზედაც მოზარდი განყენებულ აზრებს წვდება და აბსტრაქტულ ცნებებს ეუფლება. იგი ამ მიმართულებით ანალიზურად გრძნობს თავის უპირატესობას ბავშვებთან შედარებით. ეს გარემოება აძლიერებს ბავშვობის დატოვებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ მიმართულ ტენდენციას, რომელიც მასში მომწიფების დაწყებასთან დაკავშირებით იჩენს თავს.

მოზარდი, იმ დიდ ძვრებში, რომელიც მის ბიოლოგიურ და სულიერ სამყაროში ხდება, გრძნობს სიმწიფის მოახლოებას, ესწრაფვის მისკენ და ფსიქოლოგიურად, თავის განცდაში, აჩქარებს მას: ბავშვობას ზურგს აქცევს და თავისთავს გაცილებით უფრო მეტად მომწიფებულად, დასრულებულად და სრულყოფილად განიცდის ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი. აღნიშნული გარემოების გამო მოზარდი საზოგადოებაში თავის ბუნებრივ ადგილს ვერ ნახულობს: ბავშვებთან გატოლებას იგი შეურაცყოფად და დამცირებად განიცდის, ხოლო დიდების წრეში შესვლას ვერ ახერხებს,

[22] იხ. Heinz Remplein, Die Seelische Entwilung des Zehn- bis Zwanzigjähigen und sein Verhäntnis zur Schule (Pädagogische Psychologie für höhere Schulen, herausgegaben von Kurt Strunz, თავი II, 1961, ss. 64).

იმის გამო რომ დიდები მას ისევ ისე უყურებენ და ექცევიან, როგორც ბავშვობაში უყურებდნენ და ექცეოდნენ. ამიტომ იგი პროტესტს აცხადებს და „ამბოხებას“ იწყებს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც მას ისევე ბავშვად თვლიან და მისგან ისევ ბავშვურ მორჩილებას მოითხოვენ. ეს „ამბოხება“ და პროტესტი ბევრ რამეში იჩენს თავს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ჯიუტობა-ყინიანობასა და ნეგატივიზმში მეღავნდება.

წინააღუბერტეტელს უფროსების ნებართვითა და მითითებით მოქმედება, უფროსების ავტორიტეტისადმი უკრიტიკო მორჩილება ბავშვობის მაჩვენებლად მიიჩნია, ხოლო საკუთარი თავის ისევ ბავშვის მდგომარეობაში განცდა დიდ უსიამოვნებას გვრის. ამიტომ იგი წინანდებურად ავტორიტეტებს პატივს აღარ სცემს, უფროსების მითითებებს ყურს აღარ უგდებს და ცდილობს ყველგან და ყველაფერში თავისუფლება მოიპოვოს და დამოუკიდებელი მოქმედება განაკითაროს. ჯიუტობა და ყინიანობა სწორედ ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას ეამოხატავს. რაც უფრო მეტი დაყინებითა და სიჯიუტით უწევს მოზრდილი წინააღმდეგობას უფროსების მოთხოვნებსა და მითითებებს და იცავს თავისას, მით უფრო დამოუკიდებლად და თავისუფლად გრძნობს თავს და კმაყოფილდება. ნეგატივიზმში ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული: მოზარდი სწორედ იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რასაც მისგან მოითხოვენ. მარჯვნივ რომ უთხრან წადიო, მასაც რომ უნდოდეს იქით წასვლა, მაინც მობრუნდება და მარცხნივ წავა. ამით იგი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს იმას, რომ უფროსებს აბუჩად იგდებს და არ ემორჩილება. მისთვის ეს უკანასკნელია მთავარი, რადგან ჰგონია ბავშვობას ამით იტოვებს უკან თვითონ იმის სისწორე და სამართლიანობა, რასაც ასე ჯიუტად მოითხოვს და იცავს, მას ნაკლებად აინტერესებს. ამიტომ ზოგჯერ ისე იქცევა, რომ, ერთი შეხედვით, სულელის შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ ჯიუტობა, ყინიანობა და ნეგატივიზმი, ასე მკვეთრად, უფროსებთან ურთიერთობაში იჩენს თავს, ტოლებთან დამოკიდებულებაში იგი ნაკლებად მეღავნდება.

ჯიუტობა, ყინიანობა და ნეგატივიზმი აღმზრდელის წინაშე განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნიან, რადგან ისინი ამ ასაკში სწორედ აღმზრდელობითი ზემოქმედების მიღების წინააღმდეგ არიან მიმართულნი. მოზარდი შინაგანადაა განწყობილი იმისათვის, რომ

უფროსების ზემოქმედებას წინააღმდეგობა გაუწიოს, იგი არ მიიღოს, უკუაგდოს. ეს გარემოება აღმზრდელს სპეციფიკურ დაბრკოლებას უქმნის, რომლის უმტკივნეულოდ გადალახვა თვითონ ამ დაბრკოლების ფსიქოლოგიური ბუნების ცოდნაზე დამყარებულ სააღმზრდელო ღონისძიებათა მიგნებული პედაგოგიური ტაქტით გამოყენების გზითაა შესაძლებელი.

ბავშვობის დატოვებისა და დამოუკიდებლობისკენ მისწრაფების ტენდენციას შეუქლია 14—15 წლის მოზარდი, იქ სადაც საცხოვრებო გარემოში პედაგოგიურად გაუმართლებელი მოვლენები იჩრება, ადვილად გადაიყვანოს სწორი გზიდან და ჩართოს ისეთ ურთიერთობაში, რომელიც მას მთელ შემდგომ ცხოვრებას გაუმრუდებს და გაუუკეულმართებს. ასეთ შემთხვევაში მოზარდი, იმის მიხედვით თუ რა კონკრეტულ სიტუაციაში ექცევა იგი, იწყებს ეულიგნობას, უფროსების — მშობლებისა და მასწავლებლების — უსაფუძვლო კრიტიკასა და აბუჩად აგდებას, თამბაქოს წევას, აჩარტულ თამაშს, ნაადრევ და საძრახ სქესობრივ ცხოვრებას და სხვა ზნეობრივად გასაკიცხ, სახიფათო და სარისკო საქმეებს. ყველაფერი ეს მას დიდ კმაყოფილებას გვრის, რადგან პგონია, ასეთი საქციელით ბავშვობას ტოვებს და დიდების ცხოვრებაში შედის. აქტუალური მოთხოვნილების ძლიერი იმპულსი მას ხშირად კეურადღებას ართმევს და შესაძლებლობას უკარგავს ამ მოქმედებათა უარყოფითი შედეგები წინასწარ დაინახოს და გაითვალისწინოს. იგი, პირველ რიგში მხოლოდ იმას ხედავს რაც მის ახლანდელ მდგომარეობას პასუხობს და აკმაყოფილებს.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან ამ ასაკის მოსწავლეთა ის მასწავლებლები, რომელთაც სუსტი ნებისყოფა აქვთ და ცოდნაში ან ხასიათში რაიმე ადვილად შესამჩნევი ბზარი და მანკი მოეპოვებათ; ასეთი მასწავლებლები, გაკვეთილებზე აბუჩად აგდებისა და ვართობის ჩვეულებრივ ობიექტად იქცევიან.

ტენდენციები, რომელზედაც აქამდე ვლაპარაკობდით, გარეგანი ასაკის ყველა ნორმალურ ბავშვში არსებობს, მაგრამ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, რა ძალითა და მასშტაბით იჩენენ თავს ისინი, ეს დამოკიდებულია ორ რამეზე, სახელდობრ: მოზარდის ინდივიდუალურ თავისებურებაზე და იმ საცხოვრებო-სააღმზრდელო გარემოზე, რომელშიაც მოზარდის ბავშვობა მიმდინარეობდა.

რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება ზემონაჩვენები სიძნელეებისაგან თავის დაღწევა?

ამ საკითხზე სრული პასუხი მოითხოვს ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც არსებითად მოიცავს გარდამავალი ასაკის პედაგოგიკას. ჩვენ აქ გაკვრით, მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შეჩერდებით.

გამოუცდელ მშობლებს, რომელნიც წლების მანძილზე შეეჩვევნენ ბავშვის მორჩილებას, მისი ერთბაშად გაჯიუტება, აგრესიული მდგომარეობაში გადასვლა და „ამბოხება" მათ წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, დიდ უსიამოვნებას გვრის და რაღაც უბედურების მაუწყებელ მოვლენად ეჩვენებიათ. ისინი, თუ ამავე დროს ნერვიულნი და პატივმოყვარულნიც არიან, ბავშვის თვითნებობისა და ჯიუტობის საპასუხოდ ეფექტებს უშვებენ მოქმედებაში და ხშირად ისეთ ქცევის აქტებს ავითარებენ, რომელთაც მიზნად აქვთ არა რაიმე, ასაკის თავისებურებებიდან გამომდინარე, საღმზრდელო ამოცანის გადაწყვეტა, არამედ მოზარდის ისევ უკან, პირვანდელი ბავშვური მორჩილების მდგომარეობაში დაბრუნება და დასჯა (სამაგიეროს მიზღვევა) მხოლოდ იმისათვის, რომ მათ მან ნერვები აუშალა და პატივმოყვარეობა შეულახა — უხეშად მოექცა, გაუჯიუტდა, წინააღმდეგობა გაუწია და ისიც, შეიძლება, სხვების თანდასწრებით. ასეთი მოქმედება მშობლებს მოზარდის თვალში ავტორიტეტს უკარგავს და აღმზრდელის ფუნქციებს ართმევს. ძალისა და უფლებების უპირატესობაზე დამყარებული, შიშველი ადმინისტრატირების ცდები აქ გაცილებით უფრო სახიფათო ღონისძიებაა, ვიდრე ჯიუტობის პირველ ხანაში. ასეთი ცდების შედეგად მოზარდი შინაგანად თანდათან ძორდება მშობლებს და მათ სითბოს, რომელიც აქამდე ყველაზე ძლობელი იყო მისთვის, უფრო და უფრო ნაკლებად განიცდის. ამასთან დაკავშირებით მშობლების სიტყვა და საქმე ჰკარგავს აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალას, ხოლო მოზარდი მშობლებთან ურთიერთობაში კიდევ უფრო ჯიუტი, ტლანქი და უხეში ხდება. ანალოგიურ შემთხვევაში იგივე მეორდება სკოლაში მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულებაში.

ჯიუტობის, უხეშობისა და ხულიგნურ გამოვლინებათა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებაში, რა მკაცრიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, მოზარდი აღმზრდელის თანაგრძნობას, სიყვარულსა და პატივისცემას უნდა განიცდიდეს. ასეთი რამ აუცილებელია იმისათვის, რომ ეს ღონისძიება მოზარდმა აღმზრდელის კაპრიზად კი არ

მიიჩნიოს, არამედ ისეთ მოვლენად შეიცნოს, რომელიც ოვითონ მისი კეთილდღეობისათვის ხდება გარდაუვალი. ამისათვის საჭიროა აღმზრდელის მოქმედებაში აფექტური რისხვა შემცირდეს და მისი ადგილი ურთიერთგაგებაზე დაფუძნებულმა მშვიდმა, მაგრამ მტკიცე და განუხრელმა ზემოქმედებამ დაიჭიროს.

მოზარდი განსაკუთრებით მოითხოვს თავის პიროვნებისადმი პატივისცემას, თანაგრძნობას, ანგარიშის გაწევას. მას განსაკუთრებით აბრაზებს და ცუდ განწყობილებაზე აყენებს მისი პიროვნების დამცირება, აბუჩად აგდება და გაუფასურება. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როცა მოზარდის მიმართ რაიმე საალმზრდელო ღონისძიების გამოყენება ხდება აუცილებელი.

ოჯახში, რომელშიაც თავიდანვე სრული წესრიგი, ურთიერთგაგება, პატივისცემა და სიყვარული სუფევს, მოზარდი გაცილებით უფრო შერბილებული სახით ავლენს ზემოდასახელებულ ტენდენციებს, ვიდრე ისეთ ოჯახში, რომელშიაც ხშირ კონფლიქტებსა და უთანხმოებას აქვს ადგილი. პირველ შემთხვევაში მას მაინც ეშინია ისეთი რაიმე არ გააკეთოს, რაც ურთიერთთანაგრძნობითა და სიყვარულით გამთბარ ოჯახურ ცხოვრებაში შფოთსა ღა აურზაურს შეიტანს.

მოზარდის ჯიუტობა და ყინიანობა უეჭველად დაძლეულ უნდა იქნას ამ ასაკში, რომ იგი საბოლოოდ არ შემორჩეს მას, მაგრამ მათი დაძლევა აქ მაღალ დონეზე — შეგნების დონეზე უნდა მოხდეს. ამისათვის ყველა ღონისძიება უნდა იქნას გამოყენებული. ყველაზე დიდ ეფექტს იძლევა ურთიერთგაგებასა და თანაგრძნობაზე დაფუძნებული გონივრული საუბარი, რომლისთვისაც ყოველთვის შესაფერი დრო და ადგილი უნდა მოინახოს. აღმზრდელმა უნდა დაარწმუნოს მოზარდი, რომ მის ჯიუტობას ყალბი საფუძველი აქვს, ხოლო თვითონ მას ჯერ კიდევ არ ყოფნის ფიზიკური ძალა, გონება და გამოცდილება იმისთვის, რომ უფროსებისაგან დამოუკიდებლად იცხოვროს, მოცემული პირობების შესატყვისი მიზნები დაისახოს და განახორციელოს. აღმზრდელმა თავის მორალური და ინტელექტუალური უპირატესობანი მოზარდს აშკარად უნდა დაანახოს და განაცდევინოს, რომ მოზარდმა მასთან ჭიდილში საკუთარი მარცხი შეიცნოს და აღმზრდელის ავტორიტეტი, რომელიც ადრე უსაფუძვლოდ უარყო, ახლა, შეგნების ნიადაგზე აღიაროს, უფრო მტკიცედ და საფუძვლიანად, ვიდრე ამას წინათ ჰქონდა ადგილი. ამასთან აღმზრდელმა მოზარდის ძირითად მოთხოვნილებასაც უნდა მისცეს საზრდო: მოზარდს ხშირად უნდა აგრძნო-

ბინოს, რომ მას ბავშვად არ თვლის, ანგარიშს უწევს და წინანდელთან შედარებით უფრო სერიოზულად უყურებს.

ჯიუტობის ხნიდან მოზარდი უნდა გამოვიყვანოთ, როგორც საკმაოდ მომძლავრებული პიროვნება, რომელიც საკუთარ სუბიექტურ მდგომარეობაზე ამაღლებასა და ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსკენ მიმართვას ახერხებს. ჯიუტობის ადგილი უნდა დაიკავოს ნებისყოფის სიმტკიცემ, რომელიც მაღალი ღირებულების მიზნების მიღებისა და გაცნობიერების საქმეში იჩენს თავს. პირველ ხანებში ეს მიზნები შორეული იდეალების სახით იშლება მომავალი ცხოვრების ფონზე, რომელსაც მოზარდის ფანტაზია სახავს და აცხოველებს, მაგრამ შემდეგ თანდათან უფრო და უფრო უწევს ანგარიშს რეალურ სინამდვილეს და იმით ისაზღვრება. რისი განხორციელებაც მართლა შესაძლებელი ჩანს.

2. ნებისყოფის აღზრდაში გარკვეულ სიძნელეს ქმნის ზოგიერთი ინდივიდუალური თავისებურება, რომელთაც ცალკეულ ბავშვებთან ვხვდებით. მათი გაცნობიერება აუცილებელია იმისათვის, რომ საალმზრდელო მუშაობა მეტი წარმატებით გაიმართოს. ჩვენ აქ მხოლოდ იმ სიძნელეებზე შევჩერდებით, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. სიძნელეების ერთ ნაწილს ისეთი მოვლენები ქმნის, რომელიც შეიძლება ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს, როგორც ჯოლიტური სფეროსთვის დამახასიათებელი მანკი, თუ მათ წინააღმდეგ თავიდანვე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები. ეს უკანასკნელიც ხშირად საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ შველის და ასწორებს. ჩვენ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ისეთი მოვლენები, რომელნიც ტემპერამენტულ მონაცემებთან არიან დაკავშირებულნი და ზოგიერთ ინდივიდთან ისეთი ძალით იჩენენ თავს, რომ ნებისყოფის ფორმირების საქმეს უაღრესად აძნელებენ.

როგორც დიდებში, ისე ბავშვებშიაც ვხვდებით ისეთ პირებს, რომელთაც აღგზნების უნარი განსაკუთრებით ძლიერი აქვთ, ხოლო შეკავების — უაღრესად სუსტი. ამასთან აგზნებაში ადვილად მოდიან, მაგრამ თავდაჭერა — აგზნების შეკავება მეტისმეტად უჭნელდებათ. ამიტომ ისინი, უფრო ხშირად, ისე ეძლევიან მოთხოვნილებათა იმპულსებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ შეჩერებას ვერ ახერხებენ. იქ, სადაც საერთოდ არ არსებობს აქტუალურ მოთხოვნილებათა შეკავებისა და დაქვემდებარების შესაძლებლობა, არც ნებისყოფა შეიძლება იყოს. ამიტომ ასეთი ბუნების მქონე აღსაზრდელთან განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო.

იმ პირებიდან, რომელთაც სუსტი შეკავების უნარი აქვთ, ერთი თავიდანვე უფრო კეთილშობილი ბუნებისაა, ადამიანებთან ურთიერთობაში დიდ სითბოს ამჟღავნებს და წინა პლანზე სასიამოვნო გრძნობების შეფერილ სოციალურ მოთხოვნილებებს ატარებს, მაშინ, როცა მეორეში ეგოისტური ტენდენციები ჭარბობს და, ხშირად, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა, შური და ღვარძლი ისადგურებს. პირველი გულწრფელად უსმენს და იღებს აღმზრდელის შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებებს, იძლევა პატიოსან სიტყვას, გეგმებს ადგენს და ფიქრობს მაღალი ღირებულების მიზნების განხორციელებაზე, მაგრამ, როგორც კი რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციაში მოხვდება და შესატყვისი იმპულსის წნევის ქვეშ მოექცევა, საბრძოლოდ გამზადებულ ფარ-ხმალს ყრის, ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაში პასიურად ერთვება და რჩევა-დარიგებებს, მაღალ მიზნებსა და პატიოსან სიტყვას ვვერდზე ტოვებს და ივიწყებს. მეორეს რჩევა-დარიგება და შენიშვნები ცუდ განწყობილებაზე აყენებს, უფრო ავს ხდის და აბრაზებს, რის გამოც უძნელდება დაინახოს ის ნაკლი, და მისი უარყოფითი ღირებულება, რომლისთვისაც შენიშვნებს აძლევენ. თვითონ მას, სხვების მოხერხებული ჩარევის გარეშე, არ შეუძლია განზე გადგეს და საკუთარ თავს შეხედოს, საკუთარი ქცევა და მისი მოტივები ობიექტური თვალით დაინახოს და კრიტიკულად შეაფასოს, რადგან საკუთარი ნაკლის ცნობიერება პატივმოყვარეობას ულახავს და უსიამოვნებას გვრის. ისედაც არ ექმნება მას თავისთავისა და თავისი ქცევის ობიექტური შეფასების განწყობა, მაშინ, როცა სხვებს, ხშირად, მეტისმეტად კრიტიკულად უყურებს და კიცხავს ისეთი რამისთვის, რაც თვითონ მასში უფრო ჭარბადაა წარმოდგენილი.

ასეთი ტიპის აღსაზრდელთან მისი ინდივიდუალური თავისებურების შესაფერი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. უნდა მოვნახოთ ის დადებითი მიმართულების ტენდენციები, რომელიც მას მოეპოვება და მთელი სააღმზრდელო ღონისძიება, რომელიც უარყოფითი ტენდენციებისა და ჩვევების აღმოფხვრისაკენ იქნება მიმართული, მათ დავაფუძნოთ, რომ აღსაზრდელმა ჩვენ მიერ ნაჩვენები გზის სითბო იგრძნოს და მას გაჰყვეს. უნდა ვეცადოთ ზემოაღნიშნული ტიპის ბავშვთა მოთხოვნილების წრე ძალიან არ გაფართოვდეს და მხოლოდ იმ მოთხოვნილებებით შემოიზღუდოს, რომელიც ადამიანური ღირსებისათვისაა აუცილებელი. ისინი განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ პირობებს, რომელშიაც აზარტული ხასიათის ქცევის აქტების საფუძველში არსებული მოთხოვნილებები ჩნდება

და თანდათანობით და უმტკივნეულოდ შეეიყვანოთ: რეჟიმში, რომელიც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროსა და ადგილს შესაძლებელი სიმკაცრით განსაზღვრავს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან რეჟიმული ჩვევების გამომუშავების შემდეგ ყოველი მოთხოვნილება თავის დროსა და თავის ადგილზე იჩენს თავს და სხვა დროსა და სხვა ადგილას ნებისყოფის მოქმედებასა და მისი აღზრდის საქმეს წინ დაბრკოლებად აღარ გადაუღგება.

ბავშვები თავიდანვე ნელი თანდათანობით უნდა შევაჩვიოთ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებასა და თავისთავთან შეჯიბრებას. ყოველი წარმატება ამ მხრივ მათ საგანგებოდ უნდა გავუცნობიეროთ და განვაცდევინოთ, რომ მიღწეული შედეგით გამოწვეული სიხარული ახალი წარმატებისათვის ბრძოლის სტიმულად იქცეს. ამასთან იმპულსების შეკავების საქმეში ისეთი ამოცანები უნდა დავუსახოთ, რომელთა გადაჭრასაც შესძლებენ, თორემ მარცხისა და მასთან დაკავშირებული უსიამოვნების ხშირი განმეორების შედეგად ისინი სრულიად აიღებენ ხელს ასეთ აქტივობაზე. პირველ ხანებში, შეიძლება მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებაში ვარჯიში თამაშში ჩავრთოთ და მისგან გამომდინარე ამოცანებს დავუკავშიროთ. ხოლო შემდეგ თანდათანობით გადაეიტანოთ უფრო და უფრო სერიოზულ საქმეზე. ყოველდღიურ თამაშში ბავშვები ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს ფიზიკურ ძალაში — სირბილში, სიმაღლესა და მანძილზე ხტომაში, ჭიდაობაში — რაც მათ ორგანიზმს სერიოზულ წვრთნას აძლევს. ასევე შეიძლება მოინახოს და შემუშავდეს ამა თუ იმ ასაკის ბავშვებისათვის მისაღები თამაშის ფორმები, რომელიც, შიგა და შიგ, სულიერ ძალთა შეჯიბრებას მოითხოვს და მათ წვრთნას უზრუნველყოფს. თამაშის ეს ფორმები ბავშვებს, პირველ რიგში, საკუთარ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავების უნარს უნდა უნვითარებდეს. შეიძლება, მაგალითად, თამაშის ერთ მომენტად იქცეს შეჯიბრება ჩუმად ყოფნის ხანგრძლივობაში, მაშინ, როცა სიტუაცია ისეთია, რომ ბავშვებს სალაპარაკოდ იწვევს, ან კიდევ შეუხედავად გვერდით ჩავლაში ისეთი საგნებისადმი, რომელიც ინტერესს აღძრავს და ყურადღებას თავისკენ იტაცებს. ის, ვინც მეტ თავშეუკავებლობას გამოამჟღავნებს შეიძლება დასჯილი იქნას თამაშიდან გაყვანით, ისე რომ ეს სასჯელი მან თვითონ თამაშის ობიექტური წესის დარღვევიდან გამომდინარე

მოვლენად ჩათვალოს და არა აღმზრდელის ან სხვა ვინმეს პირადი სურვილის განხორციელებად.

ღონისძიებები, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ყველა ბავშვის მიმართ რჩება ძალაში, მაგრამ იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც სუსტი შეკავების უნარი აქვთ, უფრო ფრთხილი და მიგნებული პედაგოგიური ტაქტის გამოყენებას მოითხოვს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სააღმზრდელო ღონისძიება ყოველთვის უნდა რომელიმე ასაკობრივ ან ინდივიდუალურ თავისებურებიდან გამომდინარე ტენდენციებზე დავაფუძნოთ, რომ ბავშვისთვის იგი მისაღები გახდეს. ბავშვებთან, რომელთაც ჭკუის დარიგება და შენიშვნები განწყობილებას უფუჭებს და პედაგოგიური ზემოქმედებისათვის შეუვალს ხდის, იმ დადებითი ტენდენციებისა და მიდრეკილებების საშუალებით უნდა დავამყაროთ აღმზრდელობითი ურთიერთობა, რომელიც მათში არსებობს; ისინი სამანადოდ შერჩეულ სიტუაციაში, უარყოფით ტენდენციებს უნდა დავუპირისპიროთ ისე, რომ „კანასკნელი" დაძლეული აღმოჩნდეს.

მაგალითისათვის შეიძლება გავითვალისწინოთ ერთი ცდა, რომელიც საბავშვო ბაღში ჩატარდა: აღმზრდელი ბავშვებს აძლევდა შოკოლადს ან კიდევ მათთვის საყვარელ ხილს და ეუბნებოდა: „შენი დედიკო ავადაა, თუ ამას მიუტანთ ძალიან გაუხარდება, შეჭამს და მორჩება. შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი, თუ გინდა თვითონ შეჭამე, თუ გინდა დედიკოს წაუღე სახლში და გაახარე ივი". დაკვირვებამ აშკარად უჩვენა, რომ ბავშვები დიდიხნის მანძილზე ებრძოდნენ და აკავებდნენ მოთხოვნილების იმპულსს, რომელიც მათ შოკოლადის თუ ხილის შეჭმისკენ უბიძგებდა. ზოგმა ბავშვმა მთელი საათის განმავლობაში აწვალა შოკოლადი ჯიბეში ჩადებულ ხელში და ბოლოს იქ, საკუთარ თავთან ბრძოლაში ისე გასრისა, რომ საჭმელად აღარ ვარგოდა. ზოგმა კიდევ რამდენჯერმე ამოიღო ჯიბიდან და ისევ დააბრუნა უკან ცხვირსახოცში გახვეული რომ ამ გზით მისი მიზიდულობის ძალა შეემცირებინა, მაგრამ ცდუნებას ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო, მოფარებული ადგილი მონახა და იქ შეჭამა. შემდეგ ტირილი დაიწყო. აღმზრდელის შეკითხვაზე „რა გატირებსო", უპასუხა: „შემეჭამა და რა ვქნა ახლაო". ბავშვების ნაწილი, შოკოლადის თუ ხილის მიღებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, შეწუხებული მიდიოდა აღმზრდელთან თხოვნით: „თქვენ შემინახეთ მასწავლებელო და სახლში წასვლის დროს მომეცით, თორემ შემეჭმებაო". მხოლოდ რამდენიმე ბავშვმა შესძლო საჩუქარი სახლში მიეტანა და დედისათვის გაეცა ალტაცებით, რომელშიაც

როგორც შემდეგ მშობლები ამბობდნენ, შვება და სიხარულიც იგრძნობოდა და გამარჯვების ზეიმიც. ეს ცდები საბავშვო ასაკის ბავშვთა თავშეკავების უნარის განვითარების დონის გამოკვლევისთვის იყო განკუთვნილი და რაიმე საალმზრდელო ამოცანის გადაწყვეტას არ ისახავდა მიზნად. მაგრამ ამ ცდებიდანაც ნათლად ჩანს მშობლებისადმი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ასაკის წინსვლასთან ერთად უფრო და უფრო უნდა გავზარდოთ და განვამტკიცოთ. რა დიდ ღასაყრდენს წარმოადგენს სულმოკლეობისა და თავშეუკავებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რა თქმა უნდა, საალმზრდელო ღონისძიება არ შეიძლება ზემოაღწერილი ცდების ანალოგიურად იქნას აგებული. ამ ცდებში პავშვი შინაგანი იმპულსების წინააღმდეგ ბრძოლაში მარტოდ იყო მიტოვებული ისე, რომ არავინ უმაგრებდა მხარს და ზრუნავდა იმაზე, რომ მას მარცხი არ განეცადა, მაშინ როცა საალმზრდელო ღონისძიებაში ამ გარემოებებს ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა. გარდა ამისა ბავშვის ანალოგიურ მდგომარეობაში ხშირ ჩაყენებას შეიძლება ნევროზის მოვლენებიც მოჰყვეს. რადგან აღნიშნულ ცდებში ისეთი ამოცანაა დაყენებული, რომლის გადაჭრა ამ ასაკის ბავშვისგან მოითხოვს მაქსიმალურ ძალისხმევას და ყოველთვის ეს უკანასკნელიც არ ხდება საკმარისი. სხვა უარყოფითი შედეგიცაა მოსალოდნელი: შეიძლება ერთხელ განცდილი მარცხის შემდეგ ბავშვმა აღარ მიიღოს ამოცანა და საერთოდ უარი თქვას იმპულსების შეკავების ცდებზე.

ბავშვში, იმის მიხედვით, თუ რა ასაკისა და თავისებურების არის იგი, მშობლების სიყვარულისა და პატივისცემის გარდა, შეიძლება კიდევ სხვა ბევრი დადებითი თვისება — ტენდენცია და მიდრეკილება ვიპოვოთ. აღმზრდელობითი მუშაობა ამ თვისებებზე დაყრდნობით უნდა წარვმართოთ, ისე, რომ მუდმივ შენიშვნებს, ჩხუბსა და დავიდარაბას, რომელიც ჩვეულებრივ უშედეგო რჩება, თავი ავარიდოთ. მუდმივი შენიშვნები და გაკიცხვა, ისიც ცივ ტონებში, უარყოფით შედეგებს იძლევა და აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მანძილს ზრდის, მაშინ როცა იშვიათი მაგრამ ღრმად ჩამწვდომი დარიგება, რომელშიაც სიყვარული და პატივისცემა ჩანს, ყოველთვის დადებით ეფექტს იძლევა და საპასუხო სიყვარულსა და პატივისცემას იწვევს. ზოგჯერ ეაწყრომა და მკაცრი სასჯელიც ხდება აუცილებელი, მაგრამ მას ისეთი საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომლის გამოც აღმზრდელის ასეთ მოქმედებას ბავშვიც გაიგებს და სამართლიანად ჩათვლის.

სერიოზული მუშაობაა საჭირო იმისთვის, რომ ბავშვს, განსაკუთრებით მოზრდილობის ასაკში, საკუთარ პიროვნულ თვისებებზე, საკუთარი ქცევის მორალურ ღირებულებებზე დაკვირვება ვასწავლოთ და ჯანსაღი თვითკრიტიკის უნარი გამოვუმუშაოთ, რადგან სრულყოფილი ნებისყოფა სხვანაირად წარმოუდგენელია. ასეთი რამ იმისთვისაც აუცილებელია, რომ ბავშვი, მას შემდეგ რაც ნებისყოფის აღზრდის მნიშვნელობას ასე თუ ისე მაინც მიწვდება, ჩავაბათ საკუთარი ნებისყოფის აღზრდის საქმეში და ამ მიმართულებით ჩვენთან ერთად ვამოქმედოთ. ახალგაზრდა საბოლოოდ თვითონ უნდა ჩაუდგეს სათავეში საკუთარი ნებისყოფის აღზრდას, რომ ამ საქმეში თვალსაჩინო წარმატება იქნას მოპოვებული.

ნებისყოფის აღზრდაში დიდ სიძნელეს ქმნის კიდევ ერთი ინდივიდუალური თავისებურება — სიზარმაცე, რომელიც, უფრო ხშირად, ისეთ ბუნებრივ მონაცემებს ემყარება, როგორიც დაშვებული ტონუსი, სიზანტე, ფუნქციობის ტენდენციის უკმაობა და შინაგანი ძალისხმევისათვის საჭირო შესაძლებლობათა სასუსტეა. იგი საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და სხვადასხვა პირთან სხვადასხვა ძალითა და ფორმით იჩენს თავს. ზოგთან საერთო სიზანტისა და უქნარობის სახით გვევლინება და მხოლოდ ისეთი აქტივობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც დიდ ენერგიასა და დაძაბულობას არ მოითხოვს. ასეთი სიზარმაცით შეპყრობილი ახალგაზრდა საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობაშიაც — იმპულსურ ქცევაშიაც — ვერ ამჟღავნებს დიდ ენერგიულობას, ნებისმიერი ქცევის მიზნებს შორს ვერ მიჰყვება და უფრო შეტად ძილისა და მოსვენებისკენ ილტვის. იგი, ჩვეულებრივ, მსუბუქი გართობითა და დროსტარებით კმაყოფილდება და თავს ჯაფას არ აყენებს ბმისთვის, რომ მაღალი რიგის კმაყოფილება მიიღოს. ხშირად, იქ, სადაც სხვები მუშაობენ, ფიქრობენ და აზროვნებენ (გაკვეთილზე, ლექციაზე, კრებაზე), ყველაფრისგან გამოითიშება და ფუყე და უსაქმო, ოცნებას ეძლევა; ოცნებაში კმაყოფილდება იმით, რასაც სხვები რეალურად ქმნიან და აკეთებენ.

სიზარმაცეს ისეთ პირებთანაც ვხვდებით, რომელნიც მოსვენებულ მდგომარეობაში ვერ ჩერდებიან, მუდამ მოქმედებაში არიან და იმპულსურ ქცევაში დიდ ენერგიულობასა და ძალისხმევას ამჟღავნებენ, მაგრამ ნებისმიერი ქცევის მიზნისთვის ხანგრძლივ მოქმედებასა და ძალისხმევას ვერ აწარმოებენ. ისინი სერიოზული საქმის მიმართ ყოველთვის ზარმაცები რჩებიან და ობიექტური ღირებულების მქონე მიზნების წარმატებით განხორციელებას მხოლოდ მაშინ

ახერხებენ, თუ ამ მიმართულებით ბოლომდე, რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი ამაგრებთ და ამოქმედებთ. განსაკუთრებით უძნელდებათ მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ნებისმიერი ძალისხმევა ხანგრძლივად, როცა ამას წმინდა თეორიული ამოცანა — ცოდნის მიღების ან მეცნიერული კვლევის საჭიროება — მოითხოვს. როგორც დაკვირვება ადასტურებს, შეიძლება ადამიანს დიდი ინტელექტუალური ნიჭი და შესაძლებლობა ჰქონდეს, მაგრამ ამ შესაძლებლობათა ფუნქციობის ტენდენცია (აქტივობის მოთხოვნილება) და იმ მოვლენათა შემეცნების ინტერესი, რომელიც მოცემულ მომენტში რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში არ მოიხმარება, მასში საგრძნობლად იყოს დაქვეითებული. ასეთი პირები, თუ მათ ხანგრძლივად ნებისმიერი ძალისხმევა არ შეუძლიათ, სწავლაში ზარმაცობენ, გაკვეთილებზე, სადაც ამის ოდნავი შესაძლებლობა ეძლევათ, მასწავლებელს აბუჩად იგდებენ, ლაპარაკობენ და ერთობიან, ბეჯით და შრომისმოყვარე მოსწავლეებს დასცინიან და ხშირად, სხვა მოწაფეებს, ახდენენ რა მათზე ინტელექტუალური უპირატესობით ზეგავლენას, იყოლიებენ, თავიანთ ფერხულში აბამენ და ზარმაცობას აჩვევენ. ზარმაცი, რომელსაც ძლიერი ინტელექტი აქვს, შურით უყურებს იმ პირებს, რომლებმაც მას გაუსწრეს და ბეჯითი და თავდადებული შრომით დიდი წარმატება მოიპოვეს. იგი ხშირად ავსიტყვაობს მათ მიმართ და, სოფისტურ მსჯელობათა გზით, ცდილობს მათი შრომა და წარმატება გააუფასურონ, რომ ამით „თავი მოიტყუოს“ და საკუთარი სიზარმაცე რაც შეიძლება უმნიშვნელო ნაკლად განიცადოს. ზარმაცები ადვილად ქმნიან, ჰოულობენ და ითვისებენ ისეთ ფორმულებს, რომელიც მათ სიზარმაცეს „ამართლებს“, რის გამოც მათ თავიანთი უქნარობა დიდათ აღარ აწუხებთ და თავს მშვიდად გრძნობენ. „დაზეპირება და დაზუთხვა ქალების საქმეა“, ერთგვარი სიამაყით იმეორებენ თაობიდან თაობაში ვაჟები, რომელნიც სამეცადინოდ დიდხანს დაჯდომას ვერ ახერხებენ. „ბედნიერება სამიანი და ჯანმრთელობა“ ამბობენ. ყველა დროის ზარმაცი ქალიშვილები. „ცოდნას რა ფასი აქვს, უმაღლესში მხოლოდ ფული და პროტექციაა შედის, სამსახურშიაც უკეთესად ისინი ეწყობიან“; „სწავლა რას აკეთებს, მთავარია ცხოვრების შანსი და მოხერხება გქონდეს“, ანუგეშებენ ერთმანეთს მეცადინეობაზე გულამრეზილი მოსწავლეები და დასცინიან მათ ვინც წიგნზე „კრუხივით ზის და „თავს იმტვრევს“.

აღმზრდელმა ყველა ღონიძიებას უნდა მიმართოს იმისთვის, რომ მოზარდს ასეთი ყალბი არგუმენტაციის ნამდვილი წყარო დაანახოს და უჩვენოს და განაცდევინოს როგორ აუფასურებს და ამცირებს იგი თავის თავს, თავის პიროვნულ ღირსებებს იმის გამო, რომ სიზარმაცეს ეძლევა და იმას, რაც ყველაზე უფრო ძვირფასი და ღირებულებანი ადამიანში, აბუჩად იგდებს და უპატივცემულოდ ეკიდება.

ზოგჯერ ზარმაცმაც იცის ენერგიული აფეთქება და საქმისადმი თავგამოდებით შეტევა, მაგრამ მოკლე დროით, რასაც შემდეგ ხანგრძლივი უქნარობა მოსდევს. ასე იქცევა ზარმაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი გამოცდების წინა დღეებში და ზარმაცი მუშაკები მათზე გაპიროვნებულ სამუშაოსთვის განკუთვნილი დროის უკანასკნელ მონაკვეთში. ისინი ვერ ახერხებენ ხანგრძლივად შეინარჩუნონ ნებისმიერი ქცევის მიზნისკენ მიმართულება და ზომიერი ძალისხმევა. ერთი მიმართულებით ზომიერ და უწყვეტ ძალისხმევაში ცოცხლობს ნამდვილი, ნაყოფიერი ენერგია. ყოველი შრომა, რომელიც ამ გზით არ მიდის, სიზარმაცის ნიშანს ატარებს. ენერგიული ნებისყოფა გამოიხატება არა ძალისხმევის ხშირ განმეორებაში, არამედ ერთი და იგივე მიზნის მიმართულებით ხანგრძლივ მოქმედებაში. ნებისყოფის სიმტკიცე ყველაზე მეტად ასეთ მოქმედებაში ჩანს. ჟიულია პიო სწორედ მიზნისკენ მიმართულების სიმტკიცესთან დაკავშირებით გვიხატავს ზარმაცის ერთ პორტრეტს, რომელიც შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „ჩვენს წინაა ცოცხალი, მხიარული. ენერგიული ახალგაზრდა. იგი ყოველთვის რამეთია დაკავებული, რას არ აკეთებს დღის განმავლობაში! წაიკითხავს ტრაქტატს გეოლოგიიდან, ბრიუნეტერის სტატიას რასინზე, გადაათვალიერებს რამდენიმე გაზეთს, გადაიკითხავს რომელიმე ჩანაწერს, მოხაზავს დისერტაციის გეგმას, გადმოთარგმნის რამდენიმე გვერდს ინგლისურიდან. ერთი წუთიც არ ჩერდება უსაქმოდ. ამხანაგებს აკვირვებთ მისი შრომისუნარიანობა და ცოდნის მრავალმხრივობა. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ეს ახალგაზრდა მაინც ზარმაცის სახელწოდებით მოვნათლოთ“[23]. იგი წარმოადგენს გაფანტულ ტიპს, რომელიც „გონების სასიამოვნო გასეირნებას“ ახდენს მანამ, სანამ ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ფუნქციობის მოთხოვნილებანი სრულ დაკმაყოფილებას ნახავდნენ. შრომის ასეთი გამრავალმხრივება ნებისყოფის სისუსტეს გამოხატავს და რაიმე შესა-

---

[23] Жюля-Пэйо, Воспитание воли.

მჩნევი ღირებულების შექმნას ვერ ახერხებს. მისი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ არც ერთი მიმართულებით არ ხდება მიღებულ შთაბეჭდილებათა ბოლომდე გაცნობიერება, გააზრება და გადამუშავება. გონივრული მუშაობა მოითხოვს ინტელექტუალური ძალების ერთი გარკვეული მიმართულებით ხანგრძლივ და თანაბარ ძალისხმევას. ამ გარემოებას იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გონების წარმატებისათვის, რომ ზოგი მკვლევარი გენიოსობის ძირითად ნიშანს ყურადღების ერთი ამოცანის მიმართულებით ხანგრძლივ აქტივობაში ხედავს.

ბავშვი თავიდან უნდა შევაჩვიოთ ყურადღების ნებისმიერ მართვას, ყურადღების მთელი შესაძლებლობის ერთი ამოცანის მიმართულებით კონცენტრაციას, უწყვეტად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ყურადღებას ან აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი მართავს (იმპულსურ ქცევაში), ან კიდევ ნებისყოფა (ნებისმიერ ქცევაში). ამიტომ ნებისმიერი ყურადღების აღზრდა თვითონ ნებისყოფის აღზრდას, — ყურადღების ფუნქციონალურ შესაძლებლობათა ნებისყოფისადმი დაქვემდებარებას, — ნიშნავს.

ბავშვებს არ უნდა მივსცეთ შესაძლებლობა დაწყებული საქმე გზაზე შეწყვიტონ და დაუმთავრებლად მიატოვონ, თუ ასეთი რამე მათ უძნელდებათ, ჩვენ უნდა აღმოვუჩინოთ სათანადო დახმარება ისე, რომ ბავშვებს ინიციატივა არ წავართვათ. ამისთვის არც დრო უნდა დაგვენანოს და არც ენერგია. თუ ამ მიმართულებით გამონაკლისებს არ დავუშვებთ, ყოველი წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ბოზარდის შინაგან მოთხოვნილებად გადაიქცევა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მუშაობაა საჭირო ბუნებითზარმაც ბავშვებთან, მაგრამ სისტემატური და ხანგრძლივი წვრთნა იქაც დადებით შედეგს იძლევა. სამწუხაროა ის გარემოება, რომ ძალიან ხშირად თვითონ აღმზრდელები იჩენენ სიზარმაცეს აღზრდის საქმეში და ბავშვებს აკლებენ განუწყვეტელ პედაგოგიურ ყურადღებასა და ზრუნვას, იმის გამო, რომ შინაგან შესაძლებლობათა ნებისმიერ ძალისხმევას აღზრდის ამოცანის მიმართულებით ხანგრძლივად ვერ ახერხებენ. ამიტომ აღზრდა მათ ხელში ეპიზოდურ ხასიათს ღებულობს, რაც, რა თქმა უნდა, სასურველ შედეგებს ვერ იძლევა.

სიზარმაცე, თანშობილ საფუძვლებს ემყარება იგი თუ შეძენილს, სულერთია, ყველა შემთხვევაში გამოხატავს ნებისყოფის სისუსტეს. ამიტომ ცხადია, ნებისყოფის აღზრდა სიზარმაცის ლი-

კვიდაციას გულისხმობს. მაგრამ იქ, სადაც სიზარმაცეს ბუნებრივი საფუძვლები მოეპოვება, ნებისყოფის აღზრდაში თავს იჩენს დიდი სიძნელეები, რომელთა დაძლევა მოითხოვს აღმზრდელის დაუღალავ მუშაობას, რომელიც შესატყვის ცოდნასა და პედაგოგიურ ალღოზე იქნება დაფუძნებული.

3. ნებისყოფის აღზრდის საქმეში განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის დაბრკოლებები, რომელნიც სოციალური გარემოს — აღმზრდელებისა და მოზარდის ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირებული სოციალური ჯგუფების — ვოლიტური თავისებურებებია არიან შეპირობებულნი.

სოციალური გარემოს იმ მოვლენებს შორის, რომელნიც მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე ახდენენ ზეგავლენას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმზრდელებს ეძლევა. აღმზრდელობით მუშაობაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აღმზრდელთა სრულფასოვნობა, მათი მორალურ-პედაგოგიური სრულყოფილობა. ის აღმზრდელი (მშობელი, მასწავლებელი), რომელიც სუსტ და უხერხემლო პიროვნებას წარმოადგენს, მანკიერი ხასიათისაა და ოჯახსა და საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, არღვევს მორალური ცხოვრების ნორმებსა და წესებს, რა თქმა უნდა, აღმზრდელად არ გამოდგება. მის ხელში სააღმზრდელო მნიშვნელობას ჰკარგავს ყოველგვარი პედაგოგიური ღონისძიება, რა ძალისა და ბუნებისაც არ უნდა იყოს იგი. ადამიანი, რომელსაც აღმზრდელის ადგილი უჭირავს, ბავშვზე, პირველ რიგში, თავისი ცხოვრების ხასიათითა და სტილით ახდენს ზეგავლენას. მის შეგონებებსა და რჩევა-დარიგებებს პედაგოგიური ძალა მხოლოდ მაშინ აქვთ, თუ ისინი თვითონ მისი ყოველდღიური ცხოვრების კანონზომიერებას ასახავენ და გამოხატავენ.

ნებისყოფის აღზრდაში ყველაზე ოვალსაჩინო როლს ოჯახი ასრულებს. ეს როლი მით უფრო დიდია, რაც უფრო დაბალ ასაკთან გვაქვს საქმე და ბავშვი აღმზრდელობით ზემოქმედებას ადვილად იღებს. ასაკის წინსვლასთან ერთად ბავშვი თანდათანობით გადის ოჯახიდან და სხვადასხვა სოციალური მოვლენების ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ეს ზეგავლენა ბევრგან პედაგოგიური თვალსაზრისით არის ორგანიზებული და აღზრდის ამოცანებს ემსახურება, მაგრამ ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებს და ისეთ მიმართულებას იღებს, რომ აღზრდის საქმეს ხელს უშლის და ამრუდებს კიდეც. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ოჯახი მაინც ყველა ასაკისათვის ძირითად

საღმზრდელო ერთეულს წარმოადგენს. ამიტომ მშობლების, და საერთოდ ოჯახის უფროსი წევრების, შესაბამისი სულიერი (მორალური) მანკიერება განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის ნებისყოფის აღზრდის საქმეში.

შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

სუსტი ნებისყოფის, სენტიმენტალური განწყობილების მშობლები, რომელნიც ბავშვებთან მთელ ურთიერთობას გრძნობებზე აფუძნებენ და ყველგან და ყველაფერში მოჭარბებულ გულჩვილობას იჩენენ, აღზრდის ამოცანებს ივიწყებენ, ნებისყოფის გამომუშავების საქმეს გვერდზე ტოვებენ და თვითონვე ხდიან თავიანთ შვილებს ჭირვეულს, ჟინიანსა და აუტანელს. ავიღოთ სულ უბრალო მაგალითი: ორი-სამი წლის ბავშვი ხშირად მოითხოვს გასეირნებას. ყოველთვის მისთვის არ სცალიათ. იგი ტირილს იწყებს, როცა სასეირნოდ გასვლაზე უარს ეუბნებიან. გულჩვილი დედის მოსიყვარულე გული ვერ უძლებს ბავშვის ცრემლებს, აჩჩევს სერიოზული საქმე მიატოვოს და ბავშვი სასეირნოდ წაიყვანოს. ესაა დედის, როგორც აღმზრდელის, პირველი მარცხი. მეორედ, როცა ბავშვს რაიმე მოუნდება, იგი უფრო დიდი ენერგიით დაიწყებს ტირილს და დედას აიძულებს უფრო დიდ დათმობაზე წავიდეს. ზოგ შემთხვევაში მამაც იქცევა ანალოგიურად და სხვებს უშლის ხელს აღზრდაში. ვინმეს მიერ სამართლიანად დასჯილ ბავშვს უალერსებს, ამშვიდებს და საჩუქრებს აძლევს იმისათვის, რომ ტირილი შეწყვიტოს და გამხიარულდეს. მსგავსი შემთხვევების ხშირი განმეორების შემდეგ ბავშვი ეჩვევა ტირილის საშუალებით მშობლებს გააკეთებინოს ის, რაც მას სურს. ასაკში შესვლის შემდეგ ტირილის ნაცვლად იგი სხვა, უფრო შემაძრწუნებელ გზებს მონახავს იმისათვის, რომ ასეთი მშობლების ისედაც სუსტი ნებისყოფა გასტეხოს და გაიტანოს თავისი ჟინი, რომელიც მას, ბოლოს, ვინ იცის სად მიიყვანს. ასეთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, აღმზრდელი და აღსაზრდელი როლებს უცვლიან ერთმანეთს: მშობლები იწყებენ ბავშვის სურვილების მიხედვით სიარულს, მაშინ როცა ბავშვი უნდა მიჰყვებოდეს მშობლების პედაგოგიურად გამართულ მითითებებს.

ბავშვის აღზრდა, თბილ გულთან ერთად, ძლიერ და სამართლიან ხელს მოითხოვს. მშობლები, რომელნიც საკუთარ ბავშვებთან ურთიერთობაში მტკიცე ნებისყოფას ვერ გამოიჩენენ, ნებისყოფის აღზრდის საქმეს ვერ უხელმძღვანელებენ. ბავშვები თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ თავდაპერას, მოთმინებას, მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებას, უმნიშვნელო ტკივილების ატანასა და სხვა ადამიანების ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას. ზოგ-

ჯერ ისინი ფრთხილად, მაგრამ მაინც, განზრახ უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, სადაც მათი ძალების შესატყვისი სიმამაცე მოთმინება და თავშეკავებაა საჭირო. ზოგი მშობელი გადაჭარბებულ მზრუნველობას იჩენს ბავშვის მიმართ და მეტისმეტი სისათუთით ინახავს მას. მუდამ იმის შიშშია ბავშვს ფეხი არ დაუსველდეს, არ შესცივდეს, ჯაფა არ დაადგეს, თამაშისა და საქმიანობის დროს არ დაიღალოს. ერთი სიტყვით, ისეთ მდგომარეობაში არ ჩავარდეს, რომ რამემ შეაწუხოს. საკმარისია ბავშვს თავი წამოსტკივდეს ან კიდევ თამაშის დროს სხეული გაეკაწროს, რომ ოჯახში მთელი ამბავი შეიქნას, და ყველა ფეხზე დადგეს. ეს გარემოება ბავშკს აფიქრებინებს, რომ მართლა ძნელ მდგომარეობაში იმყოფება და სტიმულს აძლევს განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ტკივილზე, რის გამოც იგი მას მეტისმეტად მძიმე და აუტანელი ეჩვენება. ასეთი მშობლები დიდ სიძნელეს ქმნიან აღზრდის საქმეში, რადგან ბავშკს იმთავითვე აცლიან სიმამაცის, გამბედაობისა და გამძლეობის უნარს და მტკიცე მომენტალური პიროვნების ნაცვლად სუსტი და ჭირვეული არსების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. როგორც ზემოთაკ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, ბავშვს, დიდი შესაძლებლობაც რომ გვქონდეს, ყველა მოთხოვნილება არ უნდა დავუკმაყოფილოთ, თორემ მისგან ისეთ ადამიანს მივიღებთ, რომელიც საკუთარი მოთხოვნილების ტყვეობაში დარჩება, სხვა ადამიანებს ანგარიშს არ გაუწევს და ვერც იმ საგნებისა და მოვლენების ღირებულებას მიწვდება, რომელნიც ადამიანის შრომით არიან შექმნილნი და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებიან.

როცა მოზარდი ხედავს, რომ მშობლები სიმართლისა და ჭეშმარიტების გულისთვის ბევრ რაიმეს იკლებენ და ტანჯვას ღებულობენ თავიან თავზე, მაშინ, როცა მათ ტყუილის თქმითა და თაღლითობით ადვილად შეეძლოთ ხელგაშლილად ეცხოვრათ და მძიმე მდგომარეობიდან გამოსულიყვნენ, სამართლიანობასა და ზნეობრივ ჭეშმარიტებას იგი განსაკუთრებული ძალით განიცდის, მაღალ ფასს ადებს და თავისი ცხოვრების პრინციპად იხდის. როცა ოჯახის უფროსი წევრები პატიოსან შრომას ეწევიან და, ჩვეულებრივ, პირადი სიამოვნების მნიშვნელოვან ნაწილზე უარს ამბობენ იმისთვის რომ მეზობლებს, მეგობრებს, ხალხსა და ქვეყანას რაიმე სარგებლობა მოუტანონ, საზოგადოების მატერიალურ და სულიერ კულტურას რაიმე შემატონ, ოჯახის უმცროსი წევრებისათვის ასე-

თი ქცევა ხდება ღირებული და ისინიც ამ მიმართულებით ხედავენ თავიანთი მომავალი ცხოვრების გზას.

ოჯახი, რომელიც პატიოსან შრომას გაურბის და ხალხისგან სხვადასხვა გზით შეტაცებული ქონებით ცხოვრობს, უდიდეს სიძნელეს ქმნის ნებისყოფის აღზრდის გზაზე. იგი აბნელებს მოზარდის მორალურ შეგნებას და მის ნაცვლად სათუთ სულში ცხოველურ გრძნობებსა და მისწრაფებებს ნერგავს და ავითარებს. ხშირად საკმარისია ხუთი-ექვსი წლის ბავშვთან რამდენიმე წუთით ისაუბროთ, რომ მასში იგრძნოთ და დაინახოთ იმ ოჯახის სუნთქვა, იმ ოჯახის სული, რომელშიაც იგი იზრდება. ამ ასაკში ბავშვი ოჯახური ცხოვრებიდან გაცილებით მეტს გრძნობს და ითვისებს, ვიდრე ეს ზოგიერთ მშობელს ჰგონია.

აღზრდის პედაგოგიურად გამართული გზებით მართვის საქმეში თვალსაჩინო დაბრკოლებას აწყენენიან ანჩხლი და ნერვიული მშობლები, რომელნიც ბავშვის მცირე დანაშაულზედაც გამოდიან წონასწორობის მდგომარეობიდან და დაუსრულებელ ჩხუბსა და წყევლა-კრულვას იწყებენ. ზოგჯერ ბავშვი რაიმეს გასტეხს ან გაფუჭებს და დანაკარგით გაბრაზებული დედა ან მამა გულისწყრომას თავს ვერ აღწევს და ბავშვს მკაცრად სჯის. ბავშვი, თუ ის სულ პატარა არაა, გრძნობს რომ მშობელი მის დონეზე ჩამოვიდა და მას სამაგიეროს უხდის, ანგარიშს უსწორებს, რის გამოც ბავშვი ბოროტი და ავი ხდება. მშობელში, რომელიც მას საერთოდ უყვარს, ასეთ მომენტში იგი ავტორიტეტსა და აღმზრდელს კი არ ხედავს, არამედ მეტოქეს, რომელიც მეტი უფლებებისა და ძალის მქონეა და მას ამიტომ მოერია. იგი, ასეთ მდგომარეობაში, თავის მოქმედებას დანაშაულის სახით არ განიცდის და ცხადია, არც გამოსწორებაზე ფიქრობს.

სასჯელი, პედაგოგიური თვალსაზრისით, დანაშაულია, ბოროტებაა, თუ იგი მშობლის აფექტური მდგომარეობიდან, წყენისათვის სამაგიეროს მიზღვევის სურვილიდან, გამომდინარეობს და არა აღზრდის ამოცანებიდან. მოზარდი უნდა გრძნობდეს, რომ სასჯელი რომელსაც იგი ღებულობს, მან დაიმსახურა და აუცილებელია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად და ამ სასყიდელს, რადგან იგი (მოზარდი) ახლა წინანდელზე ცოტა უკეთესი მაინც გახდა, თვითონ ღებულობს და არა სხვა ვინმე. ჯილდო და სასჯელი ნებისყოფის აღზრდის საქმეში მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული, თუ სწორად იქნება შერჩეული მათი ზომა და ადგილი.

იგივე უნდა ითქვას მასწავლებელ-აღმზრდელთა სულიერ-მორალური ღირსებების შესახებაც. მხოლოდ იმ მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების დაქვემდებარებისა და მაღალი ღირებულების მიზნების დასახვისა და განხორციელების საქმეში, რომლის ცხოვრებაც თვითონ წარმოადგენს ასეთი მიზნების რეალიზაციას. აღმზრდელი თვითონ უნდა იყოს აღზრდილი. როგორც მასწავლებელს არ შეუძლია ასწავლოს ის, რაც თვითონ არ იცის, ისე აღმზრდელს არ შეუძლია მოზარდის სულში ჩანერგოს ის თვისება, რომელიც თვითონ არ გააჩნია.

კულტურის სწრაფმა განვითარებამ და გაშლამ, განსაკუთრებით ტექნიკის საოცარმა წინსვლამ, აღზრდის სამყაროში, საადმზრდელო საშუალებებთან ერთად, დიდი სიძნელეები და გართულებები შემოიტანა. ამიტომ აღზრდა დღეს, ჩვენს ეპოქაში, გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე იგი წინათ, ოდესმე ყოფილა. მეორე მხრივ, აღზრდა არასოდეს არ ყოფილა ისეთი პირველხარისხოვანი საზოგადოებრივი საქმე, როგორიც დღეს არის.

საზოგადოების ტექნიკურ-კულტურული წინსვლის ნიადაგზე ოჯახისა და სკოლის გვერდით გაჩნდნენ ისეთი მოვლენები, რომელნიც განსაკუთრებული ძალის ზემოქმედებას ახდენენ მოზარდის სულზე. ეს ზემოქმედება ერთ შემთხვევაში აღზრდის ამოცანებისკენაა მიმართული და მათ გადაწყვეტას უწყობს ხელს, ხოლო მეორეში — სულ სხვა მიმართულებას იღებს და აღზრდის საქმეს მეტნაკლები ძალის დაბრკოლების სახით ხვდება წინ. ეს დაბრკოლებები, ცხადია, მეტისმეტად დიდი ხდება იქ, სადაც იმ სიძნელეებს ემთხვევა, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

მარტო სკოლა და ოჯახი ვერ გაწვდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას, იმისათვის, რომ ეს მოვლენები პედაგოგიურ ფილტრში გაატარონ და მოზარდამდე მხოლოდ ის მიუშვან, რაც მასზე აღზრდის მიზნების შესატყვის ზემოქმედებას მოახდენს სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეზო და ქუჩა, კინო და ტელევიზია. მნიშვნელოვან. როლს ასრულებენ მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ზემოქმედება ყოველთვის არ მიიმართება პედაგოგიურად გამართლებული გზებით და, ხშირად, ახალგაზრდას ისეთ მოთხოვნილებებს უღვივებს და ისეთი მოქმედებისათვის აღძრავს, რომელნიც აღზრდის საქმეშიდიდ გარღვევებს იწვევენ. იმისთვის, რომ ეს გარღვევები თავიდან იქნას აცილებული, აუცილებელია საადმზრდელო ამოცანების განხორციელების საქმეში ოჯახსა და სკოლას, მთელი საზოგადოებრი-

ობა ამოუდგეს გვერდში. მაშინ, მაგალითად, არ დარჩება გაუკიცხავი და დაუსჯელი კინოთეატრების ის დირექტორები, რომელნიც საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით გატაცებულნი, მოზარდებს ფართოდ უღებენ კინოთეატრის კარებს იმ სურათებზე, რომელთა ნახვა მათ ეკრძალებათ. მაშინ ვერც ბავშვები შესძლებენ ეზოებსა და ქუჩებში ისეთი ქცევის აქტების განვითარებას, რომელიც მიუღებელია მათი ასაკისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ორბუნებიანი ქცევა—გადასასვლელი იმპულსური ქცევიდან ნებისმიერ ქცევაზე

ბავშვი, ცხოვრების პირველ წლებში, იმპულსური არსებაა: მთელი მისი აქტივობა მოთხოვნილებათა იმპულსებითაა განსაზღვრული. მასში ჯერ კიდევ არ მოიპოვება ნებისყოფის სუბიექტი, რომელიც ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღებასა და განხორციელებას შესძლებს. ამიტომ დგება საკითხი: როგორაა შესაძლებელი პირველად ბავშვის იმპულსური ქცევიდან ნებისმიერ ქცევაზე გადაყვანა? რას უნდა დაემყარის საალმზრდელო ღონისძიება ამ მიმართულებით მოქმედებისას? მოთხოვნილება, როგორც ვიცით, მხოლოდ თავისთავის დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობას იწვევს, ხოლო აქტივობის სხვა წყარო, ამ ასაკში, საერთოდ არ მოეპოვება ბავშვს.

საკითხი, რა გზით განვახორციელებინოთ ნებისმიერი ქცევის აქტები პირველად ბავშვს, რომელსაც ჯერ ნებისყოფა არ გააჩნია, პედაგოგიური ფსიქოლოგიის ერთი ძირითადი საკითხია. ამ საკითხის გარკვევამ უნდა გვიჩვენოს ის ფსიქოლოგიური გზა, რომლითაც ნებისყოფის აღზრდის საქმე უნდა წარიმართოს, განსაკუთრებით მის დასაწყის ეტაპზე.

იმისათვის, რომ ამ საკითხზე სათანადო პასუხის გაცემა შეეძლოთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ყოველ ქცევას, როგორც ამ ნაშრომის პირველ თავშიაც იყო აღნიშნული, გარდა მიზნის ფსიქოლოგიურ შინაარსში გათვალისწინებული რეზულტატისა, ბუნებრივად სხვა ისეთი შედეგებიც მოსდევს, რომლისკენაც ქცევის სუბიექტი არაა მიმართული. ასეთი შედეგების რიცხვი საკმაოდ დიდია. ყველა მათგანის წინასწარ გაცნობიერება შეუძლებელი ხდება მაშინაც კი, როცა ამას სუბიექტი საგანგებოდ ცდილობს. ამ მიმართულებით დაბრკოლებას ქმნის, როგორც სუბიექტური ისე ობიექტური გარემოებანი. ჩვენ ამჟამად მხოლოდ პირველი გვაინტერესებს. მოთხოვნილება იმპულსური ქცევის სუ-

ბიექტს მხოლოდ იმ შედეგისკენ მიმართავს, რომელიც მას აკმაყოფილებს, ან კიდევ — რაიმე მხრივ მის დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. ამიტომ დანარჩენი შედეგები, ისეთებიც, რომელთა გაცნობიერება სხვა ფსიქოლოგიურ ვითარებაში ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო, სრულიად შეუმჩნეველი რჩება. იმ მოსალოდნელ შედეგსაც, რომელიც მიზნის შინაარსში თავსდება, იმპულსური ქცევის სუბიექტი მხოლოდ ერთ მიმართებაში — ქცევის საფუძველში არსებულ მოთხოვნილებასთან მიმართებაში განიცდის. ამიტომ ამ შედეგის ობიექტურ ღირებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაქცევს ყურადღებას, თუ მისი დანახვა რაიმე მხრივ იმ აქტიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეუწყობს ხელს, რომლის სუბიექტსაც თვითონ წარმოადგენს.

შიმშილის სუბიექტი სრულებით არ ფიქრობს მოცემულ სიტუაციაში საკვების მიღების შემდეგ, როგორი იქნება მისი სულიერი და მორალური მდგომარეობა. იგი მხოლოდ შიმშილის დაკმაყოფილებას ესწრაფვის და ამისთვის საჭირო საშუალებებს ხედავს. სხვა მოთხოვნილებანიც ასევე განსაზღვრავენ ინდივიდს. როცა, მაგალითად, ადამიანის სულში პატივმოყვარეობა, შური და ღვარძლი ჩასახლდება, შესატყვის სიტუაციაში სათანადო ქცევის იმპულსი ჩნდება და, თუ რაიმე შინაგანმა დაბრკოლებამ არ იჩინა თავი, მოქმედებაც ხორციელდება ისე, რომ თვითონ პატივმოყვარეობა, შური და ღვარძლი სუბიექტის ცნობიერებაში თავიანთ თავს კვალიფიკაციას არ უკეთებენ და იმ კატეგორიის მოვლენად არ წარმოსდგებიან, რომელთაც მათ შემფასებელი მსჯელობა თვლის. ისინი, ჩვეულებრივ, საერთოდ არავითარი კატეგორიის ქვეშ არ ექცევიან ისე ესწრაფვიან რეალიზაციას, რადგან ამ უკანასკნელისთვის მაინ იმპულსია საჭირო და არა კვალიფიცირება და კატეგორიზირება. პირიქით, კვალიფიცირებასა და კატეგორიზირებას, რაც მათ მორალურ სიბრტყეში გადაიტანდა, შეეძლო პიროვნებაში სინდისი აღეძრა, თვითონ პატივმოყვარეობა შეელახა და შური და ღვარძლი შეენელებინა. ამიტომაა, რომ პატივმოყვარე, შურიან და ღვარძლიან კაცს უძნელდება თავისთავი დაინახოს პატივმოყვარე, შურიან და ღვარძლიან კაცად, მაშინაც კი, როცა ამაზე საგანგებოდ მიუთითებენ. თვითონ პატივმოყვარეობა, შური და ღვარძლი არ აძლევს მას ამის საშუალებას, რადგან ასეთ რამეს, გარდა იმისა, რომ მათთვის არაფერი მოაქვს, შეუძლია სინდისი აღძრას და ამით საწინააღმდეგოდ მიმართული სულიერი აქტივობა გამოიწვიოს.

ზოგჯერ ასეთ მოვლენასაც აქვს ადგილი: პატივმოყვარეობა, შური, ღვარძლი და სხვა ისეთი მოვლენები, რომელნიც ადამიანის

უარყოფით თვისებებად ითვლებიან და პიროვნების მორალური ღირებულებას დაბლა სწევენ, ცნობიერების უკან დგებიან და, იქიდან იძლევიან რა თავიანთთვის საჭირო აქტივობის იმპულსებს, ისეთ მოტივებს ეძიებენ და წამოაყენებენ ცნობიერების წინა პლანზე, რომელთაც კეთილშობილი ბუნება აქვთ. ასეთი მოტივები მათ სჭირდებათ, როგორც ნიღაბი, იმისთვის, რომ მოცემულ სიტუაციაში მათი რეალიზაციის საქმე, თვითონ პიროვნების მხრიდან არ შეხვდეს დაბრკოლებას. ინდივიდი ქმნის ილუზიას და თავისთავს აჩვენებს თითქოს მაღალი მიზნებისათვის მოქმედებს. უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის და ხალხისთვის დებს თავს, მაშინ როცა ნამდვილად პატივმოყვარეობას იკმაყოფილებს. შურისძიებას აწარმოებს და საკუთარ ღვარძლიან ცულს აწვდის საზრდოს. ასეთი მოტივების გამონახვისა და ილუზიის შექმნის შესაძლებლობას ქმნის ის გარემოება, რომ პატივმოყვარეობით, შურითა და ღვარძლით შეპირობებულ ქცევას ბუნებრივად ისეთი შედეგებიც მოსდევს ზოგჯერ, რომელთაც დადებითი საზოგადოებრივი ღირებულება აქვთ. სწორედ ეს ღირებულება გამოდის თითქოსდა მოტივის სახით ცნობიერების წინა პლანზე, მაშინ როცა სუბიექტი მისთვის ნამდვილად არაფერს აკეთებს. ასეთ მოტივებს ზოგი მკვლევარი მოჩვენებით მოტივებს (Scheinmotive) უწოდებს და ადამიანის სულიერ ცხოვრებაში საკმაოდ ფართო ადგილს უთმობს[24].

ზნეობრივად დაქვეითებული პირები, ხშირად, თავიანთი ქცევისთვის, რომელიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელ და საძრახ მისწრაფებებს ეფუძვნება. სხვების თვალის ასახვევად შეგნებულად ეძიებენ მოტივებს, რომელთა მართლა ქონება ადამიანს საზოგადოების თვალში ამაღლებს. ისინი სხვებს თავს ისე უჩვენებენ თითქოს ამ მაღალი ბუნების მოტივებით მოქმედებდნენ. მაშინ როცა სინამდვილეში შეიძლება უაღრესად დაბალი და ავი ვნებებით იყვნენ განსაზღვრულნი. ზოგი მათგანი მეტ შემთხვევაში ახერხებს კიდეც ასეთ რამეში სხვების ღარწმუნებას.

როგორც ვიცით ხშირად იმპულსურ ქცევას ისეთი გვერდითი-მიზნის ფსიქოლოგიურ შინაარსში გაუთვალისწინებელი — შედეგიც მოსდევს, რომელიც თვალსაჩინო ობიექტური ღირებულების მქონეა და საზოგადოების ყურადღებას იქცევს, მოწონებასა და ქებას იმსახურებს. თუ ასეთი ქცევა რომელიმე პუნქტში საზოგა-

---

[24] იხ. Narziss Ach, Analyse des Willens, 1935, გვ. 341; William Stern, Allgemeine Psychologie auf personalistische Grunglage, 1935, გვ. 558—564. ეს ავტორები ასეთ მოტივებსაც (და მოტივაციასაც) ნებისყოფის სფეროს აკუთვნებენ, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებებს.

დოებრივი ცხოვრების ინტერესებთან წინააღმდეგობაში არ მოდის, მოქმედი ინდივიდი, ირგვლივ მყოფი ადამიანების დადებითი შეფასების ზეგავლენით, ყურადღებას ქცევის იმ შედეგებზე აჩერებს, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ქცევის დასრულების შემდეგ რჩება, როგორც ობიექტური ღირებულების მქონე მოვლენა, როგორც ისეთი რამ, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა. ანალოგიურ შემთხვევათა ხშირი განმეორების შედეგად ინდივიდს უმუშავდება განწყობა აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში ყურადღება შეაჩეროს ობიექტურ ღირებულებაზე იმ რეზულტატებისა, რომელნიც ქცევის დასრულების შემდეგ რჩებიან. შემდეგ მას ხშირად ისე ეჩვენება თითქოს ამ ღირებულებათა შექმნას ესწრაფვის და არა საკუთარი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ეს უკანასკნელი მაინც ბდება მიუხედავად იმისა ინდივიდი ყურადღებას მას მიაქცევს თუ ქცევის შედეგის ობიექტურ ღირებულებაზე შეაჩერებს. ინდივიდი ამ გზით, სადაც საზოგადოების მუდმივ კონტროლსა და მხარდაჭერას გრძნობს, ნელი თანდათანობით ახდენს ღირებულებათა სამკვიდროსკენ შემობრუნებას და ნელ-ნელა იწყებს და უმატებს ძალისხმევას იმ აქტივობის განსახორციელებლად, რომელიც ამ სამკვიდროდან აღებული მიზნებისკენ მიიმართება.

ნებისყოფის სუბიექტის ჩასახვის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ ინდივიდის მიერ ქცევის შესაძლო შედეგების ობიექტურ ღირებულებაზე შეჩერება და მისკენ მიმართული აქტივობისთვის საჭირო ძალისხმევა, რა უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. ნებისყოფის სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილებით შეპირობებული ქცევის მიმდინარეობაში უნდა ჩაისახოს და წამოიზარდოს. სხვა გზა მისი ფორმირებისათვის, დასაწყის ეტაპზე მაინც, არ არსებობს. ასეთი ქცევისკენ მიმართული იმპულსების შეკავების ცდებში უმუშავდება ბავშვს ნებისმიერი ძალისხმევის უნარი და ასეთი ქცევის ბუნებრივ რეზულტატებზე ყურადღების შეჩერების გზით წვდება იგი ობიექტურ ღირებულებას, რომლის გულისთვისაც მისგან, ამის მიხედვით დადებითია ეს ღირებულება თუ უარყოფითი, ქცევის აქტების ხან შეკავებას მოითხოვენ და ხან განვითარებას.

პირველ ხანებში ბავშვის ასეთ აქტივობას უფროსების ნებისყოფა მართავს. ყოველდღიური მოთხოვნები, რომელსაც უფროსები უყენებენ ბავშვს და ამ მოთხოვნებთან დაკავშირებული ღონისძიებანი, — აკრძალვა და სანქცირება, გაწყრომა და მოფერება, გაკიცხვა და წაქეზება და საერთოდ სასჯელისა და ჯილდოს სხვა სა-

შუალებანი, რომელნიც იმპულსების შეკავებას ან გაძლიერებას იწვევენ, — ბავშვს გარედან მართავენ და აიძულებენ (ზოგჯერ მტკივნეულადაც) ქცევის შესაძლო რეზულტატების მისთვის მისაწვდომი ობიექტური ღირებულებანი გაითვალისწინოს და არჩევანი მათ საფუძველზე აწარმოოს: ის გააკეთოს, რაც მას, როგორც ბავშვს, მოცემულ სიტუაციაში მოეთხოვება, რასაც უფროსების თვალში მეტი ფასი აქვს და მისთვისაც უფრო საჭირო და მნიშვნელოვანი ჩანს. დროთა მსვლელობაში ბავშვი ეჩვევა ასეთ მოქმედებასა და გარეგანი ზემოქმედებანი იძულებით ხასიათს ჰკარგავენ. ბავშვი ახლა თვითონ, სხვების ზემოქმედების გარეშედაც, ცდილობს ზოგიერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მავნე იმპულსი შეაკავოს, ხოლო ზოგი რამ ისეთიც გააკეთოს, რაც თვითონ მის აქტუალურ მოთხოვნილებას მაინცადამაინც ბევრს არაფერს აძლევს, მაგრამ უფროსების მიერ ფასდება.

მაგრამ ყველა შემთხვევაში ბავშვი მაინც ბავშვი რჩება და მისი ქცევის ძირითად წყაროს აქტუალური მოთხოვნილება წარმოადგენს. მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ისეთი ნებისმიერი — ქცევა განახორციელოს, რომელიც იმავე დროს იმპულსურიც არ იქნება და მის რომელიმე მოთხოვნილებას არ მიაწვდის საზრდოს ისეთ ქცევას, რომელიც ერთსა და იმავე დროს იმპულსსაც ემყარება და ნებისყოფასაც, აქტუალურ მოთხოვნილებასაც პასუხობს და ქცევის შესაძლო შედეგის ობიექტურ ღირებულებასაც ითვალისწინებს მიზნის შინაარსში და მის რეალიზაციას ესწრაფვის. ჩვენ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ორბუნებიან ქცევას ვუწოდებთ და ნებისყოფის გამომუშავების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ნებისყოფა და მისი აქტივობა გენეტურად მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ორბუნებიანი ქცევის ფორმაში იჩენს თავს. პირველად—დასაწყისში—მასში წამყვან როლს მოთხოვნილების სუბიექტი ასრულებს, მაგრამ შემდეგ თანდათანობით იზრდება ნებისყოფის სუბიექტის ხვედრითი წონა იქამდე, რომ ბოლოს ეს უკანასკნელი (ნებისყოფის სუბიექტი) იმდენ ძალღონეს იძენს, რომ შინაგან იმპულსებს იქვემდებარებს, ქცევის რეგულაციის საქმეს მთლიანად თვითონ იღებს ხელში და აქტუალურ მოთხოვნილებებს უდროვო და უადგილო დაკმაყოფილების შესაძლებლობას ართმევს.

ორმაგბუნებიანი ქცევა, რომელშიაც ნებისყოფის სუბიექტი ასრულებს წამყვან როლს, შემდეგშიაც უკონფლიქტო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ასეთ ქცევაში განიცდის ადამიანი ცხოვრების ნამდვილ ხალისსა და პე-

დნიერებას. იგი არც სინდისის ქეჯნას გრძნობს და არც მტკივნეულ ძალისხმევას. პირველს ადგილი აქვს მაშინ, როცა პიროვნებას აქტუალური მოთხოვნილებები იჯაბნებენ. მეორეს მაშინ, როცა მოქმედების მთელი სიმძიმე მარტო ნებისყოფის სუბიექტის მხრებზე გადადის.

ორბუნებიანი ქცევა ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ნებისყოფის აღზრდის საქმეში. როცა ბავშვი შთაგონების, მიბაძვის ან კიდევ სხვა რომელიმე სპონტანურად აღძრული იმპულსის ზეგავლენით ისეთ აქტივობას ავითარებს, რომელშიაც მისი რომელიმე აქტუალური მოთხოვნილება ნახულობს დაკმაყოფილებას. პირველად იგი სრულებით არ აქცევს ყურადღებას ამ აქტივობის სხვა შესაძლო შედეგებსა და მათ ღირებულებებს. უკანასკნელს მხოლოდ ჩვენ, უფროსები, ვხედავთ და ვიცით, რომ ამავე აქტივობას სუბიექტურად შეიძლება სულ სხვა ბუნების მოტივიც და მიზანიც ჰქონდეს, ვიდრე მოცემულ მომენტში აქვს. ამისთვის არაა საჭირო რაიმე შესამჩნევი ცვლილება მოხდეს ქცევის აქტების გარეგან — პრაქტიკულ მიმდინარეობაში. გარეგნულად შეიძლება ყველაფერი თავის ადგილზე დარჩეს, მოთხოვნილებამაც თავისი მიიღოს, მაგრამ აუცილებელია თვითონ ბავშვის სულში მოხდეს გარკვეული ცვლილება: ბავშვის პიროვნება, როგორც ქცევის სუბიექტი, მობრუნდეს იმ შედეგებისკენ, რომელიც აქტივობის დასრულების შემდეგ დარჩება, როგორც გარკვეული ღირებულების მატარებელი მოვლენა. ამ შედეგის ღირებულება მან მოტივად უნდა გაიხადოს, ხოლო მიღწევა და მოპოვება მიზნის შინაარსად აქციოს. აღმზრდელმა, როგორმე ეს შესაძლო მოტივი და მიზანი უნდა დანახოს და მიაღებინოს ბავშვს. ასეთ რამეს. იმ დროიდან როცა პიროვნება იწყებს ჩასახვასა და აღორძინებას, ბავშვის მხრიდან წინააღმდეგობა არ ხვდება. მით უმეტეს, როცა ამის გამო იგი, როგორც მოთხოვნილების სუბიექტი, არაფერს ჰკარგავს. პირიქით, ბავშვი სიხარულს განიცდის იმის გამო, რომ ხედავს, რაღაცას ისეთს აკეთებს, რასაც უფროსები აფასებენ და უწონებენ. იგი ადვილად აჯერებს თავის თავს, რომ მოქმედებს არა საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ იმის გასაკეთებლად რაც უფროსებს უნდათ და ღირებულად მიაჩნიათ. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნილება ასეთი შედეგის მიღებამდე ასწრებს დაკმაყოფილებას და მოქმედების ბუნებრივი წყარო შრება — მოქმედების ბუნებრივი იმპულსი წყდება, — ბავშვი ძალას ატანს თავის თავს და თვითონ იწყებს ძალისხმევას იმისათვის, რომ აქტივობა მანამ გააგრძელოს, სანამ მიზანში გათვალისწინებულ შედეგს მიაღ-

წევდეს. ბავშვი სიტუაციაში, სადაც იგი უფროსების მორალურ მხარდაჭერას განიცდის, ახერხებს ასეთ რამეს, თუ უკანასკნელი მისგან მტკივნეულ ძალისხმევას არ მოითხოვს. იგი, პედაგოგიურად გამართულ გარემოში, თანდათანობით ეჩვევა და უმატებს ძალისხმევას და ბოლოს ასეთ მდგომარეობას აღწევს. როცა ასეთი მიზნის მიმართულებით მოქმედებას აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის სერიოზული მხარდაჭერის გარეშეც იწყებს და აკითარებს

უფროსების მარტივ დავალებებს ორი წლის ბავშვიც ასრულებს. მათი მოთხოვნით იგი იატაკიდან იღებს, ვინმეს აწვდის ან თვითონ მათ აწოდებს მცირე ზომის მსუბუქ ნივთებს. ასეთი დავალების შესასრულებლად იგი, ზოგჯერ ტირილის მდგომარეობიდანაც კი გამოდის. მაგრამ აქ ნებისმიერ მოქმედებასთან ჯერ კიდევ არ ეკავშვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ეგ მას ძალიან ჰგავს. ბავშვი აქ სრულებით არ გრძნობს, რომ მის მოქმედებას ვინმესთვის რაიმე ფასი აქვს. ამიტომ იგი, ფსიქოლოგიურად, სხვისთვის არაფერს, არ აკეთებს. ბავშვი ამ ასაკში ადვილად ეძლევა შთაგონებას და გარედან ღებულობს მოქმედებას, რომელშიაც მისი ფუნქციობის მოთხოვნილება ნასულობს დაკმაყოფილებას. აღვილად შთაგონებადსაც. ნაწილობრივ მაინც, მოთხოვნილება ხდის მას. იმ სფეროში, სადაც მისი ფუნქციონალური მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია, იგი შთაგონებას აღარ ეძლევა და მსგავს დავალებებსაც აღარ ასრულებს.

უფრო გვიან, განსაკუთრებით ჯიუტობის პირველი ხანის გაცილის შემდეგ, უფროსების ისეთი დავალებები, რომელშიაც ბავშვის ფუნქციობის ტენდენციებიც ნასულობენ დაკმაყოფილებას, ნებისყოფის აღზრდის ერთ ყველაზე თვალსაჩინო ღონისძიებად იქცევა. ასეთი რამე შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ ჯიუტობის ხანიდან გამოსული ბავშვი წმინდა სუბიექტურ სამყაროს იქითაც იხედება და გრძნობს, რომ სხვა უფრო მკვიდრი ღირებულებებიც არსებობენ, რომელთაც მან ანგარიში უნდა ეაუწიოს. აღმზრდელმა ამ გარემოებით უნდა ისარგებლოს და ბავშვს დავალებებში, რომელიც, პირველ ხანებში მაინც, თამაშისთვის დამახასიათებელი ხალისით უნდა ხორციელდებოდეს, რაღაც თამაშზე უფრო მნიშვნელოვანი და დასაფასებელი მოვლენა დაანახოს, რომ ამ გზით, მოქმედება, რომელიც აქამდე იმპულსური ქცევის ფორმაში მიმდინარეობდა, ორბუნებიან ქცევად აქციოს. მან დავალებები მეთოდურად უნდა ცვალოს ისე, რომ ორბუნებიან ქცევაში ძოქმედების სიმძიმე მოთხოვნილების სუბიექტის მხრებიდან თანდათანობით ნებისყოფის სუბიექტის მხრებზე იქნას გადატანილი. აღ-

ზრდამ ბოლოს ნებისყოფის სუბიექტი ისე მტკიცე და ურყევი უნდა გახადოს, რომ მან მოთხოვნილებათა იმპულსების მხარდაჭერის გარეშეც შესძლოს ნებისმიერი ქცევის მიზნების მიღება და განხორციელება. იგი მაშინაც უნდა ახერხებდეს თავის გზით სიარულს, როცა მას აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსები სერიოზულად ეწინააღმდეგებიან და დაბრკოლებას უქმნიან.

მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ სწავლის პროცესი. სკოლაში შესვლამდე სწავლა მიჰყავს ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს. უკანასკნელთ ორი სახე აქვთ. ერთ სახეს წარმოადგენს ინტელექტუალურ ძალთა ფუნქციობის მოთხოვნილება, რომელსაც ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ფუნქციობა აკმაყოფილებს. ხოლო მეორე სახეს მიეკუთვნება ცოდნის წყურვილი — შემეცნების ინტერესი, რომელსაც სინამდვილის მოვლენათა თავისებურების წვდომა აძლევს საზრდოს. უფრო ხშირად ორივე მოთხოვნილებას ერთი და იგივე აქტივობა აკმაყოფილებს.

ცოდნა ისე აკმაყოფილებს შემეცნების ინტერესს, როგორც წყალი — წყურვილს. დაკმაყოფილების შემდეგ ფსიქოლოგიურად არც ერთი განიცდება და არც მეორე. როგორც ყოველი მოთხოვნილება, შემეცნების ინტერესიც მოცემული მომენტის მდგომარეობაა და ცოდნას მისთვის ფასი მხოლოდ იმდენად აქვს, რამდენადაც ამ მომენტალურ მდგომარეობას ემსახურება. ამიტომ შემეცნების ინტერესის საფუძველზე ცოდნის მიღებას ინდივიდი იმიტომ კი არ ცდილობს, რომ ცოდნას ობიექტური ღირებულება აქვს, რომლის გამოც საჭირო ხდება იგი მოპოვებული და შენახული იქნას, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ მისი მიღება. ისე როგორც წყლის მიღება მწყურვალისათვის, სასიამოვნო პროცესია. შემეცხების ინტერესის დასაკმაყოფილებლად მიღებული ცოდნაც რჩება ინდივიდში და გამოიყენება მთელი ცხოვრების მანძილზე; მაგრამ ამ ცოდნის, როგორც მომავალში საჭირო ღირებულების, მოპოვება და შენახვა ქცევის მიზანდასახულობაში არ შედის. ამიტომ შემეცნების ინტერესით აღძრული ქცევაც იმპულსური ქცევაა.

ბავშვი ადრე ამჟღავნებს სპონტანურ ინტერესს გარესინამდვილის მოვლენებისადმი. ამ მიმართულებით შეკითხვებს იგი მესამე წლიდან იწყებს და მათ რიცხვს მალე ისე ზრდის, რომ უფროსებს ზოგჯერ, თავს აბეზრებს კითხვებით: „რა არის ეს?“, „რა ქვია ამას?“, „რატომ არის ასე?“, „სად არის?“, „როგორ არის?“ და ა. შ. სკოლაში ბავშვი საკმაოდ განვითარებული ინტერესით მოდის. სასკოლო სწავლების პირველი აქტები სწორედ ამ ინტერესს ეფუძვნება, მა-

გრამ მაშინვე ხდება მოსწავლის ყურადღების გადატანა სწავლის შედეგზე — ცოდნაზე, რომელსაც მასწავლებელი იქვე უფასებს — უწონებს ან უწუნებს — ბავშვს. ამიტომ ახლა მოსწავლე თვითონ ცოდნისკენ ახდენს შემობრუნებას და მის მოპოვებას ისახავს მიზნად; სახლში ხშირად უფროსებს ამოწმებინებს თავს, მოპოვებული აქვს თუ არა ის ცოდნა, რომელსაც სკოლაში მოსთხოვენ და შეუფასებენ. მაგრამ პირველ ხანებში სასკოლო სწავლაც ძირითადად მაინც ინტერესს მიჰყავს, რადგან ბავშვის ნებისყოფას ჯერ კიდევ არ შეუძლია მძიმე ტვირთის ზიდვა, ისიც ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამიტომაა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა მასწავლებლებისაგან განსაკუთრებით მოითხოვენ, რომ მისი გაკვეთილები მოწაფეებისთვის საინტერესო იყოს. სასწავლო სახელმძღვანელოებიც მაქსიმალურად ითვალისწინებენ ამ მოთხოვნას. ასაკის წინსვლასთან ერთად იზრდება ნებისყოფა და მის ხარჯზე თანდათანობით სუსტდება ინტერესის როლი სწავლაში, რადგან მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური დაუფლების ამოცანის გადაჭრისთვის საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა ბომენტალურ ინტერესებს, ხშირად, ვეღარ უწევენ ანგარიშს. ეს უკანასკნელი გარემოება სწავლის საქმეს თანდათანობით აძნელებს და შინაგან დაბრკოლებებს უქმნის. სწორი აღზრდის პირობებში, ანალოგიურ დაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ნებისყოფა ისე მძლავრი ხდება, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელნიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის ემზადებიან, მაქსიმალურ ძალისხმევას აწარმოებენ, ყველა გვერდი ი მიმართული იმპულსის შეკავებას ახდენენ და ხშირად მეცადინეობაში ათენებენ და აღამებენ მაშინ, როცა გაზაფხულის მშვენიერება, ხალისიანი დღეები და საღამოები მათ თავისკენ ეძახის — სასეირნოდ და საალერსოდ იწვევს.

ნებისყოფის აღზრდის გზები და საშუალებები

ნებისყოფის აღზრდის მრავალი გზა და საშუალება არსებობს. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ ზემოთაც მივუთითეთ, მაგრამ საჭიროა რამდენიმეზე კიდევ შევჩერდეთ საგანგებოდ.

1. ნებისყოფის აღზრდის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გზას, ოჯახის შემდეგ, სკოლა წარმოადგენს. იგი აერთიანებს მთელ რიგ საშუალებებს, რომელთაც დიდი საალმზრდელო მნიშვნელობა აქვთ.

პირველად სკოლას შეჰყავს ბავშვი მკაცრ რეჟიმში, სადაც დრო და სივრცე სასწავლო ამოცანებითაა რეგლამენტირებული. სა-

სკოლო რეჟიმი ზღუდავს ხელის შემშლელ იმპულსებს და ბავშვს, როგორც ნებისყოფის სუბიექტს, აქტივობის დიდ შესაძლებლობას აძლევს, მიმართავს რა იგ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისკენ, რომელსაც სასკოლო ცხოვრება აყენებს. აქამდე ბავშვი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა როლების გათამაშებას ახდენდა, მაგრამ სერიოზულად არც ერთი როლის შესრულებას არ კისრულობდა. ახლა მას სკოლა პირველად აკისრებს გარკვეულ როლს — მოსწავლის როლს, რომელიც განსაზღვრულ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული და მათ განაღდებას გულისხმობს. ეს ვალდებულებები ისეა აგებული, რომ ყოველი მათგანის რეალიზაცია ბავშვის ნებისყოფას ავარჯიშებს და ძალას მატებს, რაც მომდევნო ვალდებულების შესრულებისათვისაა აუცილებელი. საწინაო დავალებები, რომლის შრომატევადობა ასაკის წინსვლის კვალობაზე იზრდება, ბავშვს თანდათანობით აჩვევს ძალისხმევას და უმუშავებს უნარს არა რეჟიმულ ვითარებაში თვითონ აგებმოს და გააკეთოს ის რაც მას, როგორც მოწაფეს მოეთხოვება. ამგვარად, სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისთვის საჭირო შინაგანი აქტივობა ნებისყოფის აღზრდის ერთ პირობას წარმოადგენს. უფრო გვიან ამას ემატება საწარმოო შრომა, რომელიც სასკოლო სწავლასთანაა დაკავშირებული. იგი ზრდის მოსწავლის შეგნებაში აქტივობის პროდუქტის ღირებულებას, რასაც ნებისყოფის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ნებისყოფის აღზრდის შემდეგ საშუალებას, რომელსაც სკოლა ფლობს, წარმოადგენს მასწავლებელთა ავტორიტეტი. იგი ცოდნისა და მორალის უპირატესობას ეფუძვნება. აღზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უკანასკნელს აქვს. მასწავლებელი მოსწავლეზე აღმზრდელობით ზემოქმედებას ყველაზე მეტად მორალური სიმტკიცითა და სრულყოფილობით ახდენს. იგი თვითონ უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი პრინციპებით აღჭურვილი პიროვნება, რომ სხვების (ამ შემთხვევაში მოსწავლეების) ასეთად ქცევა შესძლოს. ყოველგვარი საალმზრდელო ღონისძიება ჰკარგავს ძალას იმ მასწავლებლის ხელში, რომელიც მოსწავლეთათვის მორალურ საფუძველზე აღიარებულ ავტორიტეტს არ წარმოადგენს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი, რაც მასწავლებელს. როგორც აღმზრდელს მოეპოვება, ესაა ავტორიტეტი, რომელსაც იგი მუდამ თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს. მოსწავლეს, მაშინაც როცა იგი სკოლიდან შორსაა, წინ უდგება, მაღალი მიზნებისაკენ მოუწოდებს და ზნეობრივად გაუმართლებელი მოქმედებისკენ მიმართული იმპულსების წინააღმდეგ ბრძოლაში ამხნევებს და ძალას

ბატებს იმ მასწავლებლის სახე და შთაგონება, რომელმაც, თავისი ზნეობრივი სიმაღლით მის სულზე დიდი გავლენა მოახდინა. ასეთი მასწავლებელი განსაკუთრებით დიდ აღმზრდელობით ფაქტორს წარმოადგენს ჭაბუკობის ასაკში, როცა ახალგაზრდის სულში მომავალი ცხოვრების პრინციპები და იდეალები ისახება.

სკოლის განკარგულებაში არის აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებული დიდი მოცულობის, ფრავალფეროვანი სასწავლო მასალა, რომელიც მოსწავლემ მასწავლებლის მეშვეობით უნდა გააცნობიეროს და აითვისოს. ეს მასალა მოცემულია ცალკეული სასწავლო დისციპლინის შინაარსის სახით და, იმის მიხედვით ვინ როგორ ასწავლის მას, იგი შეტანაკლები ძალის ზეგავლენას ახდენს, როგორც ინტელექტზე ისე ნებისყოფაზედაც. მასწავლებლის მორალურ სიწმინდესა და პედაგოგიურ დახელოვნებაზეა არსებითად დამოკიდებული შეუძლია თუ არა მას სწავლის პროცესი იმავე დროს აღზრდის პროცესადაც აქციოს.

ცოდნა ფასს მოხმარებაში, აქტივობაში ღებულობს. სწავლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ცოდნის ამ მხარეს, რომ მას აღმზრდელობითი ხასიათი ჰქონდეს. მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა დისციპლინების სწავლება ჩვენი საზოგადოების მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით უნდა მიმდინარეობდეს. მოზარდი სწავლის პროცესში მეცნიერებათა მონაცემებს ჩვენი ხალხის ინტერესებს უნდა უკავშირდებოდეს. იგი ამავე დროს ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების მნიშვნელობასაც უნდა განიცდიდეს, რომ მან მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი ცხოვრების მიზნები ამ ამოცანების მიმართულებით დაისახოს. მასწავლებელმა ისიც ღრმად უნდა განაცდევინოს მოსწავლეს, თუ რა თავდადებული, გმირული შრომის შედეგადაა მოპოვებული ის ცოდნა, რომელსაც იგი ახლა სახელმძღვანელოებიდან ითვისებს ასე ადვილ ფორმაში. ამისათვის საჭიროა შესატყვის მომენტებში მოკლედ, მაგრამ მოხდენილად, იქნას მოთხრობილი მეცნიერებისათვის თავგანწირული ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ისეთ მეცნიერთა სახეების ნათელ წარმოდგენას. როგორიც ჯორდანო ბრუნო და გალილეო გალილეი იყო, მოზარდის სულში მნიშვნელოვანი ძვრების წარმოება შეუძლიათ.

ნებისყოფის აღზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების საქმის სწორად დაყენებას. ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლე ეცნობა იმ ადამიანებს, რომლებმაც უარი სთქვეს პირად ბედნიერებაზე და მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის

საქმეს მოახმარეს. აქ იგი მასებთან ერთად ხედავს ისტორიულ პი-
რებს, რომელნიც გმირულად იბრძოდნენ უვიცობის, ძალმომრეობის,
ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ისინი მწვავე ტკი-
ვილებს განიცდიდნენ, სისხლიდან იცლებოდნენ, მაგრამ სიცო-
ცხლის უკანასკნელ წუთებამდე მაინც ფეხზე იდგნენ და არ ცხრე-
ბოდნენ. ამ ადამიანთა ცხოვრების გაცნობიერების პროცესში მოს-
წავლე განსაკუთრებული სიღრმით წვდება იმ ღირებულებებს, რო-
მელთათვისაც ისინი თავს წირავდნენ და იღუპებოდნენ. ამ მომენ-
ტში თვითონ მოსწავლეს ავიწყდება პირადი ინტერესები და მაღალი
საზოგადოებრივი ღირებულების მქონე მოვლენებისაკენ იღებს
მიმართულებას. ანალოგიური განცდების პროცესში ისახება, მაგ-
რდება და ვითარდება ნებისყოფის სუბიექტი, რომელიც შემდეგ
თავის ცხოვრებას საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მომდინარე
ვალდებულებათა შესატყვისად აგეგმავს და წარმართავს.

მასწავლებელზე ბევრადაა დამოკიდებული თუ რა სიღრმით
განაცდევინებს იგი მოსწავლეებს ისტორიულ პირებსა და მოვლე-
ნებს, რამდენად აგრძნობინებს მათ ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის,
ჩვენი კულტურის სიყვარულსა და ღირებულებას და როგორ დაანა-
ხვებს იმ ადამიანების გაუტეხელ ნებისყოფას, რომლებმაც ამ უკა-
ნასკნელთათვის დადეს თავი.

ლიტერატურის მასწავლებლის განკარგულებაში ისტორიკოსზე
მეტი აღმზრდელობითი ზემოქმედების შესაძლებლობა არსებობს.
მხატვრულ ნაწარმოებში ისტორიაც შეიძლება იყოს მოცემული და
თანადროულობაც. მისი აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა იმა-
შია, რომ იგი გრძნობადი ჰვრეტის ფორმაში — ცოცხალ სახეებში
წარმოგვიდგენს მაღალ ზნეობრივ იდეალებს და იმ ადამიანებს,
რომელნიც ამ იდეალებისათვის შეუდრეკლად იბრძვიან და თავს
წირავენ. როცა ჩვენ, ზრდადამთავრებულები, ჭეშმარიტად მხატვრუ-
ლი ნაწარმოების კითხვას ვიწყებთ, მაშინვე იმ გმირების მხარეზე
ვდგებით, რომელნიც მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის იბრძვიან:
მათი მისწრაფებებითა და მიზნებით ვიწყებთ ცხოვრებას, მათი წარმა-
ტებებით ვნარობთ და მარცხით ვიტანჯებით; სანამ წიგნს ვკითხუ-
ლობთ ამ გმირების მიზნებს ჩვენს საკუთარ მიზნებად განვიცდით
და მათი განხორციელების გზაზე თავს ამ გმირების გვერდით
ვგრძნობთ და მზათ ვართ, რომ შესაძლებელი იყოს, მაროლა გა-
ვაკეთოთ რაიმე მათ მისაშველებლად. უკანასკნელ გვერდს ჩავიკი-
თხავთ, წიგნს დავხურავთ და ვგრძნობთ, რომ ამ წუთში ის აღარ

ვართ, რაც კითხვის დაწყების წინ ვიყავით. ახლა რაღაც მაღალზე, რაღაც ისეთზე ვართ ქიმართული, რომელთან შედარებითაც ჩვენი ყოველდღიური პირადი მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი უმნიშვნელო რამედ მოჩანს და მათზე ფიქრი დამამცირებლად მიგვაჩნია. ამ წუთში დიდი მიზნებისათვის პირადი ინტერესებიდან გაცილებით მეტის დათმობა შეგვიძლია, ვიდრე ამას ცხოვრების რომელიმე სხვა მომენტში მოვახერხებთ.

მაღალი ზნეობრივი იდეების შემცველი მხატვრული ნაწარმოები ჩვენზე გაცილებით მეტ ზეგავლენას მოზარდის სულზე ახდენს. განსაკუთრებით ჭაბუკობის ასაკში, როცა ახალგაზრდა ცხოვრების აზრისა და იდეალების ძიებაში იმყოფება. ისეთი წიგნების, როგორიცაა „ახალგაზრდა გვარდია“ და „როგორ იწრთობრდა ფოლადი“, წაკითხვის შემდეგ მოზარდის ცნობიერებას დიდხანს არ შორდება ის იდეები, რომელთათვისაც მათი გმირები იბრძვიან, რომელთათვისაც კრასნოდონელმა კომკავშირლებმა გასწირეს თავი, ან კიდევ ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანის მთავარი გმირის — კორჩაგინის ლამაზი სიცოცხლე შეეწირა. მასწავლებელმა მოხერხებულად უნდა გამოიყენოს ყველა ანალოგიური ხასიათის მხატვრული ნაწარმოები იმისთვის, რომ მოსწავლის სულში მაღალი ზნეობრივი მიზნების ჩანერგვასა და განმტკიცებას შეუწყოს ხელი.

ნებისყოფის გამომუშავების საქმეში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომელთა ამოცანა სწორედ აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობაში გამოიხატება. ამ ორგანიზაციებში, სადაც მუშაობა კარგადაა დაყენებული, თვითონ მოზარდები ზრუნავენ ერთმანეთის აღზრდაზე და ეჩვევიან მეგობრულ ნიადაგზე საქმიან კრიტიკასა და თვითკრიტიკას, რასაც შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. სკოლის ხელმძღვანელობამ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობითი შესაძლებლობანი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, რისთვისაც საჭიროა ყოველი ახალი ღონისძიების ინიციატორებად და ორგანიზატორებად ეს ორგანიზაციები და მათი წევრები განიცდებოდეს და არა უფროსი ამხანაგი — დირექტორი და მასწავლებელი.

2. ნებისყოფის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს თეატრი, კინო და ტელევიზია. უკანასკნელი ორი განსაკუთრებით ფართოდ შეიჭრა ადამიანთა ყოფიერებაში და საკმაოდ ძლიერი მო-

თხოვნილების წყარო გახდა, ტელევიზია მაინც ყოველდღიური ცხოვრების განუყრელ მოვლენად იქცა. იგი სისტემატურად ატარებს სპეციალურ ღონისძიებებს იმისთვის რომ მოზარდი თაობაც კომუნისტური აღზრდის საქმე იქნას უზრუნველყოფილი.

თეატრი, კინო და ტელევიზია მრავალმხრივ მომსახურეობას უწევს საზოგადოებას. თითოეულს თავისი სპეციფიკური მხარე აქვს. მაგრამ საერთოდ სამივე გვიჩვენებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვან და ღირსეულ მხარეებს, ამაღლებს მორალურ შეგნებას, საზრდოს აწვდის და ავითარებს ესთეტიკურ გემოვნებას, ცოდნას უღრმავებს, ცნობისმოყვარეობას უკმაყოფილებს, ასვენებს და ართობს ადამიანებს. სწორედ იმის გამო, რომ სცენა და ეკრანი მხოლოდ აღზრდას არ ემსახურება და სხვა ამოცანების გადაწყვეტასაც ისახავს მიზნად, ყველაფერი, რაც სცენაზე და, განსაკუთრებით, ეკრანზე გამოდის, დადებით ზემოქმედებას როდი ახდენს მოზარდის ნებისყოფაზე. ამიტომ ზოგ სურათზე 16 წლამდე მოზარდის დასწრება აკრძალულია, მაგრამ ამ აკრძალვას, სამწუხაროდ, არც მშობლები აქცევენ ხშირად ყურადღებას და არც კინოთეატრის ადმინისტრატორები. ბევრი რამ იქიდანაც, რაც ბავშვებისათვისაც ნებადართულია, ჯერ კიდევ არაა პედაგოგიური ფსიქოლოგიის თვალით დანახული და შემოწმებული.

კინოსა და ტელევიზიას დიდი აღმზრდელობითი შესაძლებლობა გააჩნია მაგრამ ჯერჯერობით მისი მინიმუმიც არაა გამოყენებული. ისტორია და მხატვრული ლიტერატურა მაინც თხრობაა. უფრო ხშირად, იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც თავიანთი ცხოვრების მიზნები ეთიკურ ღირებულებათა მიმართულებით დაუსახავთ და მთელი თავიანთი ცხოვრება ამ მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმისათვის დაუმორჩილებიათ. კინოთეატრებისა და ტელევიზორის ეკრანებზე თვითონ ეს ადამიანები გამოდიან და მათი ცხოვრებისა და ბრძოლების რეალურ მიმდინარეობას უშუალოდ განიცდის მაყურებელი. ახლა, მოზარდი პირდაპირ თვალებში უცქერის მის საყვარულ გმირებს და მათი ნათელი მიზნებით იმსჭვალება. მათი ბრძოლის ცეცხლით ენთება. იგი ამ მომენტში შინაგანად მზადაა მათთან ერთად შეებრძოლოს ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც ამ ადამიანების მიზნების განხორციელებას ხვდება წინ. მას ახლა გული არ დაუშლის სასტიკად დასაჯოს ის პირები, რომელნიც ავი ვნებებით გაპოროტებულან და კეთილი ნების ადამიანებს დიდი მიზნებისათვის ბრძოლის საშუალებას არ აძლევენ, საფრთხეს უქმნიან და დაღუპვას უქადიან. ფარდა ეშვება და მო-

ზარდს დიდხანს რჩება ცნობიერებაში ის მაღალი ზნეობრივი იდეალები, რომელმაც ასე დაატყვევა იგი სურათის მსვლელობის მთელ მანძილზე. იგი ფიქრობს და გრძნობს რომ ახლა ჩვეულებრივ მდგომარეობაზე ამაღლებულია და სხვა დროზე უფრო მეტადაა მზად გააკეთოს რაღაც მნიშვნელოვანი ხალხისათვის, ქვეყნისათვის, კულტურისთვის. ამ მომენტში იგი ყველაზე ნათლად ხედავს, რომ ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ასეთი მოქმედებისაგან ღებულობს აზრსა და მნიშვნელობას და თვითონაც მზადაა მისი სიცოცხლე ეპოქისათვის ღირებულ მიზნებს დაუმორჩილოს[23]. აღმზრდელმა უსათუოდ უნდა ისარგებლოს მოზარდის ასეთი განწყობილებით და მას მართლა გააკეთებინოს რაიმე ღირებული, ისეთი რისი გაკეთების შესაძლებლობასაც მოცემული სიტუაცია იძლევა. ასეთ მოქმედებას დიდი სააღმზრდელო მნიშვნელობა აქვს.

სპექტაკლებსა და მხატვრულ ფილმში მოზარდის ყურადღება ყოველთვის არ ჩერდება იმ მომენტებზე, რომელთაც დადებითი აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. ხშირად მას (მოზარდს) სურათის ის მომენტები იტაცებს, რომელშიაც ვნებები ჭარბობს, რადგან ეს მომენტები თვითონ მასშიაც ანალოგიურ ვნებებს იწვევს და შესატყვისი აქტივობის იმპულსების აღძვრას ახდენს. აღმზრდელმა მოზარდის ცნობიერება სურათის იდეურ შინაარსზე უნდა შეაჩეროს, რომ მას სწორედ ის დაანახვოს და განაცდევინოს, რაც აღზრდის თვალსაზრისითაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია. ამისთვის ხშირად ნახული სურათების განხილვა, და ზოგჯერ მათი განმეორებით ნახვაც, ხდება საჭირო.

ტელევიზიის აღმზრდელობით ზემოქმედებათა შესაძლებლობა მარტო მხატვრული ფილმებით არ განისაზღვრება. ამისთვის მას სხვა საშუალებებიც მოეპოვება, მაგრამ, ადგილის განსაზღვრულობის გამო, მათზე აქ ვერ შეეჩერდებით.

3. გარდამავალი ასაკის დასაწყისამდე ბავშვების ურთიერთდაკავშირება შემთხვევით ხასიათს ატარებს და უფრო ხშირად ოჯახში, ეზოში, ქუჩასა და სკოლაში ერთად ყოფნისა და თამაშის ნიადაგზე ხდება. მას სხვა რაიმე, შინაგანი, ფსიქოლოგიური საფუძველი არ გააჩნია. მეგობრობა და სულიერი თანაზიარობა ამ ასაკის ბავშვებისათვის უცხოა.

---

[23] იხ. შ. ჩხარტიშვილი, ნებისყოფის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხები, 1950, გვ. 143—145.

გარდამავალ ასაკში მდგომარეობა არსებითად იცვლება. ბავშვთა შემთხვევითი დაჯგუფებები ირღვევა და ახალი კავშირების დამყარება სრულიად ახალ ნიადაგზე წარმოებს. მოზრდილი, განსაკუთრებით პუბერტეტის პერიოდიდან, ირჩევს და უკავშირდება თანატოლებს, რომლებთანაც საერთო სულიერ განწყობილებასა და ინტერესს ნახულობს. ამიერიდან ახალი ამხანაგური დაჯგუფებები იქმნება ინტერესთა ერთიანობის ნიადაგზე და იქ, სადაც ეს ნიადაგი მყარი არ აღმოჩნდება და დაშლას დაიწყებს, ამხანაგური კავშირებიც ირღვევა და მოზარდები იძულებული ხდებიან ხელახლა შეუდგნენ უფრო გამტანი და საიმედო მეგობრების ძიებას.

ამხანაგური ჯგუფის ყველა წევრის ყველა ინტერესი და მისწრაფება იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. უფრო ხშირად, ურთიერთშეკავშირება ერთი რომელიმე საერთო ინტერესის ნიადაგზე იწყება. კავშირი მით უფრო ძლიერი ხდება, რაც უფრო დიდ ადგილს იჭერს ეს ინტერესი ამხანაგური ჯგუფის წევრთა სულიერ ცხოვრებაში შემდეგი ურთიერთობის პროცესში, თუ სხვა მისწრაფებათა ერთიანობაც დასტურდება. მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცდება. მაგრამ მეტ შემთხვევაში ადგილი აქვს საწინააღმდეგო მდგომარეობას: ცხოვრების სხვა მომენტებში ის რისკენაც ერთი ისწრაფვის მეორეს არ იზიდავს და რაც ერთს არ აკმაყოფილებს მეორეს იტაცებს. ასეთ შემთხვევაში ამხანაგები ერთმანეთს ადვილად არ თმობენ: თითოეული მათგანი ცდილობს მეორე დაითანხმოს, თავისი გზით გაიყოლიოს და ის მოანდომოს და აკეთებინოს, რისკენაც თვითონ ილტვის. სადაც ასეთი რამ ხერხდება და ერთი რომელიმე მათგანი თავისას თმობს, შეგობრობა უფრო ღრმად იდგამს ფესვებს, მაგრამ იქ, სადაც ერთსულოვნება მიუღწეველი რჩება, ამხანაგები ერთბაშად ან თანდათანობით შორდებიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში, როცა ამხანაგური ჯგუფი რაიმე მოვლენის მიმართ გამოამჟღავნებს საერთო მისწრაფებას, რომელიც გაუმართლებლად მიაჩნია ერთ რომელიმე წევრს, უკანასკნელი, ხშირად უმრავლესობის გავლენით, თმობს თავის პოზიციას და დანარჩენებს უერთდება.

ზემოაღნიშნულ მოვლენაზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ ამხანაგური კავშირი, რომელშიაც მოზარდი შედის. ხშირად, დიდ ზეგავლენას ახდენს მის ვოლიტურ სფეროზე. იმის მიხედვით, ეს ურთიერთობა რა ნიადაგზე იწყება და ვითარდება, ნებისყოფის აღზრდის საქმე ან სწრაფად მიდის წინ, ან კიდევ დაბრკოლებას განიცდის და უკან რჩება —ირღვევა და იშლება ის, რასაც ამ მიმართულებით ოჯახი და სკოლა აკეთებს.

საქმე ისაა, რომ ამხანაგური დაჯგუფებების საფუძველს ერთ შემთხვევაში მაღალი რიგის მისწრაფებები და მიზნები წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ის მოთხოვნილებები და ინტერესები, რომლის ნიადაგზე აგებული ქცევის აქტები დაბალი რიგის ხანმოკლე კმაყოფილებას იძლევა და მომენტალური აწმყოს საზღვრებს იქით არსებული ცხოვრებისთვის კარგს არაფერს ქმნის. პირიქით, შესაძლებელია მას, რაიმე მხრივ, საშიშროებას უქადის და ხიფათში აგდებს.

საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოთ შემდეგ მაგალითს: ვაჟა, წესიერი ქცევის, საკმაოდ ბეჯითი და შრომისმოყვარე ყმაწვილი, 15 წლის ასაკში, შემთხვევით გაეცნო თავის ტოლს — დათოს, რომელმაც მას ფეხბურთის საინტერესო თამაშზე ბილეთის შოვნაში აღმოუჩინა დახმარება და შემდეგშიაც აღუთქვა ამ მხრივ სამსახური. ეს გარემოება მათი დაახლოების საბაბი გახდა. შემდეგში მათ ზოგი სხვა ინტერესიც აღმოაჩნდათ საერთო, რის გამოც ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. სწავლობდნენ სხვადასხვა სკოლაში. დათო თითქმის უმეთვალყურეოდ იზრდებოდა. მას მამა არ ჰყავდა, ხოლო დედა მსახურობდა და მასზე ზრუნვისათვის საკმაო დროს ვერ ნახულობდა. ამის გამო იგი სწავლაში თავიდანვე ჩამორჩა, მეცადინეობას გულს ვერარ უდებდა. მეტ დროს ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალში, თამაშსა და გართობაში ატარებდა და ამხანაგთა ისეთ წრესთან იყო დაკავშირებული, რომელიც საზოგადოებისათვის საშიშ და სახიფათო ნაბიჯების გადადგმას იწყებდა. დათოს სიმპატიური გარეგნობა ჰქონდა, იყო ნიჭიერი, გაბედული და გულკეთილი, ფლობდა მახვილ იუმორს და იცოდა თბილი, ტკბილი და მიგნებული საუბარი, რის გამოც ადვილად იზიდავდა და იპყრობდა მეგობრებს. მან ვაჟაზედაც დიდი გავლენა მოახდინა: მალე დაეუფლა მის გულსა და ცნობიერებას და შინაგანმა იმპულსებმა, რომელიც აქამდე ოჯახისა და სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ვაჟაში შენელებული და შეკავებული იყვნენ, თანდათანობით აიშვეს და გაძლიერდნენ. გაჩნდა ახალი ინტერესებიც, რომელიც მას მეცადინეობისთვის საჭირო დროს უფრო და უფრო მეტად ართმევდა და დათოსკენ ეზიდებოდა. ეს გარემოება მის საკოლო წარმატებასაც მალე დაეტყო. ვაჟა გრძნობდა, რომ სწორი, გზიდან გადადიოდა და ცდილობდა თავი შეეკავებინა და ძველებურად გაეგრძელებინა მეცადინეობა, მაგრამ, როგორც კი დათოს წრეში მოხვდებოდა, ამისთვის საჭირო ძალას ვერარ ნახულობდა თავისთავში. ერთხანს ყოველდღე ფიქრობდა, რომ ეს უკანასკნელად

ტოვებს დაუსწავლელ გაკვეთილს, რომ ხვალიდან ისევ სერიოზულად შეუდგება მეცადინეობას, მაგრამ ხვალე, ყოველთვის ხვალედ რჩებოდა და სკოლაში მისი აკადემიური წარუმატებლობის მაჩვენებლები დღითი დღე იზრდებოდნენ. დათო და მისი ამხანაგები გონებამახვილი სოფისტური მსჯელობების გზით, რომელიც, როგორც ადრედაც აღვნიშნეთ. ზარმაც და სწორი გზიდან გადასულ ნიჭიერ ახალგაზრდებს ახასიათებთ, გაუმართლებელი ქცევის ყალბ მოტივაციას ახდენდნენ: ღირებულს აუფასურებდნენ და უფასურს ღირებულად ისაღებდნენ, რითაც, თითქოს ვაჟასაც არწმუნებდნენ და თავიანთ თავსაც, რომ ისეთს არაფერს ჩადიან, რაც ადამიანს ამცირებს და ღირსებას ართმევს; პირიქით, ამაყობდნენ იმით, რომ მათი აზრით, ბევრს არ შესწევდა უნარი ემოქმედა ისე, როგორც თვითონ მოქმედებდნენ. სკოლამ და ოჯახმა თავის დროზე ვერ გამოიჩინა საკირო სიფხიზლე ამ მიმართულებით, რის გამოც მათ ვაჟას აკადემიური ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი დიდხანს დარჩათ შეუმჩნეველი. შემდეგ კი დაგვიანებული აღმოჩნდა: ვაჟა, რომელიც მთლიანად გაჰყვა ამხანაგთა ჯგუფს, რომელიც ცხოვრების სწორი გზიდან უფრო და უფრო მეტ გადახვევას ახდენდა, ბოლოს, ცხრამეტი წლის ასაკში, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, წარსდგა სასამართლოს წინაშე, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე და ამჟამად ალბათ სინანულში იხდის დანაშაულის ტვირთს. შეიძლება იგი ახლა საყვედურს გამოთქვამს, როგორც ოჯახის ისე სკოლის მიმართ, რომ მას თავის დროზე ყურადღება მოაკლეს, ხელი მაგრად არ ჩაჰკიდეს და სწორი გზიდან გადახვევის შესაძლებლობა მისცეს.

მოზარდის სულიერი ფორმირების საქმეზე ამხანაგთა წრის ასეთ უარყოფით ზეგავლენას ხშირად აქვს ადგილი, იქ, სადაც მოზარდის ცხოვრება ოჯახისა და სკოლის კედლებს გარეთ ისე მიმდინარეობს, რომ აღმზრდელი მას ყოველდღიურ კონტროლს არ უწევს. აღმზრდელის საქმეს აძნელებს ისიც, რომ სწორი გზიდან გადასული ახალგაზრდები თავიანთ ტოლს თავაზობენ ისეთ რაიმეს, რაც მას იზიდავს და აკმაყოფილებს ისე, როგორც მწყურვალეს — წყალი, მაშინ როცა ის, რასაც აღმზრდელები აწვდიან მოზარდს ხშირად ჰგავს მწარე წამალს, რომელიც არასასიამოვნო მისაღებია. მაგრამ ჯანმრთელობის საქმეს უზრუნველყოფს და, ამ მხრივ, მომავალი ბედნიერების გარანტიას იძლევა. ასეთ წამალს, ხალისით, ერთგვარი კონტროლისა და სტიმულის გარეშე, ზოგი ზრდადასრულებულიც ვერ ღებულობს, მიუხედავად იმისა, რომ წამლის დანიშნულება კარგადაა ცნობილი მისთვის.

ამხანაგს ნებისყოფის აღზრდის საქმეში დიდი ღვაწლის შეტანა შეუძლია, თუ იგი პირადად ფლობს მტკიცე ნებისყოფას, ან კიდევ მისი აღზრდის საქმე მტკიცე ნებისყოფის მქონე პირებს მიპყავს და თვითონ ძალდაუტანებლად და შეგნებულად მიჰყვება მათ. საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა მაღალი მორალური შეგნების მქონე ახალგაზრდა ახერხებს თავის ტოლის ცხოვრების სწორ გზაზე გაყვანას და მაღალი ღირებულების მქონე მიზნებისაკენ მიმართავს; მაგრამ ასეთ პრაქტიკას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რომ საწინააღმდეგო მოვლენა არ მივიღოთ და ცუდად აღზრდილმა უკეთ აღზრდილი არ დაიმსგავსოს. სკოლა და ოჯახი მუდმივ კონტროლს უნდა უწევდეს ამხანაგთა იმ წრეს, რომელშიაც მათი აღსაზრდელები შედიან.

ნებისყოფის აღზრდის საქმეში ნაყოფიერ გზას წარმოადგენს თვითმოქმედება, რომელიც საკუთარი ნებისყოფის გამტკიცებასა და გამაგრებას ისახავს მიზნად, ამიტომ, რამდენიმე სიტყვით ნებისყოფის თვითაღზრდის საკითხზედაც უნდა შევჩერდეთ.

ნებისყოფის თვითაღზრდა

სკოლამ და ოჯახმა აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა წარმართოს, რომ ბავშვმა რაც შეიძლება ადრე მოჰკიდოს ხელი საკუთარი ნებისყოფის აღზრდის საქმეს. სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით მხოლოდ მოზრდილობის ასაკიდან ხდება, შესაძლებელი. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა აღმზრდელმა მოზარდს ადამიანის მაღალი პიროვნული თვისებები და მისი ვამომუშავების გზები გაუცნობიეროს.

თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში გოგონები და ვაჟები საკმაოდ ერკვევიან ქცევის ავკარგიანობაში და ამ თვალსაზრისით თვითონ იწყებენ სპონტანურად ირგვლივ მყოფი ადამიანების, წაკითხულ წიგნებში, კინოსურათებსა და სპექტაკლებში მოქმედი პირების კრიტიკულ შეფასებას. ისინი შედარებით ადვილად ხვდებიან, რომელი პიროვნებაა კარგი და რომელი ცუდი, მაგრამ თვითონ, დამოუკიდებლად ვერ წვდებიან რა ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო არის ერთი პიროვნება კარგი და მეორე ცუდი და როგორ, რა გზებითაა შესაძლებელი კარგის განმსაზღვრელი პიროვნული თვისების შეძენა და ცუდის განმსაზღვრელი პიროვნული თვისების დაკარგვა და თავიდან მოცილება. ამის ცნობიერებამდე ისინი უნდა მივიდნენ ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საუბრების გზით. ეს საუბრები მათი ასაკის შესატყვის ფორმებში უნდა

ჩაუტარდეთ, იმ აღმზრდელების მიერ, რომელთა ავტორიტეტსაც ისინი უდავოდ ცნობენ.

ნებისყოფის თვითაღზრდის ორგანიზაციის საქმე მასწავლებელმა (კლასის ხელმძღვანელმა) სასურველია დაიწყოს საუბრით თემაზე „ნებისყოფა და მისი თვითაღზრდა". ასეთ საუბარს, თუ იგი მომზადებულად, სათანადო დონეზე ჩატარდება, შეუძლია მოსწავლეებში წარმოშვას სტიმული ხელში აიღონ საკუთარი ნებისყოფის აღზრდის საქმე. ეს სტიმული მალე ჩაქრება თუ აღმზრდელებმა იგი, პირველ ხანებში მაინც, გზადაგზა არ გააძლიერეს და მოზარდის მოქმედება ამ მიმართულებით მუდმივი კონტროლის ქვეშ არ იქონიეს.

სკოლა და ოჯახი უნდა მოეხმაროს მოზარდს ისეთი რეჟიმის შედგენაში, რომლის დაცვა მისგან მტკივნეული ძალისხმევის ფასად შეიქნება შესაძლებელი. მას უნდა ვურჩიოთ, რომ ერთბაშად ბევრი არ მოინდომოს, თორემ ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდ ძალისხმევას ვერ შესძლებს, რეჟიმი მალე დაერღვევა, საკუთარი ძალებისადმი რწმენა დაეკარგება და ნებისყოფის თვითაღზრდაზე საერთოდ აიღებს ხელს. მოსწავლემ პირველად შეიძლება ყოველდღიური ცხოვრების მხოლოდ დილის საათები აგეგმოს და ღამით ძილისთვის საჭირო დრო განსაზღვროს დაახლოებით შემდეგნაირად: 7 საათზე ადგომა, შემდეგ: ფიზიკური ვარჯიშის გარკვეული ნორმების შესრულება, ხელპირის დაბანა, წინადღით მომზადებული საშინაო დავალების ათვისების ხარისხის შემოწმება, საუზმე და სკოლაში წასვლა ისეთ დროს, რომ გაკვეთილის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე იყოს იქ. საღამოს 10½ საათზე დაწოლა. დღის დანარჩენი მონაკვეთი, რომელიც სკოლის მიერ არაა დაკავებული, შეიძლება, პირველ ხანებში ასეთი მკაცრი აგეგმის გარეშე დარჩეს. მაგრამ ის, რაც აიგეგმა, უგამონაკლისოდ უნდა განხორციელდეს: მოსწავლემ არ უნდა დაუშვას მისი რომელიმე პუნქტის გამოშვების შემთხვევა, რადგან ერთი გამონაკლისის დაშვება მაშინვე სხვა გამონაკლისებსაც გაუხსნის გზას და ბოლოს მთელ რეჟიმს დაუკარგავს ღირებულებას. ამიტომ აღზრდის საქმეში იგი (გამონაკლისი) ყველაზე საშიშ მოვლენას წარმოადგენს. ეს გარემოება მოზარდებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომელნიც საკუთარი ნებისყოფის აღზრდას უნდა ჩაუდგნენ სათავეში, კარგად უნდა შეეგნებინოთ. მოსწავლემ, რომელსაც დილით ძილი უყვარს, ოჯახის უფროს წევრს უნდა თხოვოს, რომ იგი ყოველთვის გააღვიძონ დილის 7 საათზე, ანგარიში არ გაუწიონ მის წინააღმდეგობას და მანამ არ მოეშვან

სანამ ფეხზე არ დადგება. უფროსებმაც უნდა უგამონაკლისოდ შეუსრულონ მას ეს თხოვნა და საერთოდ ადევნონ თვალყური მის მიერ დღის რეჟიმის დაცვას, იმ მოსაზრებით, რომ მას სისუსტის შემჩნევისთანავე საჭირო პედაგოგიური დახმარება მიაშველონ და რეჟიმული წესის დარღვევის შესაძლებლობა არ მისცენ. ასეთ ვითარებაში, რამდენიმე თვის განმავლობაში, რეჟიმში გათვალისწინებული წესრიგი მოზარდის ბუნებაში ჩაჯდება და ჩვეულებად იქცევა, რის გამოც შემდეგ მისი ცხოვრებაში გატარება საგანგებო ძალისხმევას აღარ დაისაჭიროებს.

როცა დილის რეჟიმი მოსწავლის ბუნებას ისე შეეზრდება, რომ მისი დაცვისათვის დიდი ძალისხმევა აღარ გახდება საჭირო, შეიძლება დღის დანარჩენი მონაკვეთებიც მკაცრად აიგეგმოს. ახლა მოსწავლე მოპოვებული წარმატებით კმაყოფილი და გამხნევებული, თავის ძალაში დარწმუნებული კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით შეუდგება საკუთარი თავის ახალი რეჟიმისადმი დაქვემდებარებასა და რეჟიმის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი იმპულსების შეკავებას. ამაში მას დიდ დახმარებას გაუწევს და ღონეს შემატებს საზოგადოებრივი აზრი — მოწონება და შექება, რომელსაც იგი მიღწეული წარმატების გამო ნშობლების, მასწავლებლების, ახლობლებისა და ამხანაგების მხრიდან მიიღებს.

მოზარდი რეჟიმის ჰუნქტუალურ შესრულებას უნდა უცქეროდეს, როგორც თვითაღზრდის საქმეს, როგორც ისეთ ვარჯიშს, რომელიც მისი ნებისყოფის გამტკიცებას ახდენს. ამიტომ იგი უნდა ფიქრობდეს: „რაკი რეჟიმში გათვალისწინებული მოქმედების შესრულების დრო მოვიდა, სულერთია, იგი ახლა ვინდა თუ არ ვინდა. მაინც დაუყოვნებლივ უნდა განვახორციელო... სხვანაირად მე რა ნებისყოფა მექნება!“.

ის, ვინც, ნებისყოფის თვითაღზრდას შეუდგება, უნდა მიჰყვეს დარიგებას „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ და ხშირად, მხოლოდ საკუთარი ნებისყოფის აღზრდის მიზნით, უარი თქვას ისეთ რამეზე, რაც მას მერმისისთვის არაფერს აძლევს. მაგრამ ახლა გულით სწადია და განსაკუთრებით იზიდავს თავისკენ. მიატოვოს, მაგალითად, ტელეეკრანი საინტერესო გადმოცემის მომენტში ან კიდევ უარი თქვას ფეხბურთის მატჩზე, ან ამხანაგებთან გასართობად წასვლაზე და მეცადინეობას შეუდგეს დროის იმ მონაკვეთებშიაც, რომელიც, რეჟიმის მიხედვით, ასეთი საქმეებისთვის არ არის განკუთვნილი. რეჟიმის დარღვევა ნებისყოფის აღზრდის ამოცანების სასარგებლოდ, რა თქმა უნდა, რეჟიმის საზიანო დარ-

ღვევად არ ჩაითვლება; იგი, პირიქით, საკუთარი თავის მართვისა და რეჟიმისადმი დაქვემდებარების მაქსიმალურ შესაძლებლობაზე მიუთითებს.

ნებისყოფის გამომუშავებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებული საქმის ყოველთვის ბოლომდე მიყვანას, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული. ამიტომ ახალგაზრდა უნდა ცდილობდეს დაწყებული საქმე, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ საკუთარი ნებისყოფა გაწვრთნას, თავის დროზე, გაუჭიანურებლად დააბოლოვოს და არ დაუშვას მისი დაუსრულებლად მიტოვებისა და სხვა დროისათვის გადადების შემთხვევები. ასეთი შემთხვევები მიზანსწრაფვის ძალას ასუსტებს და ნებისყოფას აუძლურებს, აჩვევს ადამიანს გადაწყვეტილებაზე ისე აიღოს ხელი, რომ ამის გამო არ შეწუხდეს. ამასთან სიტყვის კაცობაცაა დაკავშირებული. კაცური კაცი ის არის ვისი სიტყვაც საბუთზე უფრო სანდოა და მოწმესა და ხელწერილს არ მოითხოვს. მხოლოდ ასეთ კაცს შეიძლება იმედიანად მიანდო საკუთარი თავიც და ქვეყნის საქმეც. პირის კაცობა დიდი ნებისყოფის მაჩვენებელია. ამიტომ მოზარდმა, რომელიც საკუთარი ნებისყოფის გამომუშავებაზე ზრუნავს, განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა ადევნოს თვალყური თავისთავს, რომ ტყუილი არ თქვას და ერთხელ გაცემული სიტყვა არ გატეხოს. მაშინაც კი, როცა ამის გამო მას დიდი უსიამოვნება მოელის. სიმართლის დაფარვა და სიტყვის უკან წაღება, რომელიც მორალური აუცილებლობითაა ნაკარნახევი, რა თქმა უნდა, ავკაცობად არ ჩაითვლება და მასზე აქ არაა ლაპარაკი.

მოზარდის ნებისყოფაზე დიდ საალმზრდელო ზემოქმედებას ახდენს იმ ადამიანების ცხოვრების სიღრმეში ჩახედვა, რომლებმაც თვითონ გამოაწვრთნეს თავიანთი ნებისყოფა და უკანასკნელით შემდეგ ისეთი ღირებულებები შექმნეს, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლაზე. ასეთი ადამიანების შესახებ ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებს ხშირად უნდა კითხულობდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა წინ დიდი სიძნელეები ჩანს გადასალახავი, ხოლო საკუთარი ძალებისადმი რწმენაში ეჭვი იწყებს ჩასახვას.

ყოველ ახალგაზრდას უნდა ჰყავდეს თავისი გმირი, რომელიც მისი ცხოვრების იდეალს წარმოადგენს და სიძნელეებთან ბრძოლაში საკუთარ ძალებში დაეჭვებისა და გაჭირვების მომენტებში მას.

მიეშველება, გაამხნევებს და ძალას შემატებს იმითი, რომ თვალწინ ნათლად წარმოუდგება, გამძლეობის ნიმუშს უჩვენებს, რწმენას გაუმთელებს და შთააგონებს ბოლომდე განუხრელად იბრძოლოს. ვინ იცის, თავისი დიდებული სიცოცხლის გმირული დასასრულით სოკრატემ, საუკუნეების მანძილზე, რამდენ ადამიანს მისცა ძალა სიკვდილზე მაღლა დამდგარიყო და სიცოცხლე მიეტანა მსხვერპლად იმ დიდი ზნეობრივი ჭეშმარიტებისათვის, რომელსაც თვითონ შეეწირა. სოკრატეს მსგავსი პირები, დიდი მიზნების განხორციელების გზაზე არსებულ დაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, უდიდეს ძალას წარმოადგენენ, როცა ისინი ახალგაზრდების სულში მკვიდრდებიან და განაგრძობენ სიცოცხლეს. იგივე ითქმის დიდი რევოლუციონერების შესახებ, რომლებმაც კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას უანგაროდ შესწირეს თავიანთი თავი.

იმ მოვლენებისათვის წინასწარ თავის არიდება. რომელიც მორალურად გაუმართლებელი ქცევის იმპულსების აღძვრას იწვევს, გაცილებით ადვილი საქმეა, ვიდრე თვითონ აღძრული იმპულსების შეკავება. ამხანაგთა ცუდი წრისადმი თავის არიდება არაა ძნელი, მაგრამ ასეთ წრეში შესვლის შემდეგ, მასთან კავშირის გაწყვეტა ისეთ დიდ და ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს, რომლის განხორციელება სხვების დაუხმარებლად ყველას არ შეუძლია. ამიტომ მოზარდი თავიდან უნდა შეეჩვიოს ზომების წინასწარ მიღებას იმისათვის, რომ არ მოხვდეს ისეთ სიტუაციაში, რომელიც მასში მორალურად გაუმართლებელი ქცევის იმპულსებს აღძრავს და ცხოვრებაში გაუმართლებელი ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებს. ასეთ რაიმეში საკუთარი ნებისყოფის ძალასაც არ უნდა ენდოს კაცი, რადგან ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია, მით უმეტეს თუ იგი წარმტაცია, ისეთი ძალით აღძრავს შესატყვისი ქცევის აქტების იმპულსებს, რომ უკანასკნელი საკმაოდ ძლიერი ნებისყოფის მოდრეკასაც კი ახერხებს. ხოლო ერთხელ გადადრეკის შემდეგ, ნელი ჯოხის მსგავსად, ნებისყოფაც კარგავს ძალას და მცირე წინააღმდეგობის შედეგადაც ადვილად იწყებს მოხრას. ნებისყოფასაც სჭირდება მოვლა: იგი კაცმა ისეთ წინააღმდეგობას არ უნდა დააჯახოს, რომელსაც გვერდი შემოევლება ან კიდევ ისეთი ძალა აქვს, რომლის გადალახვა თავიდანვე შეუძლებელი ჩანს.

შინაარსი

ᲒᲒ.

თ ა ვ ი I. ნებისყოფის ფსიქოლოგია

მოთხოვნილების ბუნება და ადგილი სულიერ ცხოვრებაში 3

იმპულსური ქცევის კანონზომიერებანი . 25

ნებისმიერი ქცევის თავისებურებანი . 38

ნებისყოფა 50

ნებელობის პროცესები . . . 56

როგორ აიგება ნებისმიერი ქცევა 64

ემოციური განცდების ადგილი ნებისმიერ ქცევაში 68

თ ა ვ ი II. ნებისყოფის პედაგოგიკა

სიძნელეები ნებისყოფის აღზრდაში 71

ორბუნებიანი ქცევა—გადასასვლელი იმპულსური ქცევიდან ნებისმიერ ქცევაზე 99

ნებისყოფის აღზრდის გზები და საშუალებები . 107

ნებისყოფის თვითაღზრდა 117

Шалва Ноевич Чхартишвили

ВОЛЯ И ЕЕ ВОСПИТАНИЕ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ა. ფრანგიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ნ. მაისურაძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ლ. გელოვანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.10.1964; ქაღალდის ზომა 60×92¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 7,62; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.64;
უე 08830; ტირაჟი 1500; შეკვეთა 852

ფასი 48 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5